პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რ ე დ ა ქ ც ი ა
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა - მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის — 1 მან., დანარჩენებისათვის — 1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ღირდება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

პარასკევი, 2 აგვისტო 1929 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 175 (2521)

დ ღ ი უ რ ი

— ბულგარეთ-სამხრეთ-სლავიის ურთიერთობის გართულება.
— დემონსტრაციები ნანკინის მთავრობის წინააღმდეგ ნიუ-იორკში.
— ინგლისის პრესა აღნიშნავს საბჭოთა ავიაციის დიდ მიღწევებს.
— პლეჩკაიტისტების პროცესი კოვნოში.—16 კაცს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს.
— პარიზის ციხეების პოლიტპატიმრების შიმშილობა
— ბელგიის სამხედრო აეროპლანის დაღუპვა.

დღეს, აგვისტოს 2-ს მთავრობის სასახლეში
შ ე ს დ გ ე ბ ა
საქ. ს.ს.რ. ეკონომიური საბჭოს მორიგი სხდომა
დასაწყისი დღის 12 საათზე.
საქართველოს სსრ. სახკომსაბჭოს და ეკონომსაბჭოს საქმეთა მმართველის მაგიერ ბ. ფალავა.

კომუნისტი
გრძელდება ხელისმოწერა აგვისტოსათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფონი 8—81.

ანტიიმპერიალისტური დღე სოფლად

საერთაშორისო ანტიიმპერიალისტური დღე, როგორც მოსალოდნელი იყო, დიდი ენტუზიაზმით ჩატარდა თბილისში და საქართველოს სხვა ქალაქებში. საბჭოთა კავშირის ყოველი კუთხიდან მიღებულია ცნობები იმის შესახებ, რომ 1 აგვისტოს გამართულ დემონსტრაციებმა იშვიათად მასიური ხასიათი მიიღო. ეს ფაქტი იმის მაჩვენებელია, რომ კომუნისტური პარტიის წინასწარმა მუშაობამ ანტიიმპერიალისტურ დღისათვის სრული გამართლება ჰპოვა. უდიდესი საყოველთაო ერთსულოვნება და მგრგვინავი პროტესტი მომავალი იმპერიალისტური ომის ორგანიზატორების წინააღმდეგ იმის მაჩვენებელია, რომ საბჭოთა კავშირის მშრომელი მასები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით არაჩვეულებრივად გაიზარდნენ და გათვითცნობიერდნენ პოლიტიკურად. ჯერ-ჯერობით კიდევ არ მოგვეპოვება სრული ცნობები იმის შესახებ, თუ როგორი გამოხმაურება ჰპოვა საერთაშორისო წითელ დღემ კაპიტალისტურ ქვეყნებში. მაგრამ ჩვენ ვიცით თუ რა გამძაფრებულ კლასიურ ბრძოლის პირობებში მიმდინარეობდა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში ამ დღისათვის სამზადისი, ჩვენ უკვე გვაქვს ცნობები იმის შესახებ, რომ ჯერ კიდევ 1 აგვისტოს წინა დღით, ანტიიმპერიალისტურ მოძრაობამ, მიუხედავად პოლიციისა და მისი ერთგული დამხმარე რეფორმისტული პარტიების სასტიკი წინააღმდეგობისა, მშრომელთა ფართო ფენები მოიცვა. კომუნისტურ ინტერნაციონალის მოწოდებამ ყველა ქვეყნის პროლეტარებისა და ჩაგრულ მასებისადმი მთელ მსოფლიოში მძლავრი გამოხმაურება ჰპოვა.

მაგრამ ჩვენ ამით ვერ დავკმაყოფილდებით. მომავალი იმპერიალისტური ომის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლა, თქმა არ უნდა, არ ამოიწურება მარტო საპროტესტო მასიურ დემონსტრაციებით. რომ კაცობრიობამ თავიდან აიცილოს ახალი საერთაშორისო ყაჩაღური ომი და ის დამყაყებული კაპიტალისტური წყობილების დამხობისაკენ მიმართულ ბრძოლად გადააქციოს, საჭიროა დაუღალავი, სისტემატიური მუშაობა იმპერიალისტებისა და მათი მაჩანჩალა მსოფლიო სოციალ - დემოკრატიის ვერაგულ ზრახვათა გამოსააშკარავებლად, კაპიტალისტურ ქვეყნების მუშათა კლასის კიდევ უფრო მასობრივ დასარაზმავად კომუნისტური ინტერნაციონალის დროშის ქვეშ და საბჭოთა კავშირის ეკონომიურ-პოლიტიკურ მდგომარეობის განსამტკიცებლად. 1 აგვისტოს მრისხანე ანტიიმპერიალისტური დემონსტრაცია უნდა გადაიქცეს უძლიერეს იმპულსად, რომელიც აქეთკენ მიმართავს მთელი ქვეყნის მშრომელი მასების შეგნებას და ენერგიას.. საერთაშორისო ანტიიმპერიალისტური დღე, რომელიც ჩვენში ჯერ-ჯერობით უმთავრესად ქალაქში ჩატარდა, იმის საწინდარს წარმოადგენს, რომ ეს ასედაც იქნება. და ჩვენ უნდა მივიღოთ ყოველივე ზომები იმისათვის, რომ ეს მოძრაობა ასეთივე ძლიერებით ჩატარდეს მშრომელ გლეხკაცობის მასებშიაც. სოფელი საერთაშორისო წითელ დღეს უმეტეს შემთხვევაში აწყობს უახლოეს კვირას — 4 აგვისტოს. უქმე დღე, როცა სოფლის მშრომელი მოსახლეობა ისვენებს, საუკეთესო პირობებს ჰქმნის ანტიიმპერიალისტური კამპანიის რაც შეიძლება მასიურად და აქტიურად ჩატარებისათვის. სოფლის მშრომელ მოსახლეობამ მუშათა კლასთან ერთად თავის ზურგზე განიცადა წარსული იმპერიალისტური ომის საშინელებანი. ჯერ კიდევ ბევრგან მოუშუშებელია ის იარები, რომელნიც ომმა მიაყენა მშრომელ კაცობრიობას. სოფელი ქალაქთან ერთად საუკეთესოდ გრძნობს, თუ რა უბედურებას უქადის მშვიდობიან საბჭოთა აღმშენებლობას მომავალი იმპერიალისტური ხოცვა-ჟლეტა.

პარტიისა და კომკავშირის ადგილობრივ ორგანიზაციებმა, თვითეულ საბჭოთა და საზოგადოებრივმა დაწესებულებამ ყოველი ზომები უნდა მიიღოს, რომ დარჩენილი მცირე დრო მაქსიმალურად იქნას გამოყენებული ანტიიმპერიალისტური დღის სათანადოდ მომზადებისათვის სოფლად. საჭიროა ამ დღის მნიშვნელობის ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობის გაჩაღება, საჭიროა სოფლის ყველა კულტურულ და აქტიურ ელემენტების მობილიზაცია და მათი ჩაბმა საერთაშორისო წითელი დღის ჩატარებაში. ქალაქების მაგალითი რაც შეიძლება მთლიანად უნდა იქნას გადატანილი სოფლად. მუშათა ორგანიზაციებმა 1 აგვისტოს გამოიჩინეს არა მარტო უდიდესი პოლიტიკური შეგნება, არამედ შესაფერი მხატვრული თვითმოქმედების ინიციატივაც. თბილისს და საქართველოს სხვა ქალაქებს იშვიათად ახსოვს თავისი მხატვრული გაფორმებით ისეთი თვალწარმტაცი მასიური დემონსტრაციები, როგორისაც 1 აგვისტოს ჰქონდა ადგილი. მუშათა ორგანიზაციებმა ყოველნაირად უნდა შეუწყოს ხელი ანტიიმპერიალისტური დღის ჩატარებას სოფლად. აქ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ექნება საშეფო საზოგადოებათა აქტიობას. ისინი უნდა დაეხმარონ სოფელს ამ დღისათვის.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ საერთაშორისო წითელი დღე სოფლად არ განისაზღვროს მხოლოდ საზეიმო განწყობილების შექმნით. დემონსტრაციებისა და ლიტერატურულ - სამხატვრო საღამოების მოწყობის გარდა, საჭიროა მშრომელ გლეხკაცობას განემარტოს თუ როგორ ესმის პარტიას ანტიიმპერიალისტური დღის მნიშვნელობა, საჭიროა ღარიბი და საშუალო გლეხკაცობა გაიმსჭვალოს იმის შეგნებით, რომ საუკეთესო საშუალებას მომავალ ყაჩაღურ ომის წინააღმდეგ წარმოადგენს საბჭოთა კავშირის ეკონომიურად განმტკიცება. სოფელს ამ მხრივ მეტად დიდი მოვალეობა აწევს. პარტიისა და ხელისუფლების წინაშე მთელი რიგი საჭირბოროტო ძირითადი საკითხები სდგას სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის დარგში. კოლექტივებისა და საბჭოთა მეურნეობების განმტკიცება, გაუმჯობესებულ და რთულ მანქანა-იარაღების გავრცელება სოფლად, მოსავლიანობის გადიდება და სხვ. აი, ის ამოცანები, რომლებმაც ერთხელ კიდევ უნდა მიიპყრას ღარიბი და საშუალო გლეხკაცობის განსაკუთრებული ყურადღება საერთაშორისო ანტიიმპერიალისტურ დღეს. თვითეულ მოჯამაგირემ, ყოველ ღარიბ და საშუალო გლეხმა უნდა იცოდეს, რომ ამ ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის თავდადებული მუშაობა ნიშნავს არა მარტო სოფლის მშრომელი მოსახლეობის ეკონომიურად და კულტურულად წელში გამაგრებას, არამედ საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარიანობის განმტკიცებას და საერთაშორისო მშვიდობიანობის დაცვას.

არ უნდა დარჩეს არც ერთი ღარიბი და საშუალო გლეხი, რომელიც უცხოველეს მონაწილეობას არ მიიღებს ანტიიმპერიალისტური დღის ჩატარებაში. კულაკები და ყველა ჯურის ანტისაბჭოთა ელემენტები როგორც ყოველთვის, ისე ამ შემთხვევაშიაც პროვოკაციული ხმების გავრცელებით და სხვა საშუალებით შეეცდებიან საქმისათვის ხელის შეშლას. მთელი სოფლის ღარიბი და საშუალო გლეხკაცობა ერთსულოვნად უნდა გამოვიდეს საერთაშორისო წითელ დღეს მომავალ მსოფლიო ომის სულის ჩამდგმელ კაპიტალიზმისა და მისი ადგილობრივი განსახიერების — კულაკობის წინააღმდეგ. ქალაქმა უკვე სასახელოდ ჩააბარა გამოცდა, ჯერი სოფლის მშრომელ მოსახლეობაზეა.

ჰენდერსონი განაგრძობს ჩემბერლენის პოლიტიკას

მაკდონალდის მთავრობა აჭიანურებს ურთიერთობის აღდგენას საბჭ. კავშირთან

კაპიტალისტური სამყარო შიშმა შეიპყრო საერთაშორისო წითელი დღის მოლოდინში

რეაქციის გააფთრებული იერიშები რევოლიუციონური ორგანიზაციების წინააღმდეგ უცხოეთში

საერთაშორისო მენშევიზმი ეხმარება ბურჟუაზიას ანტიმილიტარისტულ მოძრაობასთან ბრძოლაში

დოვგალევსკისა და ჰენდერსონის მოლაპარაკება

(საკავშირო დეპეშათა სააგენტოსაგან)

ამხ. დოვგალევსკი

მოსკოვი, 1 აგვისტო. 29 ივლისს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელს საფრანგეთში დოვგალევსკის, რომელიც, დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის მთავრობებს შორის უკანასკნელი ნოტების გაცვლა-გამოცვლის თანახმად, მიწვეულ იქნა ლონდონში საგარეო საქმეთა მინისტრის ჰენდერსონის მიერ, ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა ამ უკანასკნელთან. საბჭოთა მთავრობის 23 ივლისის ნოტის თანახმად, დოვგალევსკიმ განაცხადა, რომ მას საბჭოთა მთავრობისაგან დავალებული აქვს დაიწყოს მოლაპარაკება ჰენდერსონთან მხოლოდ იმ მიზნით, რომ განხილულ იქნას საბჭოთა კავშირსა და დიდ ბრიტანეთს შორის არსებული ყველა სადაო საკითხის განხილვის ყველაზე უფრო სწრაფი პროცედურა. დოვგალევსკიმ შემდეგ აღნიშნა, რომ ორივე ქვეყნის ინტერესების სასარგებლოდ, განსაკუთრებით საყოველთაო მშვიდობიანობის განსამტკიცებლად, საბჭოთა მთავრობა საჭიროდ სთვლის ელჩების დაუყოვნებლივ დანიშვნას, ამასთან საბჭოთა მთავრობა, აკმაყოფილებს რა დიდი ბრიტანეთის სურვილს, თანახმაა, რომ ყველა სადაო საკითხის განხილვა მოხდეს ლონდონში და ეს განხილვა დაიწყოს დაუყოვნებლივ, ელჩების დანიშვნის შემდეგ. საბჭოთა მთავრობის აზრით, ეს გზა ყველაზეუფრო მიზანშეწონილი და სწრაფია შეთანხმების მისაღწევად საბჭოთა კავშირსა და დიდ ბრიტანეთს შორის არსებულ ყველა სადაო საკითხში.

ამის საპასუხოდ ჰენდერსონმა კატეგორიულად განაცხადა, რომ დიპლომატიური ურთიერთობის დაუყოვნებლივ განახლება საბჭოთა კავშირსა და დიდ ბრიტანეთს შორის შეუძლებელია, და წინადადება მისცა, რომ არა უგვიანეს 14 აგვისტოსი წინასწარ დაიწყოს მოლაპარაკება საბჭოთა კავშირსა და დიდ ბრიტანეთს შორის არსებულ სადაო საკითხების ირგვლივ, რისთვისაც საბჭოთა დელეგაცია უნდა გაიგზავნოს ლონდონში.

31 ივლისს დოვგალევსკიმ ჰენდერსონს გადასცა საგარეო საქმეთა სახ. კომისარიატის შემდეგი პასუხი დიდი ბრიტანეთის მთავრობის წინადადებაზე:

„საბჭოთა კავშირის მთავრობამ ყოველგვარ საშუალებას მიმართა იმისათვის, რომ გაეადვილებია დაახლოვება საბჭოთა კავშირსა და დიდ ბრიტანეთს შორის და აღედგინა ნორმალური ურთიერთობა მათ შორის. მაგრამ დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება იმის შესახებ, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობას არ შეუძლია ნორმალური ურთიერთობა განაახლოს ამ ორი ქვეყნის შორის იმ დრომდე, სანამ წინასწარ არ გადასწყდება სადაო საკითხები მათ შორის, მოწმობს, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობას არა სურს ან არ შეუძლია დასთანხმდეს ამ ურთიერთობის აღდგენაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში დიდი ბრიტანეთის მთავრობა ნორმალური ურთიერთობის აღდგენის წინასწარ პირობად არ წამოაყენებდა ისეთი რთული საკითხების გადაწყვეტას, როგორიცაა ერთმანეთის პრეტენზიები და კონტრპრეტენზიები.

ეს ახალი გარემოება, რომელიც გათვალისწინებული არ არის დიდი ბრიტანეთის 17 ივლისის ნოტაში, მოითხოვს საკითხის ხელახლა განხილვას. ამიტომ საგარეო საქმეთა სახ. კომისარიატი იძულებულია დირექტივებისათვის მიმართოს საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმს, რომლის მორიგი პლენუმი განიხილავს დიდი ბრიტანეთის მთავრობის ახალ წინადადებებს".

ამ პასუხის გადაცემის შემდეგ დოვგალევსკი დაბრუნდა პარიზში, რადგან ამით ამოიწურა მისი მისია. (ადს).

რადიკალ-სოციალისტები და ბრიანის მთავრობა

პარიზი, 1 აგვისტო. ჰავასის სააგენტოს ცნობით, რადიკალ - სოციალისტების საპარლამენტო ჯგუფმა 42 ხმით 32-ის წინააღმდეგ დაადგინა თავი შეიკავოს მთავრობისათვის ნდობის გამოცხადების წინადადებისათვის კენჭის ყრის დროს. (ადს)

„საბჭოთა ფრთები" ინგლისში

აღიარებენ საბჭოთა ავიაციის მიღწევებს

ლონდონი, 31 ივლისი. „საბჭოების ფრთები"-ს პირდაპირი გადაფრენა ნევერიდან ლონდონამდე გაგრძელდა 3 საათსა და 40 წუთს. ეტაპი პარიზი—ლონდონი გავლილ იქნა 2 საათსა და 7 წუთში.

როგორც კროიდონის აეროდრომის უფროსმა განაცხადა, ასეთი სისწრაფე ნისლიან ამინდში სარეკორდოა.

ინგლისში პირველი საბჭოთა აეროპლანის მიფრენამ აეროდრომზე მიიზიდა დიდძალი ხალხი, რომელიც მიესალმა გადაფრენის მონაწილეთ. სპეციალისტები, რომლებმაც აეროპლანი დაათვალიერეს, აცხადებენ, რომ მას შეიძლება შეედაროს ინგლისის მხოლოდ საუკეთესო აეროპლანები და აღიარებენ საბჭოთა უდიდეს მიღწევებს ავიაციაში. (ადს).

ინგლისური პრესა „საბჭოების ფრთები"-ს შესახებ

ლონდონი, 31 ივლისი. პრესა ეხება საბჭოების ფრთების" მოფრენას და აღნიშნავს, რომ ომის დასაწყისიდან ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ინგლისში რუსეთის აეროპლანი მოფრინდა.

ზოგიერთი გაზეთი ეხება აეროპლანის კონსტრუქციას, აღნიშნავს მის ორიგინალობას და მიუთითებს იმაზე, რომ აეროპლანი მთლიანად საბჭოთა ნაწილებისაგან არის გაკეთებული.

რეაქციის თარეში კაპიტალისტურ ქვეყნებში

საფრანგეთი

1-ლ აგვისტოს წინ

პარიზი, 1 აგვისტო. 31 ივლისს პარიზში დილიდანვე არაჩვეულებრივ მღელვარება იყო გამეფებული. უკვე დილის ათი საათისთვის არც ერთ კიოსკში არ მოიპოვება „ლიუმანიტე", ყველა ეგზემპლიარი გაყიდულია. საღამოს ნერვიული მდგომარეობა კიდევ უფრო ძლიერდება. საღამოს გაზეთებში დაბეჭდილია კომპარტიის უკანასკნელი მოწოდებები, რომ მუშებმა მონაწილეობა მიიღონ ხვალინდელ დემონსტრაციებში. ამასთან ერთად გაზეთები ბეჭდავენ ცნობებს პოლიციის უკანასკნელი სამზადისისა და განკარგულებების შესახებ. უნებლიეთ თვალწინ დგება ორი მტრული, ერთმანეთის პირისპირ საბრძოლველად დარაზმული, ბანაკი. ღამის 4 საათიდან პოლიციის სპეციალური რაზმებმა მთელს ქალაქში მათთვის მიჩენილი პუნქტები დაიჭირეს.

ბურჟუაზიული პრესა იყენებს ყოველ საბაბს, რომ კომუნისტებისადმი მტრული განწყობილება შექმნას. მაგალითად, ყველა გაზეთში თვალსაჩინო ადგილზეა დაბეჭდილი ვრცელი ცნობა ტურში მუშის მიერ პურის საცხობის პატრონის მოკვლის შესახებ და ნათქვამია, რომ ვითომ მუშა განაცხადა: „მე მოვკალი იმიტომ, რომ მე კომუნისტი ვარ"-ო. „ტან"-ი ამ ეპიზოდს უძღვნის ვრცელ წერილს პირველ გვერდზე. ამ სისხლის სამართლის დანაშაულს ის უკავშირებს კომინტერნის პროპაგანდას, ლენინის მოძღვრებას კომუნისტების მიერ ბურჟუაზიულ მორალის უარყოფას და სხვ. (ადს).

პარიზი, 31 ივლისი. პირველ აგვისტოს მანიფესტაციების მოლოდინში, პარიზში დაიბარეს ახალი ქვეითა და ცხენოსანთა ჯარი, აგრეთვე ჟანდარმთა ნაწილები.

„ლუმანიტე"-ს ნომრის დაკავება

პარიზი, 1 აგვისტო. 1 აგვისტოს დილით ადრე დააკავეს „ლუმანიტე"-ს ნომერი „პირველ აგვისტოსადმი მიძღვნილი წერილების მოთავსებისათვის". (ადს).

ჩხრეკა და დაპატიმრება საფრანგეთში

პარიზი, 1 აგვისტო. მთელს საფრანგეთში გრძელდება ჩხრეკა და დაპატიმრება, საერთაშორისო წითელ დღესთან დაკავშირებით. პოლიციამ ერთი კვირის განმავლობაში მესამეჯერ გაჩხრიკა „ლუმანიტე"-ს რედაქცია და დააპატიმრა რედაქციის გენერალური მდივანი ფორისტიე. დააპატიმრეს ლაკური, საფრანგეთის კომპარტიის პარიზის მე-5 სარაიონო ორგანიზაციის მდივანი. გაჩხრიკეს საფრანგეთის კომპარტიის გენერალური მდივნის სემარისა და შრომის უნიტარული კონფედერაციის გენერალური მდივნის მონმუსოს ბინები.

ლიონში ახალი ჩხრეკის დროს პოლიციამ კონფისკაცია უყო ბროშურებსა და მოწოდებებს.

კლიშში ღამით პოლიცია შეიჭრა ერთ შენობაში, სადაც პარტიული კრება მოეწყო, დააპატიმრა კრების 16 მონაწილე და კონფისკაცია უყო ფურცლებს და მოწოდებებს. (ადს).

ანტიმილიტარისტული წერილების გამოქვეყნებისათვის

პარიზი, 1 აგვისტო. „ლიუმანიტე"-ს პასუხისმგებელ რედაქტორ დენს კლავა მიუსაჯეს 9 წლით დაპატიმრება და ჯარიმის სახით 9.000 ფრანკის გადახდა ანტიმილიტარისტული წერილების გამოქვეყნებისათვის კომპარტიის ორგანოებში—„ლიუმანიტე"-ში, „ავანგარდ"-ში და „კაზერნ"-ში.

გერმანია

პროვოკაციული ჭორები

ბერლინი, 1 აგვისტო. ბურჟუაზიულ და სოციალ-დემოკრატიული გაზეთები ერთმანეთს ეჯიბრებიან ისეთი ახალი „სენსაციების" გამოგონებაში, რომლებმაც უნდა დაამტკიცონ, რომ „კომუნისტებს სურთ პირველ აგვისტოს მოაწყონ გადატრიალება".

გუგენბერგის ტრესტის გაზეთებს ამონაწერები კი მოჰყავთ რურის ოლქის ერთ-ერთი აშკარად მოჭორილი კომუნისტური ფურცლიდან პროვოკაციული ლოზუნგებით, რომლებიც მუშებს მოუწოდებენ პირველ აგვისტოსთან დაკავშირებით „ხელთ იგდონ იარაღი და დახვრიტონ იმპერიალისტური ომის წამქეზებლები".

ანტიკომუნისტურ კამპანიაში უდიდეს როლს თამაშობს სოციალ-დემოკრატიული პრესა, განსაკუთრებით „ფორვერტს"-ი, აგრეთვე „მემარცხენე" სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „ლეიპციგერ ფოლკსციტუნგ"-ი.

„როტე ფანე"-ს მოწოდება

ბერლინი, 31 ივლისი. 1-ლი აგვისტოსათვის „როტეფანე"-მ დაბეჭდა განცხადება, რომელიც ასე თავდება:

„ვისაც უნდა დემონსტრაციების მოწყობა იმპერიალისტური ომის, ჯავშნოსნებისათვის მილიარდების გადადების, რეიხსვერის, გაზებისა და სამხედრო კრედიტების სასარგებლოდ დაე მან „ჯავშნოსნებისა და ცერგიბელის" პარტიის ლოზუნგით იაროს. ხოლო ვისაც უნდა დემონსტრაცია ომის წინააღმდეგ, მან დემონსტრაცია უნდა მოახდინოს ლიბკნეხტისა და ლენინის დროშით.

პოლონეთი

მასიური ტერორი

ვარშავა, 31 ივლისი. პოლიცია და სამხედრო ნაწილები შეიარაღდეს და მოამზადეს საბრძოლველად. პოლიციას გადაეცა მსუბუქი და საბარგო ავტომობილები იმ მიზნით, რომ მან ადვილად შესძლოს ადგილიდან ადგილზე გადასვლა. პოლიციის რაზმებს უბრძანეს დაუნდობლად მოუღონ ბოლო დემონსტრაციის მოწყობის ყოველგვარ ცდას და გაფანტონ ის გამვლელებიც კი, რომლებიც 1-ლ აგვისტოს ფილაქნებზე გაჩერდებიან.

უკანასკნელი დღეების განმავლობაში პოლიციამ ვარშავაში და პროვინციალურ ქალაქებში მასიური ჩხრეკა და დაპატიმრება მოახდინა. 29 ივლისს, ერთი ღამის განმავლობაში, ვარშავაში 200 კაცზე მეტი დააპატიმრეს.

რადგან ყველა საპყრობილე სავსეა, დაპატიმრებულნი ღია ცის ქვეშ ჰყავთ. მასიური ჩხრეკა-დაპატიმრებანი მოხდა ლვოვშიაც. სხვათა შორის დააპატიმრეს „სელრობ"-ის წევრები. მათ აბრალებენ საერთაშორისო წითელი დღის ჩატარებისათვის მზადებას და დასავლეთ უკრაინის სოფლის მოჯამაგირეთა გაფიცვის მოწყობას.

ლვოვის პოლიციამ დააპატიმრა „სელრობ"-ის დეპუტატი ვალნიცკი, რომელსაც პროკურორმა წაუყენა ბრალდება „სახელმწიფო ღალატისა და არეულობის მომზადების" შესახებ.

მასიურ ჩხრეკა-დაპატიმრებას ადგილი ჰქონდა აგრეთვე ლუბლინში. ვარშავასა, ლვოვს და ლიუბლინში დააპატიმრეს პოლ. სოც. პარტიის მარცხენა ფრთის ბევრი წევრი. მისი სადგომი ლიუბლინში პოლიციამ დაკეტა და დაბეჭდა. (ადს)

ფინეთი

ჰელსინგფორსი, 31 ივლისი. მთავრობამ აკრძალა მიტინგები და დემონსტრაციები 1-ლ აგვისტოს.

მუშათა დაძმობილება საზღვრებზე

ბერლინი, 1 აგვისტო. უკანასკნელ დღეებში აღმოსავლეთ გერმანიაში საზღვრებზე მოხდა მთელი რიგი საერთაშორისო მანიფესტაციები. ბეისენში (აღმოსავლეთ სილეზია) ძმურ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო 8000 მეტმა მუშამ და სიტყვები წარმოსთქვეს პოლონეთის და გერმანიის კომუნისტური პარტიების და გერმანიის კომკავშირის წარმომადგენლებმა. ბიგენჰალსკში (აღმოსავლეთი სილეზია) და ადორფში მასიურ ძმურ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს გერმანელმა და ჩეხმა მუშებმა.

გარიენბურგში, რომლის განაპირა უბანი კაალგაფი ამჟამად თავისუფალ ქალაქ დანციგს ეკუთვნის, გაიმართა გერმანელი და დანციგელი მუშების მიტინგი. გერმანელი მუშები აღფრთოვანებით მიესალმენ დანციგის წითელფრონტელთა კავშირის რაზმს, რომელიც წითელფრონტელთა სრულ ფორმაში გამოცხადდნენ. გერმანიის და დანციგის პოლიციის ჩარევის გამო ძმური შეხვედრა შემდეგნაირად მოხდა:

საზღვარზე მყოფ მდინარის ერთ ნაპირზე შეიკრიბა მრავალი ათასი გერმანელი მუშა, ხოლო მეორე ნაპირზე—დანციგელი მუშები. ორივე ნაპირზე დაყენებული იყო პოლიციის რაზმები, რომლებიც ხელს უშლიდნენ საზღვარზე გადასვლას. უნდა აღინიშნოს, რომ სანაპირო პოლიციას სოციალ-დემოკრატი მეთაურობს. დანციგის მთავრობაშიაც სოციალ-დემოკრატები თვალსაჩინო როლს თამაშობენ.

გასელფერდეში (ბრაუნშვეიგი) მოხდა მთის რაიონის—გარცის მშრომელთა წითელი შეკრება. (ადს).

კომინტერნი ანტიიმპერიალისტური დღისათვის ბრძოლაში

იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ საერთაშორისო პროლეტარიატის გამოსვლა პირველ აგვისტოს მიმდინარეობს ბურჟუაზიის მიერ შექმნილ თითქმის საომარ პირობებში. ეს, უპირველესად ყოვლისა, ცხადი ხდება იქიდან, რომ განსაკუთრებით გამწვავდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული ომის საფრთხე. როდესაც 1914 წლის ომის წინა ხანებში ჩრდილოეთ აფრიკის ნაპირებთან მოულოდნელად გაჩნდა გერმანიის სამხედრო გემი „პანტერა", რომელმაც ადაგირის ინციდენტი გამოიწვია, ჯერ კიდევ ყველას არ ჰქონდა წარმოდგენილი, რომ მსოფლიო ომის ხიხლიანი ალი უკვე ენთებოდა. საჭირო იყო მსოფლიო ომის მწარე გამოცდილება, რომ ცხადი გამხდარიყო მმართველი კლასების მიერ მისი მომზადების მექანიკა. ჩან-კაი-შის ბანდიტების მიერ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე თავდასხმა, რომელიც იმპერიალისტური სახელმწიფოების დახმარებითა და უშუალო წაქეზებით მოხდა, გაცილებით უფრო მსხვილი ინციდენტია ადაგირისაზე. ძნელია ჩამოთვლა იმ ინციდენტებისა, რომელთაც ადგილი ჰქონდა უკანასკნელი წლების განმავლობაში და რომელთა მიზანიც იყო საბჭოთა კავშირის მხრით შეიარაღებული პასუხის გამოწვევა. თავდასხმა არკოსზე, საბჭოთა საკონსულოების თანამშრომელთა მკვლელობა ჩინეთში, იმპერიალისტური სახელმწიფოთა აგენტების მიერ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე შეიარაღებული ბანდების ორგანიზაცია—ყველაფერი ეს ცალკე რგოლებია ომის იმ აგრესიულ პოლიტიკისა, რომელსაც პროლეტარული დიქტატურის ქვეყნის მიმართ ანხორციელებდა, ანხორციელებს და მომავალშიაც განახორციელებს საერთაშორისო კაპიტალი.

1929 წლის პირველ აგვისტოსათვის მსოფლიო ბურჟუაზია კვლავ ჰქმნის ისეთს პირობებს, რომელთაც უსათუოდ უნდა მოჰყვეს იმპერიალისტური ომი ყველა მშრომელსა და გაყვლეფილის სამშობლოს წინააღმდეგ. შემდეგ, იგი კვლავ აწყობს წმინდა სამოქალაქო ომს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. სწორედ ასეთი ტიპის ომში ყველაზე უფრო ნათლად მოსჩანს მისი აშკარა კონტრ-რევოლიუციონური ხასიათი. ეს კლასთა ერთგვარი საბარიკადო ბრძოლაა საერთაშორისო სარბიელზე. აქ განსაკუთრებულის სიცხადით მჟღავნდება „კაპიტალისტური სამშობლოს დაცვის" იდეის სიყალბე, აქ პირისპირ ერთმანეთს ეჯახება ორი შეიარაღებული კლასი, ორი მებრძოლი სხვადასხვა სოციალური რეჟიმი.

ეს საერთაშორისო ომი იზრდება სამოქალაქო ომიდან თვითეული კაპიტალისტური ქვეყნის შიგნით. ბურჟუაზია ხელმეორედ ჰქმნის თვითეულ, ცალკე აღებულ სახელმწიფოში საომარ პირობებს და ამისათვის მიმართავს ფაშისტური დიქტატურის მეთოდებს. ის, რასაც ამჟამად ადგილი აქვს საფრანგეთში, ჩეხო-სლოვაკიაში, ბალკანეთში, პოლონეთში და გერმანიაში, პირველ აგვისტოს მუშათა საპასუხოდ მმართველი კლასების მზადებასთან დაკავშირებით,—ყველაზე ნათლად გვიჩვენებს საგარეო ომის უდიდეს კავშირს შინაურ ომთან, გვიჩვენებს კავშირს სამოქალაქო ომის ამ ორ ფორმას შორის. ბურჟუაზია ყველგან კრძალავს პირველ აგვისტოს დემონსტრაციებს, ის აწარმოებს მასიურ დაპატიმრებებს, ხურავს კომუნისტურ პრესას და თავს უყრის ჯარს სამრეწველო ცენტრებში. პირველ აგვისტოს პროლეტარული დემონსტრაციები შეეჯახებიან ბურჟუაზიის კლასობრივი ძალადობის ცენტრალიზაციაქმნილ სახელმწიფო აპარატს, ეს დემონსტრაციები ომის გამოცხადების მომენტში საბრძოლველად გამოსვლის სანიმუშო რეპეტიციას წარმოადგენენ.

ბოლოს, პირველ აგვისტოს საომარი პირობების ხელმეორედ შექმნა გამოიხატება კლასთა და საშუალო სოციალური ჯგუფების გენერალურ გამიჯვნაში პირველ აგვისტოს პროლეტარიატის გამოსვლის ირგვლივ. აქ ჩვენ დაახლოვებით ძალთა ისეთივე შეფარდება გვაქვს, როგორიც იქნება მუშათა კლასისათვის ომის გამოცხადების შემდეგ პირველ, ყველაზე უფრო მძიმე მომენტში. კლასობრივი ფრონტი პროლეტარიატის და ბურჟუაზიისა გამოსწორდება და „საშუალო პოზიციებს" ადგილი არ ექნება. ერთის მხრით დადგებიან პროლეტარული რევოლიუციის მომხრეები, მეორეს მხრით—კონტრ-რევოლიუციის ბანაკი, და მოხდება იმის შემოწმება, თუ რამდენად რევოლიუციონურია ყველა ჯგუფი და მიმდინარეობა მუშათა მოძრაობის შიგნით.

როგორც 1914 წლის ომმა ჩამოაცალა ნიღაბი ლენჩებსა და ერვეებს, ჟუოს ტიპის „რევოლიუციონურ სინდიკალისტებს", ისე პროლეტარიატის აგვისტოს გამოსვლას დღის სინათლეზე გამოჰყავს ყოველივე გახრწნილი, ყალბი და კომუნისტური მოძრაობის ძირითადი მიმდინარეობიდან მოწყვეტილი. პროლეტარიატის 1 აგვისტოს გამოსვლისადმი ბრაზმორეულმა ზიზღმა გააერთიანა არა მარტო კაპიტალისტები, მათი პოლიცია, მათი ეკლესია და მათი სოციალ-დემოკრატია, არამედ გააერთიანა აგრეთვე შტრეიკბრეხერები, ტროცკისტები, ჯაშუშები, კაპიტალის აშკარა და ფარული აგენტები, გააერთიანა გაისები, ილეკები და პაულ-ფრიოლიხები.

„ლენინბუნდი" სავსებით აშკარად აცხადებს,—სწერს ტროცკის ორგანო,—რომ იგი ყოველგვარი საშუალებით შეეცდება ხელი შეუშალოს 1 აგვისტოს ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციას, რომელსაც კომინტერნი და გერმანიის კომპარტია აწყობენ".

დაახლოვებით ასევე სწერს მეორე რენეგატი, ბრანდლერის მომხრე—პაულ ფრიოლიხი, რომელნიც 1 აგვისტოს გამოსვლას იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ უწოდებს „ჯანყს პერსპექტივაში". უღრმესი აღშფოთების გრძნობას იწვევს ამ რენეგატების პატარა ჯგუფი, რომლებიც მსოფლიო კაპიტალიზმის დავალებით ჭიებივით ფუსფუსებენ ომის წინააღმდეგ მსოფლიო პროლეტარიატის პირველი ნამდვილი აქტიური გამოსვლის ირგვლივ. მაგრამ ამავე დროს შეუძლებელია არ აღვნიშნოთ ის მეტად საჭირო და ჯანსაღი სიცხადე, რომელიც 1 აგვისტოს გამოსვლას შეაქვს მთელი მსოფლიოს მუშათა მოძრაობაში. ყველასათვის აშკარა ხდება მუშათა კლასის გამცემელთა და მოღალატეთა ნამდვილი ბუნება, და მშრომელი მასები ღირსეულად აფასებენ მათ სიტყვას და საქმეს. რენეგატთა ჯგუფები საბოლოოდ დაასამარებენ თავიანთ თავს პირველ აგვისტოს. ეს არის გადამწყვეტი მომენტი მათ ევოლიუციაში კონტრ-რევოლიუციონური სოციალ-ფაშიზმისაკენ.

მაგრამ სამხედრო დროის პირობები ტიპიურია იმითაც, რომ ბურჟუაზია ყოველგვარი საშუალებით სცდილობს მოახდინოს პროლეტარიატის იზოლიაცია 1 აგვისტოს დღეს. 1 აგვისტოს გამოსვლა არის წმინდა კლასობრივი გამოსვლა, ეს არის შემოწმება იმ მებრძოლი პროლეტარული ძალებისა, რომლებსაც კომუნისტები და მესამე ინტერნაციონალი დაემყარებიან სამხედრო ტერორის უცუდეს პირობებში. პაციფისტურ თანამგზავრებს, ომზე მოლაყბეებს, ყველა იმას, ვინც მასების რევოლიუციონური ინიციატივის მაგივრად მიმართავენ ცარიელ და უშინაარსო დეკლამაციას ომის საშინელებათა წინააღმდეგ, ამ გამოსვლაში ადგილი არ ექნებათ. ამაშია უდიდესი უპირატესობა პროლეტარიატის ამ წმინდა კლასობრივი მოძრაობისა ომის წინააღმდეგ. მაგრამ ამაშია აგრეთვე მისი უდიდესი სიძნელენიც. მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ მშრომელთა ფართო ფენები: გლეხობა, წვრილი ხელოსნები, აგრარული ქვეყნების ქალაქებში, მოსამსახურენი და, ბოლოს, კოლონიების გლეხური მოსახლეობა,—ის ფენები, რომლებიც უფრო და უფრო მეტად გარევოლიუციონერდებიან ომით გამოწვეული გაჭირვების ზრდის პროცესში, ეხლა ნაკლებად იქნებიან ჩაბმულნი 1 აგვისტოს გამოსვლებში. და ეს არ არის გასაკვირველი, რადგან მათ არა აქვთ ერთდროული ინტერნაციონალური გამოსვლების გამოცდილება, ასეთი გამოცდილება არ აქვს პროლეტარულ ავანგარდსაც კი—კომუნისტურ პარტიებს.

მასების მობილიზაცია ერთ დღეს, ერთი ინტერნაციონალური ლოზუნგით, ცალკე ქვეყნების კომპარტიების მომწიფება სხვადასხვა პირობებში—მეტად ძნელი და რთული საქმეა.

ეს სიძნელენი გაითვალისწინა მე-6 მსოფლიო კონგრესმა, მაგრამ მაინც, მიუხედავად სკეპტიკოსებისა, რომლებიც კომინტერნს აშინებდნენ ასეთი საერთაშორისო გამოსვლის მარცხით დამთავრების შესაძლებლობით, გადასწყვიტა ომის საწინააღმდეგო საერთაშორისო წითელი დღის მოწყობა.

ეხლავე ნათელია, თუ რამდენად სწორი იყო მე-6 კონგრესის გადაწყვეტილება. რამდენიმე კვირის განმავლობაში შევსძელით მუშათა ყურადღების მიქცევა ომის საფრთხისადმი. შევსძელით ომის პრობლემის დასმა მთელი სიგრძე-სიგანით მუშათა მოძრაობის მთელ მსოფლიო ფრონტზე, ისე მკაფიოდ დასმა, როგორც არასოდეს 11 წლის განმავლობაში, 1914—18 წლის ომის დამთავრების შემდეგ. თუ გერმანიის სოციალ-დემოკრატიაც—მსოფლიო ფაშიზმის ეს ყველაზე უსაძაგლესი და უსაზიზღრესი სახეობა,—იძულებული შეიქნა მოეწოდებია „დემონსტრაციისაკენ" 4 აგვისტოს, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ გავიყოლიეთ სოციალ-დემოკრატიული მუშათა მასა.

მრავალათასიანი დემონსტრაციები, დაძმობილება საზღვრებზე, ათი ათასი კაცის დემონსტრაცია ლოძში, რომელიც, აკრძალვის მიუხედავად ჯერ კიდევ აგვისტომდე ჩაატარა კომპარტიამ 1 აგვისტოს მზადებას ლოზუნგით,—ყოველივე ეს გვიჩვენებს, რომ უკვე დადებითად არის გადაწყვეტილი ერთდროული საერთაშორისო გამოსვლების არა მარტო შესაძლებლობის, არამედ აუცილებლობის საკითხი, მონოპოლისტური კაპიტალიზმის, საერთაშორისო ტრესტებისა და კარტელების დიქტატურის ეპოქაში მსოფლიო ომებისა და მსოფლიო რევოლიუციის ეპოქაში პროლეტარიატს არ შეუძლია იბრძოლოს მარტო ძველი „შინაური" საშუალებებით და დაკმაყოფილდეს ამა თუ იმ პროფესიის ან ცეხის მუშათა გამოსვლებით; მან უნდა გამოსძებნოს ბრძოლის ახალი მეთოდები, რომლებიც შეეფერებიან მსოფლიო კაპიტალიზმის განვითარების პირობებს.

1 აგვისტოს კომინტერნი მოახდენს ასეთი საერთაშორისო გამოსვლის პირველ ცდას, რომელიც ამსხვრევს ძველ შეხედულებებს, გამოცდილებას და ტრადიციებს, რომელიც წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ნაბიჯს მუშათა მოძრაობის ინტერნაციონალიზაციისაკენ და კომუნისტური სექციების ნაციონალური კარჩაკეტილობისა და პროვინციალიზმის გადალახვისაკენ.

მაგრამ ეს უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის ცდა კომინტერნის არსებობის მე-11 წლის თავზე, მუშათა მსოფლიო მოძრაობის ახალი რევოლიუციონური აღზვირთების პირობებში შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ ჩვენ უფრო ძლიერნი გავხდით. ჩვენ მუშათა მსოფლიო მოძრაობაში პატარა სექტას კი არ წარმოადგენთ, რომლითაც ბურჟუაზია „ობივატელს" აშინებს, რომ გაამართლოს თავისი სასტიკი რეპრესიები,—ჩვენ, კომუნისტები, მუშათა კლასის საუკეთესო შეკავშირებული მსოფლიო მასშტაბის მთლიანი პარტია ვართ, რომელიც უკვე ისახავს თავის წინაშე მუშათა მსოფლიო მოძრაობის ხელმძღვანელობისათვის ბრძოლას, როგორც აქტუალურ ამოცანას. ჩვენ არ შევასრულებდით საერთაშორისო მუშათა კლასის წინაშე ჩვენს ელემენტარულ მოვალეობას, თუ იმპერიალისტური ომის მოახლოვების გამო არ ავსტეხდით ბრძოლის განგაშს, თუ არ შევეცდებოდით ბრძოლის მთელ საერთაშორისო ფრონტზე ფეხზე დაგვეყენებია მის წინააღმდეგ მშრომელთა მასები. იმ მომენტში, როდესაც ომი უკვე მომხდარი ფაქტი იქნებოდა, განა არ გვკითხავდა ჩვენ მუშათა კლასი: „სად იყავით თქვენ, კომუნისტებო, მაშინ, როდესაც გაფაციცებით ემზადებოდნენ ომებისთვის, როდესაც კაპიტალისტური მსოფლიო ხუთივე მატერიკის მშრომელ კაცობრიობას მსოფლიო ომის ახალი უფსკრულისაკენ მიეზიდებოდა?".

შესაძლებელია, რომ საერთაშორისო გამოსვლის ჩვენი პირველი ცდა ყველგან გამარჯვებით არ დამთავრდეს. ზოგან შეიძლება თავი იჩინოს ჩვენი კომპარტიების სისუსტემ. მით უფრო უკეთესად გამოვიყენებთ ამ ცდას იმისათვის, რომ გამოვასწოროთ ჩვენი „ვიწრო ადგილები". ჩვენ შევამოწმებთ ყველა ჩვენი სექციის ბრძოლის უნარიანობას. 1 აგვისტოს მეორე დღესვე კომუნისტები დაუღალავად იმუშავებენ იმაზე, რომ გამოიყენონ აგვისტოს გამოსვლების გაკვეთილები. 1 აგვისტო ყველგან უნდა გადაიქცეს მუშათა კლასის ეკონომიური გაფიცვების პოლიტიზაციის დასაწყისად. 1 აგვისტომ მუშათა მოძრაობის დღის წესრიგში ყველგან უნდა ჩასწეროს საკითხი მასიური პოლიტიკური გაფიცვის შესახებ, როგორც პროლეტარიატის ბრძოლის ისეთი იარაღის შესახებ, რომელსაც მუშათა მოძრაობის ეხლანდელ სტადიაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მან უნდა გამოიწვიოს კომუნისტური პარტიების მხრით საკითხის დასმა ომის საფრთხის შესახებ არა შემთხვევიდან შემთხვევამდე, არა ეპიზოდიურად, არამედ როგორც ძირითადი პრობლემა, შეთანხმებული მუშათა კლასის მიმდინარე ბრძოლასთან მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს კაპიტალისტურ ქვეყნებში.

მუშათა მილიონები, რომლებიც გამოეხმაურებიან კომუნისტური პარტიების მოწოდებას 1 აგვისტოს გამოსვლების შესახებ, მიიღებენ ამ გამოსვლებიდან იმის მტკიცე რწმენას, რომ საჭიროა მათი რიგების განმტკიცება ისეთი ახალი საერთაშორისო ბრძოლების მოსამზადებლად, რომლებიც მუშათა კლასს წაიყვანენ მსოფლიო რევოლიუციისაკენ.

დ. მანუილსკი.

მოსკოვი.
გადმოცემულია ტელეგრაფით.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი

ევროპის ომი და საერთაშორისო სოციალიზმი

მოსკოვი, 1 აგვისტო. ლენინის ჯერ გამოუქვეყნებელი, ქვემოთ მოთავსებული ხელთნაწერი წარმოადგენს წერილის შავს, რომელიც ლენინს ომის დასაწყისშივე დაუწერია. ხელთნაწერის ნამდვილი თარიღი გამოურკვეველია, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ის დაწერილია მაშინვე, როგორც კი დამთავრდა ბოლშევიკების მცირე ჯგუფის თათბირი ბერნში (1914 წლის 6—7 სექტემბერს). ამ თათბირზე განხილულ იქნა ვ. ი. ლენინის თეზისები რევოლიუციონური სოციალ-დემოკრატიის ამოცანების შესახებ ომში, ხოლო ეს თეზისები მან დასწერა შვეიცარიაში ჩასვლამდე. წერილის შავი თავისი შინაარსით მჭიდროდ დაკავშირებულია ამ თეზისებთან და შეიცავს მითითებებს თეზისების ცალკე მუხლებზე და მათ განმარტებას. წერილის შავში გამოთქმული ცალკე აზრები შემდეგ შევიდნენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მანიფესტში და მეორდებიან წერილში „სოციალისტური ინტერნაციონალის მდგომარეობა და ამოცანები", რომელიც გამოქვეყნდა „სოციალ-დემოკრატ"-ის მე-35 №-ში.

იტალიური ციტატები და ცალკე სიტყვები, რომლებიც მოჰყავს ხელთნაწერში ვ. ი. ლენინს, გადმოთარგმნილია და მოყვანილი ოთხკუთხედ ფრჩხილებში.

ხელთნაწერის ტექსტი დაწერილია ლენინის ხელით შავი მელნით.

ხელთნაწერში შემოკლებულად მოყვანილი სიტყვები, ქვემოთ მოთავსებულ ტექსტში იბეჭდება [illegible] ნიშნის გაუკეთებლად.

ლენინის ინსტიტუტი.

სოციალისტისათვის ყველაზე სამძიმოა არა ომის საშინელებანი — ჩვენ ყოველთვის მხარს ვუჭერთ „Santa guerra di tutti gli apressi par la con guista delle loro patrie" [„ყველა ჩაგრულის სამღვთო ომს თავიანთ სამშობლოს დასაპყრობად"], — არამედ თანამედროვე სოციალიზმის ბელადების ღალატის საშინელებანი, თანამედროვე ინტერნაციონალის მარცხის საშინელებანი.

განა ეს სოციალ - დემოკრატიის ღალატი არ არის, როდესაც ჩვენ ვხედავთ, რომ გერმანელმა სოციალისტებმა ასე განსაცვიფრებლად იცვალეს ფრონტი (გერმანიისათვის ომის გამოცხადების შემდეგ). ყალბი ფრაზა ცარიზმის წინააღმდეგ განმათავისუფლებელი ომის შესახებ (ეს ფრაზა შეტანილი იყო გერმანიის სოციალ - დემოკრატიული ფრაქციის მიერ 4 აგვისტოს გამოქვეყნებულ დეკლარაციაში სამხედრო კრედიტებისათვის კენჭის ყრის დროს)? გერმანიის იმპერიალიზმის დავიწყება? სერბიის გაძარცვის დავიწყება? ინგლისთან ომის ბურჟუაზიული ინტერესები? და სხვ. და სხვ. პატრიოტები, შოვინისტები აძლევენ ხმას ბიუჯეტს!

განა ასეთივე ღალატი არ ჩაიდინეს საფრანგეთის და ბელგიის სოციალისტებმა? ისინი საუცხოვოდ ააშკარავებენ გერმანიის იმპერიალიზმს, მაგრამ განსაცვიფრებელ სიბრმავეს იჩენენ ინგლისის, საფრანგეთის და განსაკუთრებით რუსეთის ბარბაროსული იმპერიალიზმის მიმართ. ისინი ვერ ხედავენ იმ აღმაშფოთებელ ფაქტს, რომ საფრანგეთის ბურჟუაზიას რამოდენიმე ათეული წლის განმავლობაში მილიარდებით დაქირავებული ჰყავდა რუსეთის ცარიზმის შავრაზმული ბანდები, რომ ეს ცარიზმი სჩაგრავს რუსეთის არარუსულ უმრავლესობას, სძარცვავს პოლონეთს, სჩაგრავს ველიკორუს მუშებს და გლეხებს და სხვ.

ასეთ დროს სოციალისტი ისვენებს სულით, როდესაც კითხულობს, თუ როგორ ვაჟკაცურად და პირდაპირ უთხრა „ავანტი"-მ მწარე სიმართლე ზიუდეკუმს (ზიუდეკუმი გერმანიის სოციალ - დემოკრატიული პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გაგზავნა იტალიაში ოფიციალური დავალებით — განემარტა იტალიელ სოციალისტებისათვის გერმანიის სოციალ - დემოკრატიის პოზიცია. იტალიის სოციალისტური პარტიის ცენტრალური ორგანო „ავანტი"-ს წერილი ზიუდეკუმის ჩასვლის გამო მოთავსებულ იქნა 1 სექტემბრის ნომერში), სიმართლე უთხრა გერმანელ სოციალისტებს, რომ ისინი არიან **იმპერიალისტები**, ე. ი. შოვინისტები. კიდევ უფრო ისვენებ სულით, როდესაც კითხულობ ციბორდის (ციბორდი ჯიოვანი — იტალიური სიტყვიერების მასწავლებელი, ყოფილი დეპუტატი რეჯიო ემილიადან; სხვადასხვა დროს „ავანტი"-ს და „ჯიუსტიცია"-ს ერთ-ერთი რედაქტორი მემარჯვენე სოციალ - რეფორმისტი, შედიოდა პრამპოლინის ჯგუფში. ომის დროს მეთაურობდა პაციფისტების იმ ჯგუფს, რომელიც ხალისით ატარებდა „ევანგელისტების" სახელს, როგორც მას უწოდეს) წერილს („ავანტი", 2 სექტემბერი), რომელიც ააშკარავებს არა მარტო გერმანიისა და ავსტრიის შოვინიზმს (ეს ხომ ხელსაყრელია **იტალიის** ბურჟუაზიის თვალსაზრისით), არამედ **საფრანგეთის** შოვინიზმსაც, და ომს აღიარებს **ყველა** ქვეყნის ბურჟუაზიის ომად!

„ავანტი"-ს პოზიცია და ციბორდის წერილი რევოლიუციონურ სოციალ-დემოკრატების ჯგუფის იმ რეზოლიუციასთან ერთად, რომელიც მიღებულ იქნა სკანდინავიის ერთ-ერთ ქვეყანაში გამართულ თათბირზე (ლაპარაკია ბოლშევიკების ბერნის თათბირის — 1914 წლის 6-7 სექტემბრის — რეზოლიუციაზე) გვიჩვენებს, თუ რა არის სწორი და არასწორი ჩვეულებრივ ფრაზაში ინტერნაციონალის მარცხის შესახებ. ამ ფრაზას იმეორებენ „ბურჟუები და ოპორტუნისტები" („riformisti di destra") [მემარჯვენე რეფორმისტები] ღვარძლიანი სიხარულით, სოციალისტები („Volksrecht", B. Zür „Bremer Burgszeitung") გულის ტკივილით. ამ ფრაზაში ბევრი სიმართლეა!! **ევროპის** ინტერნაციონალის პარტიების უმრავლესობის **ბელადების** მარცხი **ფაქტია**. შეადარეთ „Vorwärts", „Wiener Arbeiter Zeitung", „Hamburger Echo" versus [წინააღმდეგ] „l'Humanite'"-სი და ბელგიელ და გერმანელ სოციალისტთა მოწოდებანი Versus გერმანიის Vorstand-ის პასუხისა. (ლაპარაკია გერმანიის სოციალ - დემოკრატიის ცენტრალური კომიტეტის იმ პასუხზე, რომელიც მან გასცა ბელგიელ სოციალისტთა მანიფესტს (ეს მანიფესტი მოწონებულ იქნა საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროს მიერ) გერმანიის სოციალ - დემოკრატიის მოქმედების წინააღმდეგ. (პასუხი ბრალს სდებდა საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროს მიკერძოებასა და კომპეტენციის გადაცილებაში). **მასებს ჯერ კიდევ არ გამოუთქვამთ თავიანთი აზრი!!!**

მაგრამ ათასჯერ მართალია ციბორდი, როდესაც ამბობს, რომ არა „dottrina slagliata" [„თეორია შემცდარი"], არა სოციალიზმის „rimendio" [„წამალი"] არის „errato" („არასწორი"), — არამედ „Semplicemente non erano in dose bastant", gli altri socialisti non sono „abastanza socialisti" [„ის საკმაო დოზებით არ მოიპოვებოდა", „სხვა სოციალისტები არ იყვნენ საკმაოდ სოციალისტები"].

არა სოციალიზმმა განიცადა მარცხი თანამედროვე ევროპის ინტერნაციონალის სახით, არამედ უღირსმა სოციალიზმმა, ე. ი. **ოპორტუნიზმმა** და **რეფორმიზმმა** სწორედ ამ ტენდენციამ, რომელიც ასე თვალსაჩინოდ გამოხატა ბისოლატი და კომპანიამ იტალიაში, **ყველგან**, ყველა ქვეყნებში განიცადა მარცხი; სწორედ იგი წლობით ქადაგებდა კლასობრივი ბრძოლის დავიწყებას და სხვ. და სხვ.

ციბორდი მართალია, როდესაც იგი ევროპის სოციალისტების მთავარ დანაშაულს ხედავს იმაში, რომ ისინი „cercano nobilistane con postumimotivi la loro incapacità a prevenire, la loro necessitá di partecipare al mocello" [„სცდილობენ ბოლო დროინდელი მოტივებით გააკეთილშობილონ თავიანთი უუნარობა წინდახედულებისა, ხოცვა-ჟლეტაში თავიანთი მონაწილეობის აუცილებლობა"], რომ ისინი „preterisce lingero die fare con amore cu che" [„ამჯობინებენ ისე მოგვაჩვენონ თავი, რომ სიყვარულით სჩადიან ამას"], რომ „costretto a fare per forsa" [„იძულებულნი არიან ძალაუნებურად ჩაიდინონ ეს"], რომ სოციალისტები „solidarizzavano ciascuno con la propria nazione, col coverno borghei dellapropria nazione... in una misura di formare una delusione per noi" [„თვითეული ისე შეუთანხმდა თავის ნაციას, თავისი ნაციის ბურჟუაზიულ მთავრობას... რომ ამას შეუძლია გული გაგვიტეხოს ჩვენ"] (და ყველა არა ოპორტუნისტ სოციალისტსაც) „e un canpiacimento per tutti i non socialisti di Jtalia" [„და ასიამოვნოს იტალიის ყველა არა სოციალისტი"] (და არა მარტო იტალიის, არამედ ყველა ქვეყნის: იხილეთ მაგალითად რუსეთის ლიბერალიზმი).

დიახ, ევროპის სოციალისტების სრული incapacità-ს, უუნარობის, უძლურების დროსაც კი, მათი ბელადების საქციელის ღალატისა და ვერაგობის პირობებშიაც, მუშები ხოცვა-ჟლეტაში მიდიოდნენ, ბელადები კი? მათ ხმა მისცეს სამინისტროებში შესვლას!!! სრული უძლურების დროსაც კი მათ ხმა უნდა მიეცათ წინააღმდეგ, არ უნდა შესულიყვნენ სამინისტროებში, არ უნდა წარმოეთქვათ შოვინისტური სისაძაგლე, არ უნდა შესთანხმებოდნენ თავიანთ „ნაციას", არ უნდა დაეცვათ „თავიანთი" ბურჟუაზია, არამედ უნდა გამოეაშკარავებიათ მისი სისაძაგლენი.

ვინაიდან ყველგან არიან ბურჟუაზია და იმპერიალისტები, ყველგან არის ხოცვა-ჟლეტის ვერაგული მზადება: თუ განსაკუთრებით საზიზღარი და ბარბაროსულია რუსეთის ცარიზმი (ყველაზე რეაქციონური), გერმანიის იმპერიალიზმიც... ფეოდალურ - დინასტიურ მიზნებს, უხეში ბურჟუაზია ნაკლებ თავისუფალია, ვიდრე საფრანგეთში. რუსეთის სოციალ - დემოკრატები მართალნი იყვნენ, როდესაც ამბობდნენ, რომ მათთვის ნაკლები ბოროტებაა ცარიზმის დამარცხება, რომ მათი უშუალო მტერი უფრო ველიკორუსული შოვინიზმია, რომ ყოველი ქვეყნის სოციალისტი (არა ოპორტუნისტი) თავის მთავარ მტერს უნდა ხედავდეს „თავის" (თავის სამშობლოს) შოვინიზმში.

მაგრამ განა ასე აბსოლიუტურია incapacità? [უუნარობა]. ასეა? fucilare [ვაძლიოთ დახვრეტის ნება?] (გმირული სიკვდილი) და საზიზღარი სიკვდილი??

„Jn Vantaggio dia un altra patria??" [„სხვა სამშობლოს სასარგებლოდ"??]. არა ყოველთვის... დაწყება შესაძლებელი იყო, სავალდებულო იყო. არალეგალური პროპაგანდა და სამოქალაქო ომი უფრო პატიოსანი, უფრო სავალდებულო ნაბიჯი იქნებოდა სოციალისტისათვის (ეს არის რუსეთის სოციალისტების პროპაგანდა).

მაგალითად, თავს ინუგეშებენ ილიუზიით: პროლეტარული ომი მოეწყობა. არა!! რათა თანამედროვე (1889-1914) ინტერნაციონალის მარცხი არ იყოს სოციალიზმის მარცხი, რათა მასებმა ზურგი არ შეაქციონ სოციალიზმს, რათა არ მოხდეს ანარქიზმისა და სინდიკალიზმის გაბატონება (ასევე სამარცხვინოდ საფრანგეთში) — ჭეშმარიტებას თვალი უნდა გავუსწოროთ. ვინც არ უნდა გაიმარჯვოს, ევროპას ემუქრება შოვინიზმის გაძლიერება „რევანში" და სხვ. გერმანული, ან ველიკორუსული შოვინიზმი იწვევს კონტრ - შოვინიზმს და სხვ. და სხვ.

ჩვენი ვალია გამოვიყვანოთ დასკვნა იმ ოპორტუნიზმის სრული მარცხის შესახებ, რომელიც ასეთი ზეიმით გამოცხადებულ იქნა იტალიაში (და რომელიც ასე მტკიცედ უკუაგდეს იტალიელმა ამხანაგებმა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღამის ცნობები

საგიტაციო ავტობუსი

ლონდონი, 31 ივლისი. მზადებამ წითელი დღისათვის ინგლისში განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო უკანასკნელ კვირეებში. ყველგან იწვევდნენ მიტინგებს, ავრცელებდნენ ფურცლებს და მართავდნენ დემონსტრაციებს. ლონდონში დღეს მიმართეს ახალ სააგიტაციო ხერხს: კომუნისტების ჯგუფმა ადგილები დაიჭირა იმპერიალზე ავტობუსში, ამასთან ყველა ისინი ჯაჭვებით იყვნენ მიბმულნი, რომ ვერ მოეხერხებიათ მათი გადმოყვანა ავტობუსიდან. როცა ავტობუსი დაიძრა, იმპერიალზე გაშალეს დროშები რევოლიუციონური სიმღერებით. ასეთმა არაჩვეულებრივმა სანახაობამ აუარებელი ხალხის ყურადღება მიიზიდა. როცა ავტობუსი შეჩერდა ტრაფალგარსკვერთან, მას გარსშემოერტყა დიდძალი ხალხი. პოლიციის განკარგულებით ავტობუსი გაგზავნეს სკოტლანდიარდში (პოლიციის მთავარი სამმართველო), სადაც გადახერხეს ჯაჭვები, რომლებითაც მიმაგრებულნი იყვნენ ავტობუსზე ამ ორიგინალური დემონსტრაციის მონაწილენი. ამასთან დააპატიმრეს ერთი ქალი, რომელსაც ბრალდებად წაუყენეს „თავდასხმა პოლიციის აგენტებზე". კომკავშირელები დღეს ენერგიულად ავრცელებდნენ ანტიიმპერიალისტურ ლიტერატურას სამხედრო ყაზარმების რაიონში ლონდონის დასავლეთ ნაწილში. პოლიციამ წაიღო ლიტერატურა (ადს).

დემონსტრაციის მონაწილის გასამართლება

ლონდონი, 1 აგვისტო. გუშინ დემონსტრაციის დროს ავტომობილში დაპატიმრებული კომკავშირელი დაუყოვნებლივ მისცეს სასამართლოში. სასამართლოს სხდომა გაიმართა დღეს დილით. საბრალმდებლო აქტის წაკითხვის დროს სასამართლოს დარბაზში მყოფი ერთ-ერთი ქალი ბრალდებულს მიესალმა ტაშის ცემით, რისთვისაც იგი დარბაზიდან გააძევეს. სასამართლომ ბრალდებულს მიუსაჯა დაჯარიმება, დაახლოვებით 20 მანეთით. განაჩენის გამოცხადების შემდეგ ბრალდებულმა არ დასტოვა თავისი ადგილი, ხელი ჩასჭიდა ბრალდებულის სკამის მოაჯირს და დაიწყო „ინტერნაციონალის" სიმღერა, „ინტერნაციონალის" სიმღერა დაიწყო სასამართლოს სხდომის დარბაზში ხალხმაც. პოლიციამ ხალხი გარეკა დარბაზიდან, მაგრამ მათ ქუჩაში სასამართლოს შენობის წინ გამართეს მიტინგი, რომელიც პოლიციამ გაფანტა (ადს).

1 აგვისტო პარიზში

პარიზი, 1 აგვისტო. ქარხნების ირგვლივ და საერთოდ მუშათა რაიონებში თავი მოუყარეს ქვეითი და ცხენოსანი პოლიციის რაზმებს. ქალაქზე დაფრინავდა პოლიციის აეროპლანები. გაზეთების ცნობით, დღეს დილით გაიფიცა 50.000 მელითონე, საამშენებლო მუშა და ხეზე მომუშავენი. მანიფესტანტების ჯგუფი, რომლებსაც უნდოდათ მონტრეში შეკრება, პოლიციამ გაფანტა. სხვადასხვა გარეუბნებში დააპატიმრეს 40 დემონსტრანტი (ადს).

1 აგვისტოს წინ

ნიუ-იორკი, 31 ივლისი. ხვალისათვის დემონსტრაციები დანიშნულია ყველგან. პოლიცია თავის მხრით ენერგიულად „ემზადება" ამ დემონსტრაციებისათვის. ბოსტონში პოლიციის ძალებს ორი ათასი კაცი მიემატა. პენსილვანიის შტატის ქვანახშირის ცენტრში.

„როტე ფანე"-ს პირველ აგვისტოს ნომერი

ბერლინი, 1 აგვისტო. „როტე ფანე" დღეს ჩვეულებრივზე დიდი ფორმატით გამოვიდა. მთელი ნომერი მიძღვნილია საერთაშორისო წითელი დღისათვის და შეიცავს მთელ რიგ წერილებს ომის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე. (ადს)

პიონერთა შეკრება

აფხაზეთში

სოხუმი, 31 ივლისი. 28 ივლისს შესდგა სრულიად აფხაზეთის პიონერთა პირველი შეკრება. შეკრებაში მონაწილეობას იღებს სოხუმის მთელი პიონერ-ორგანიზაცია და თხუთმეტი პიონერი თითო მაზრიდან. შეკრების ფლაგი აღმართულ იქნა კვირას ნაშუადღევს 4 საათზე, რის შემდეგ დაიწყო მიტინგი.

იმავე დღეს ფიზკულტურის სტადიონზე გაიმართა შეჯიბრებები. საღამოს პიონერებს უჩვენეს სურათი „სამი"—პიონერთა ცხოვრებიდან.

29 ივლისს გაიმართა ექსკურსიები ამბულატორიაში, მუზეუმში, სამეცნიერო საზოგადოებაში და მაიმუნების ფერმაში, გუშინ დილით გაიმართა სეირნობა მოტორიან ნავებით. საღამოს შესდგა შეკრების მონაწილეთა კონფერენცია. კინოში გაიხსნა პიონერ-გამოფენა. ჩატარდა შეკრების მონაწილეთა საქმიანი შემოწმება. (ადს).

სამხრეთ-ოსეთში

ცხინვალი, 31 ივლისი. 28 და 29 ივლისს ცხინვალში გაიმართა პიონერთა შეკრება. როკის ხეობის მიუვალ ხეობებიდან, გუდარიდან და ანდორეთიდან, ცხინვალში თავი მოიყარეს მთელმა პიონერებმა. 28 ივლისს საღამოს ღია ჰაერზე მოხდა სამხრეთ-ოსეთის პიონერთა პირველი შეკრების საზეიმო გახსნა, მისალმებებით გამოვიდნენ სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები. 29 ივლისს გაიმართა სასპორტო შეჯიბრებანი.

იმპერიალიზმის წინააღმდეგ--საბჭოთა კავშირის დასაცავად

თბილისის პროლეტარიატის ანტიმილიტარისტული დემონსტრაცია

იმპერიალისტების მიერ გაჩაღებულ მსოფლიო ომის 15 წლის თავზე—გუშინ თბილისის პროლეტარიატმა მძლავრი ანტი-იმპერიალისტური დემონსტრაცია მოაწყო, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 100.000-დე კაცმა.

თბილისის პროლეტარიატის ანტიიმპერიალისტური კარნავალი (31 ივლისს) „ომის გმირები"

—:—

ქალაქი წითელი დროშებითაა მორთული. სახელმწიფო, პროფესიონალური, პარტიული და სხვა ორგანიზაციების შენობები გაჩირაღდნებულია, ქუჩებზე არაჩვეულებრივი მოძრაობაა. ს. კ. პ. (ბ) ცეკას წინ საბარგო ავტომობილზე მოწყობილია ტრიბუნა. პროჟექტორის შუქი ანათებს ტრიბუნაზე მყოფთ. აქ არიან მთავრობის, პარტიული, პროფესიონალური და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები და მათ შორის საკავშირო ცაკის მდივანი ამხ. **აბელ ენუქიძე**. მიუხედავად წვიმისა, რუსთაველის პროსპექტის ორივე მხარე ხალხითაა გაჭედილი. ტრამვაი არ მოძრაობს. აი ტრიბუნის წინ გაიარა დემონსტრანტების პირველმა კოლონამ. მათ მიესალმება კომინტერნის აღმასკომის წევრი ზანგი ამხ. **ლუი კარლტონი**.

მას განუწყვეტელი „ვაშა"-ს ძახილით უპასუხებენ. თვალწარმტაც სანახაობას წარმოადგენს წითელი დროშებით, ლოზუნგებით, პლაკატებით აჭრელებული დემონსტრანტების კოლონები, რომლებიც 5 პროჟექტორის მოლურჯო სინათლით არიან გაშუქებული. ორკესტრების გუგუნი ირევა ერთმანეთში.

დემონსტრანტების ერთი ნაკადი მიიმართება მეორე ნაკადის საწინააღმდეგო მიმართულებით. დემონსტრაციაში ყველა ორგანიზაციები ღებულობენ მონაწილეობას. აი მკლავზე გაკეთებული ყვითელი ნიშნებით გამოიარეს თავდაცვა-ავიაქიმის რაზმის წევრებმა, წითელი ჯვრის სანიტარულმა რაზმმა, შაშხანებით შეიარაღებულმა კომკავშირელებმა, რომლებიც „იუნგ-შტურმის" ფორმაში არიან გამოწყობილი, წითელ არმიელებმა, პიონერებმა, მუშა-ქალებმა, ომის ინვალიდებმა.

—„ძირს ომის პროვოკატორები! გავაძლიეროთ საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარიანობა, გაუმარჯოს ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხს! გაუმარჯოს საბჭ. კავშ. სამშვიდობო პოლიტიკას"—აი ლოზუნგები, რომლებიც მოაქვთ დემონსტრანტებს. ტრიბუნაზე ზანგისა და ჩინელის დანახვისთანავე ზოგიერთი დემონსტრანტი ისვრის ლოზუნგს: „გაუმარჯოს კოლონიალური ქვეყნების ჩაგრულთ!" სიტყვები „ვაშას" მძლავრი ძახილით იფარება.

თბილისის პროლეტარიატის ანტიიმპერიალისტური კარნავალი (31 ივლისს) „ფაშისტები"

—:—

დემონსტრანტებს მოსდევენ კარნავალის მონაწილენი: „ფაშისტები", „გენერლები", „ჟანდარმები", „მღვდლები" და მსგავსნი მათნი. საბარგო ავტომობილზე მოწყობილია „საპყრობილე", რომლის ფანჯარიდანაც გამოშვერილი ხელი იჭერს წითელ ცხვირსახოცს. ემიგრანტი თეთრგვარდიელი ლოცულობს თავის უკანასკნელ იმედზე—ჩან-კაიშიზე.

ავტომობილების მოტოციკლეტების ხმაური, ორკესტრების გუგუნი, რევოლიუციონური სიმღერები, მაშხალების გასროლის ხმა ერთმანეთში ირევა. დემონსტრაციამ 9 საათამდე გასტანა. წვიმისაგან ატალახებული ქუჩა ნელ-ნელა თავისუფლდება დემონსტრანტებისაგან. ტრამვაის მოძრაობა განახლდა.

ა. შ.

წითელი დღე პროვინციაში

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ხონი, 1 აგვისტო. 31 ივლისს საწარმოებში მოეწყო კრებები ანტიიმპერიალისტურ დღის შესახებ. ქალაქის საბჭოს სხდომას დაესწრო 800 მეტი გლეხი და მუშა-მოსამსახურე. მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ მშრომელი მასები იმპერიალისტების მუქარას საპასუხოდ კიდევ უფრო შეამჭიდროვებენ თავის რიგებს კომპარტიის გარშემო სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპის და თავდაცვის უნარიანობის გასაძლიერებლად. მშრომელნი ფიცს სდებენ, რომ მიიღებენ ყველა ზომებს ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის მთელი ასი პროცენტით გასანაღდებლად.

ფალავა.

—:—

ზუგდიდი, 1 აგვისტო გაიმართა ზუგდიდის მუშა-მოსამსახურეთა და მშრომელი გლეხობის მრავალ-რიცხოვანი მიტინგი. მიტინგმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც სასტიკად გმობს ახალი ომის მომზადებას ბურჟუაზიის მიერ და აცხადებს, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცავს ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარს.

კოდუა.

—:—

სამტრედია, 1 აგვისტო გაიმართა ომის საწინააღმდეგო დემონსტრაცია. დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო ოთხი ათასმა მუშამ და მოსამსახურემ.

რ—ი.

—:—

მისალმება კაპიტალის ტყვეებს

ჟილვა (რუმინეთი).
კოსტელფრანკო (იტალია).
სანტო-სტეფანო.
გერმანიის წითელ დახმარებას

ძვირფასო ამხანაგებო!

რემედასის თბილისის ორგანიზაციის აქტივის საერთო-საქალაქო კრება 35 ათასი რემედასელის სახელით, საერთაშორისო წითელ დღესთან დაკავშირებით, გიძღვნით თავის ძმურ მხურვალე სალამს.

ძვირფასო ამხანაგებო! ჩვენ აღარ ვილაპარაკებთ იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო წითელ დღეს, რადგან თქვენ, რევოლიუციის მებრძოლებმა, ეს კარგად იცით.

ჩვენ ამ დღისათვის ვაწარმოებდით და ვაწარმოებთ უდიდეს მუშაობას საზოგადოებრივი აზრის მობილიზაციის მოსახდენად და ინტერნაციონალური კლასობრივი სოლიდარობის განსამტკიცებლად დასავლეთის მებრძოლ რევოლიუციონურ პროლეტარიატთან და აღმოსავლეთის ჩაგრულ ხალხებთან.

მთელი რიგი ფაქტები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა უკანასკნელ დროს: აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ხელში ჩაგდება ჩან-კაიშის აგენტების მიერ, კომპარტიის დაშლის კანონის მომზადება ბურჟუაზიული სახელმწიფოების მიერ, სამხედრო შეიარაღების უკიდურესად გაძლიერება, კაპიტალისტური მსოფლიოს და ფაშისტების გააფთრებული ცილისწამება მსოფლიოში პირველი პროლეტარული სახელმწიფოს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ,—ყველაფერი ეს ომის საფრთხეს სავსებით აშკარას და რეალურს ხდის. კაპიტალისტური სახელმწიფოების ინტერესთა ღრმა წინააღმდეგობა, აშკარა ბრძოლა მათ შორის მსოფლიო ბაზრების ხელ-ახალი განაწილებისათვის, კაპიტალისტური მსოფლიოს აშკარა კლასობრივი მძულვარება საბჭოთა კავშირის მიმართ,—ყოველმა ამან აუცილებლად უნდა გამოიწვიოს ხალხების ახალი ხოცვა-ჟლეტა.

კომინტერნის მე-6 კონგრესის მოწოდების თანახმად, მსოფლიო რევოლიუციონური პროლეტარიატი ამზადებს ძლიერ საპროტესტო დემონსტრაციას ახალი იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ, რომელიც პირველ რიგში მიმართული იქნება პროლეტარიატის დიქტატურის—საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამ დღეს, 1 აგვისტოს, რემედასელები მოწოდებულნი არიან ჩადგნენ პირველ რიგში და მოახდინონ თავიანთი საერთაშორისო რევოლიუციონურ-ინტერნაციონალური სოლიდარობის დემონსტრაცია. თავაშვებულ მსოფლიო ფაშიზმს ჩვენ უპასუხებთ თეთრი ტერორის აუარებელ მსხვერპლისათვის მორალური და მატერიალური დახმარების გაძლიერებით, ჩვენი სოციალისტური მშენებლობის გაღრმავებით, რომელიც გუმბერაზული ნაბიჯებით მიდის წინ, საბჭოთა ქვეყნის ეკონომიური ძლიერების და თავდაცვის უნარიანობის გაძლიერებით.

ჩვენ რემედასელები, თქვენგან შორს მყოფი ორგანიზაციის წევრები, 1 აგვისტოს დღეს მხურვალე სალამს გიძღვნით კაპიტალის ტყვეებს.

ჩვენ, საბჭოთა კავშირის მშრომელნი, და თქვენ, მუშები და გლეხები, რომლებიც გმირულ ბრძოლას აწარმოებთ კომუნიზმის იდეის განსახორციელებლად, იმედი გვაქვს, რომ შორს არ არის ის საათი, როცა თქვენთან ერთად ავაშენებთ ახალს ცხოვრებას, ეს გვწამს, ამისათვის ვიბრძვით.

ავიაქიმის რაზმი დემონსტრაციაზე

ამხ. ლუი კარლტონი

სახმედვაჭრობის მუშა - მოსამსახურეებში

გუშინ საღამოს, დემონსტრაციის დაწყებამდე, შესდგა სახმედვაჭრობის მუშა-მოსამსახურეთა მიტინგი, რომელზედაც მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ჩრდილოეთ ამერიკის კომპარტიის წარმომადგენელი კომინტერნში და რემედასის აღმასკომის წევრი ამხ. ლუი კარლტონი.

— ჩრდილოეთ-ამერიკის ყველა ის მუშები, —განაცხადა მიტინგზე ამხ. კარლტონმა,— რომლებიც განთავისუფლდნენ რეფორმისტების გავლენისაგან, თქვენთან ერთად ილაშქრებენ ახალი იმპერიალისტური სისხლის ღვრის წინააღმდეგ. ამერიკელი მუშები, თუ საჭიროებამ მოითხოვა, ყოველი ღონით ეცდებიან დაიცვან საბჭოთა კავშირი, მათ განკარგულებაში არსებული ყველა საშუალებებით.

მე, როგორც ამერიკელი ზანგების წარმომადგენელი, ვაცხადებ, რომ ამერიკაში ზანგი მუშები და თეთრკანიანი მუშები ერთ რიგებში ვიბრძვით კაპიტალისტების წინააღმდეგ. ჩვენ შორის არ არსებობს რასიული სიძულვილი და თუ კაპიტალისტური მთავრობები ომს გააჩაღებენ ამერიკის მუშათა კლასი შეეცდება ეს ომი გადააქციოს სამოქალაქო ომათ ბურჟუაზიისა და ყველა მყვლეფელების წინააღმდეგ.

შემდეგ ამხ. კარლტონი აღნიშნავს, თუ როგორ სამზადისში არიან იმპერიალისტური სახელმწიფოები და როგორ იარაღდებიან ისინი ახალი ომებისათვის, ეხება საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკას და მოუწოდებს საბჭოთა კავშირის მუშებს გააძლიერონ საბჭოთა კავშირის თავდაცვა.

სახმედვაჭრობის მუშა-მოსამსახურეთა სახელით ამხ. კარლტონს საპასუხო მისასალმებელი სიტყვით მიმართა ამხ. არუთინოვმა.

პარტიაში

პარტია რკინის ცოცხით ერეკება უღირსს ელემენტებს თავის რიგებიდან

გადაჭრით ვამხილოთ „მემარცხენე" და მემარჯვენე გადახრები პრაქტიკაში

თავიანთი ადგილი მიუჩინოთ კომყოყოჩებს

პარტიის წმენდა კახეთის მაზრაში

კახეთში პარტიის რიგების გენერალური წმენდა დაიწყო 19 ივლისს. ჯერ-ჯერობით წმინდა შეეხო 5 უჯრედს და 128 წევრს.

პარტმასის წმენდა და შემოწმება ააშკარავებს მთელი რიგ უარყოფით მოვლენებს უჯრედების და ცალკე კომუნისტების მუშაობაში.

აღსანიშნავია ის მდგომარეობა, რომ პარტმასა სუსტად ერკვევა პარტიის მიმდინარე ამოცანებში და განსაკუთრებით მემარჯვენე უკლონისტთა იდეოლოგიაში. კითხვაზე—რას მოითხოვენ მემარჯვენე გადახრის მატარებელნი, ზოგიერთი პასუხისმგებელი კომუნისტი უპასუხებდა: მემარჯვენენი მოითხოვენ გლეხობის ყველა ფენების განუსაზღვრელ დაბეგვრას (გურჯაანი), კულაკების განადგურებას" და სხვა.

სოფელ ვეჯინის და გურჯაანის უჯრედის გლეხი კომუნისტები აშკარად გაურბიან და თავს არიდებენ კოლექტივებში შესვლას.

— ჩვენს სოფელში არსებობდა კოლექტივი —აცხადებს პარტიის წევრი ვანო ქადაგიშვილი—ეს კოლექტივი უხეირო გამოდგა და მე გამოველ იქიდან. ახალი კოლექტივი ახლა დაარსეს და მასში შევალ, თუ ის კარგად იმუშავებს (!)

ნაცვლად იმისა, რომ კოლექტივის მშენებლობაში კომუნისტი იყოს ინიციატორი და მოწინავე,—ვამჩნევთ კომუნისტების ჩამორჩენას და კუდში ჩანჩალს. ეს იწვევს ღარიბ-საშუალო გლეხთა სამართლიან უკმაყოფილებას. „კოლექტივი თუ კარგია, კომუნისტები რათ გარბიან იქიდან"—აცხადებს ღარიბი გლეხობა სოფელ ბაკურციხეში.

უჯრედების კრებებს პარტიის წმენდის დროს ნათლად ეტყობა ორი ნაკლი. პირველი: ადგილი აქვს ცალკე კომუნისტების დეფექტების და უსაქციელობის დაფარვას. არის „შენც იცხოვრე, მეც მაცხოვრე"-ს განწყობილება. ცალკე კომუნისტები ცდილობენ წინასწარ „მომზადონ" საზოგადოებრივი აზრი თავიანთ სასარგებლოდ; ეს აშკარავდება შემდეგიდან: კომისიის გამოძახების თანახმად გამოდის კომუნისტი. იწყება ტაში და ოვაციები, „კარგია" და „ერთხმად"-ის ძახილი, ბოლოს კი ირკვევა, რომ „კარგი" კომუნისტი „ცოდვებით არის სავსე" და მას აძლევენ პარტ სასჯელს.

მეორე: ადგილი აქვს პირადი ანგარიშების გასწორების ცდას და უპრინციპო კინკლაობა-ინტრიგებს.

— მაგას შივიოტის შარვალი აცვია და მაგის კომუნისტობა მოტყუებაა.

— ვინც ჯამაგირს ოცდა თუმანს იღებს, ის კომუნისტი არაა. ნამდვილი კომუნისტი 60 მანეთზე მეტს არ უნდა იღებდეს (სიღნაღი).

— ამ ამხანაგებმა, წუხელ ვახშმად 4 პასუხისმგებელი კომუნისტი მიიწვია თავის სახლში და ქეიფით გაათენეს, რაც სჩანს იქიდან, რომ მის სახლში გათენებამდე ენთო ელექტრონი. (!)

ასეთი წვრილმანები ჭამჭავს დამსწრეების ყურადღებას და ხშირად გაუშუქებელი რჩება. ბიუროკრატობა, გადახრები, სოციალურად უცხო ელემენტობა, კულაკთან შეზრდა და სხვა მთავარი მომენტები.

თვით წმენდის პროცესი გრძელდება ავტობიოგრაფიის მომაბეზრებელი მოთხრობით. მიუხედავად გამწმენდი კომისიების ყოველმხრივი ცდისა, ავტობიოგრაფიის მოთხრობა ხშირად ერთი საათით ჭიანურდება.

— ომში წაგვიყვანეს, სადახლოში მოაყენეს ეშელონი და ჩავყევით, თათრებმა გვესროლეს, ჩვენც ვესროლეთ, ჩვენ მოვკალით... (ფიქრობს) არ მახსოვს რამდენი. რუსეთში გავიარე ეს სადგური, ის სადგური და ასე დაუსრულებლივ; ბოლოს ირკვევა, რომ ამ ბიოგრაფიის ავტორი სტრაჟნიკი ყოფილა 1911 წლიდან 1917 წლამდე. ამაზე, კი არაფერი თქმულა 40 წუთიან სიტყვაში.

აღსანიშნავია გამწმენდი კომისიების, განსაკუთრებით მისი მუშური კადრის სწორი კლასიური ხაზის გატარება პარტწმენდის საქმეში, გამწმენდი კომისიების წევრ მუშების თვალს და ყურს შეუნიშნავი არა რჩება უმნიშვნელო მომენტიც კი, როგორც უჯრედების, ისე ცალკე კომუნისტების მუშაობაში. მთავარი ისაა, რომ კომისიის წევრი მუშები ზედმიწევნით ერკვევიან პარტიის ამოცანებში, რომელიც სდგას საერთოდ სოფლად და განსაკუთრებით კახეთში.

კახეთში კულაკის გავლენა, მასთან შეზრდა, შემარიგებლობა და სხვა განსაკუთრებულ თვალსაჩინო ფორმებში ხდება. პარტწმენდის დარგში დღემდე ჩატარებული მუშაობა ააშკარავებს, რომ გამწმენდი კომისია მისი მუშური კადრით წარმატებით ჩაატარებს პარტიის რიგების გენერალურ შემოწმებას.

პირადი ანგარიშების განდევნა, მეტი მოურიდებლობა—პირდაპირობა, უპარტიო მშრომელთა მიზიდვა წმენდაში და თვითკრიტიკის ფართედ გაშლა—აი რა არის საჭირო პარტრიგების უფრო ნაყოფიერი შემოწმებისათვის.

ა. მ—უა.

„კომყოყოჩები"

(ქუთაისის აღმასკომთან არსებული კომუჯრედი)

სამაზრო აღმასკომთან არსებულ კომუჯრედში ირიცხება 90-მდე წევრი. უჯრედის შემოწმებამ გასტანა 18 ივლისიდან 22 ივლისამდის. შემოწმებას ესწრებოდა დიდძალი ხალხი (1600-მდე), შემოწმების დროს გამოირკვა, რომ უჯრედში ბიუროკრატიზმის და პროტექციონიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები ძალიან სუსტად არის დამუშავებული, უჯრედის მდივანმა, შეკითხვაზე თუ რა ზომებია მიღებული ბიუროკრატიზმის და პროტექციონიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხების ირგვლივ, შემდეგი განაცხადა: „ყველა გაიძახის, რომ აღმასკომში არის ბიუროკრატობა, პროტექციონისტობა; საქმის გაჭიანურება და სხვა, მაგრამ ეს მართალი არ არის. რა ვიცი მე ვერ ვნახე ბიუროკრატი და თუ ვინმე ნახავს და მეტყვის, მე ძალიან მადლობელი ვიქნებიო". უჯრედის მდივნის ასეთმა განცხადებამ დამსწრე საზოგადოებაში სიცილი გამოიწვია....

შემოწმების დროს კი გამოირკვა, რომ უჯრედის წევრებს შორის ჰქონია ადგილი გაფლანგვას, ორდერების გადასწორებას, მითვისებას, საქმის გაჭიანურებას და სხვა.

აღსანიშნავია, რომ აღმასკომის უჯრედის წმენდის დროს, ზოგიერთებმა მოინდომეს „ძველი ბოლშევიკობა" მაგ.:

ამხ. ივანე კილაძე, რომელსაც 1925 წლ. აქვს პარ. სტაჟი, ავტობიოგრაფიის მოყოლის დროს ამტკიცებდა, რომ ის „ძვ. ბოლშევიკია" რომ ის 1903 წ. იბრძვის, და დაჟინებით მოითხოვდა სტაჟს 1903 წ., მაგრამ შეკითხვებში და კამათში გამოირკვა, რომ კი მართალია ამხ. კილაძე გატაცებული იყო რევოლიუციონურ მოძრაობით, ხელს უწყობდა პროკლამაციების დაბეჭდვას და სხვა, მაგრამ მას არ ჰქონდა გარკვეული სახე. მისთვის სულ ერთი იყო, მხოლოდ მომხდარიყო რევოლიუცია, ვის სასარგებლოდ ის ამას არ ეძებდა. 1918 წ., ეს „ძველი ბოლშევიკი", მეორე ინტერნაციონალის წარმომადგენლების ქუთაისში ჩამოსვლის დროს, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა მათ შეხვედრათ, დადიოდა მათთან, ხვდებოდა ოვაციებით და სხვა. 1917 წ. დამფუძნებელ კრების მოწვევის დროს „ძველმა ბოლშევიკმა" არ მისცა ხმა—ბოლშევიკებს და სხვა.

ამხ. კილაძეს წმენდის დროს წაუყენეს მრავალი ბრალდებები, მაგ.: კილაძეს ქალაქ ქუთაისში აქვს 5 ქცევა საუკეთესო მიწა და ის ამუშავებს მოჯამაგირეებით, ამხ. კილაძემ 1927 წ. სახელგამში, სადაც ის ირიცხებოდა გამგეთ, მოაწყო თავისი შვილი და რძალი. აშენებული დიდი კაზარმები, რომელიც შეადგენდა კილაძის საკუთრებას დაარღვია და გაყიდა, კილაძემ მოიტანა თავის საკუთარი სასწორი სახელგამში და აიღო მისი საფასური, კილაძე ითვლებოდა პასუხისმგებელ გამგეთ, იღებდა ზედმეტ ნამუშევარ საათებისას და სხვა...

ყოველ შეკითხვების დროს ამხ. კილაძე ღელავდა, ყვიროდა, მაგიდაზე ურტყამდა ხელებს და უკვირდა როგორ უბედავენ „ძველ ბოლშევიკს" ასეთი შეკითხვების მიცემას...

გამოდის ამხ. **პლატონ მიხელიძე**, ავტობიოგრაფიას აფეროვნებს, ალამაზებს. ეტყობა აღელვებაც. ბუნდოვნად ახსენებს სასამართლოსაგან გაძევების მიზეზს—გამწმენდ კომისიის მაგიდა შეკითხვებით ივსება. დაბნეული მიხელიძე პასუხის მაგიერ ზოგს უცინის, ზოგს სხვას უპასუხებს. არ ყოფილა მის მიერ არც ერთ შეკითხვაზე სწორი პასუხი, მაგრამ როცა ერთი დიდი ბრალდება მის მიერ დაშვებული შრ. სასამართლოში, წამოაყენა ამხ. მარო ჩხეიძემ, ფერი ეცვალა. საქმე შემდეგში იყო: მიხელიძე გადაგზავნეს სასამართლოს წევრად: ის იწყებს ყოყოჩობას, თავისუფლად თარეშობს. მიხელიძე მალე გადადის რომანიულ ნიადაგზეც. ის ეალერსება მის პირად მდივანს, ჩხეიძის ქალს, პირდება ოქროს, ფეხსაცმელების ყიდვას, და ბოლოს ჩირვონცებსაც შეაძლევს. მოთმინება დაკარგული ქალი უჯრედის მდივანს და შრომის სასამართლოს თავმჯდომარეს უცხადებს, მიხელიძე მაინც არ ეშვება მას. რამოდენიმე ხნის შემდეგ ამხ. მიხელიძე მიდის სამსახურში აღელვებული. ქალი ვერაფრით დაიმორჩილა. სამსახურის ასრულების დროს, მისი ოთახიდან გამოქცეული დაეტაკება ლონიერათ ამხ. მიხელიძე თავის მდივანს—ჩხეიძის ქალს გულზე და მოუნდომებს მას ძალით კოცნას. ქალი გარბის პროკურორ გვასალიასთან კაბინეტში თავის გადასარჩენად. მიხელიძემ ყური გამოუჭედა მთელ ქუთაისს თავის რევოლიუციონურ მოღვაწეობაზე, რომელიც როგორც გამოირკვა ჩირადაც არ ღირებულა. მხოლოდ არა კომუნისტური ყოფაქცევისათვის ის თავის დროზე იქნა მოშორებული სასამართლოდან.

„შეჩერდი"

საქმეზე „მოვლინებული კომუნისტი" მექრთამის დასაცავად

ოზურგეთის სახალხო სასამართლოში გაირჩა ძველად კომბინატორის და ამ ბოლო დროის, სამწუხაროთ, კომუნისტის, დვაბზუს თემ-აღმასკომის ყოფილ თავმჯდომარის სეფე მახარაძის საქმე. ჩვეულება სჯულზე უმტკიცესიაო, რომ იტყვიან, სწორედ ეს ითქმის ბ-ნ სეფეზე. მან წარჩეულმა, დღესაც—საბჭოთა ხელისუფლების პირობებშიაც, ვერ შესძლო ძველ ჩვეულებათა უკუგდება, ის სხვადასხვა კომბინატორული წესებით განაგრძობდა ფარულად ქრთამების მიღებით საქმეთა წყობას.

ამ მიზნით ის მრავალჯერ მიმართავს დაპატიმრებულ ნ. კ-იას ცოლს, რომელსაც ჯერ ართმევს 80 მანეთს ქმრის განსათავისუფლებლად. პატიმარს მაინც აახლებენ. მახარაძე კი გადასახლებულის ცოლს უკანვე მხოლოდ 20 მანეთს უბრუნებს და ეუბნება: დანარჩენი მისი დახვრეტისაგან გადარჩენაში დაიხარჯაო. პატიმარი თბილისში გადაგზავნეს. სეფე აძლევს წინადადებას კვ-იას ცოლს, უშოვოს 300 მანეთი და ქმარს გაუნთავისუფლებს. 300 მანეთი კი თბილისში „დიდი კაცებისათვის მჭირდება"-ო. 300 მანეთს ვერ შოულობენ იმართება მოლაპარაკება—დასჯერდეს ნაკლებს. მიზანს აღწევენ. სეფე სჯერდება ას მანეთს მომავალში მოსრულების იმედით, „ფულად ან სხვა პატივის ცემით". სეფე დღეს ადრიანად მიდის კვირკვლიას ცოლთან ღებულობს ას მანეთს, მაგრამ მას იქვე იჭერენ. სდგება საქმე სასამართლოში გასარჩევად.

რა ხდება პროცესის დროს?

სასამართლოში ამ საქმეზე სპეციალურად მოსულ მოქალაქეთ სხდომის დარბაზი ვერ იტევს. ისინი მოელიან პროცესის დაწყებას. სასამართლოს თავმჯდომარე ჯაველიძე უმარტავს მახარაძეს, რომ მას სახელმწიფო დაიცველი დაუნიშნეს, სეფე თამამად აცხადებს, რომ ის უდანაშაულო კაცია, მას არ უნდა ვექილი, მხოლოდ შუამდგომლობს, რომ სასამართლომ დღის პირველ საათამდე დაიცადოს ვინაიდან მაშინ მოელის მატარებლით უმთავრეს მოწმეს, პასუხისმგებელი კომუნისტს, აკაკი ცხომელიძეს. სასამართლომ თუმცა იცოდა საქმეებიდან, რომ ცხომელიძეს საქმის შესახებ არაფერი გაეგებოდა, მაგრამ ბრალდებულ მახარაძის თხოვნა დააკმაყოფილა და სხდომა გადადო შუადღის 1-ლ საათამდე. დამსწრეთა შორის ამ გარემოებამ სენსაცია გამოიწვია. მოქალაქეები სამართლიანად აღნიშნავდნენ თუ რა მოწმობა შეძლია ცხომელიძეს მახარაძის მიმართ, როცა ცხომელიძე თბილისში არის და მახარაძე ბოროტმოქმედებას აკეთებს დვაბზუს თემში. ალბად, როგორც ახლობელი მეზობელი და ცოტა ნათესავიც, ცრუ მოწმობა თუ გაუწევს—ლაპარაკობდენ გლეხები. ყველანი მოუთმენლად მოელოდა მატარებლის მოსვლას, რომლითაც უნდა მობრძანებულიყო სეფე მახარაძის „მხსნელი". როგორც იქნა მოაკავლა მატარებელმა და „პატივცემული" აკაკი ცხომელიძეც გამოცხადდა ვებერთელა პორთფელით სასამართლოში. სასამართლო შეუდგა საქმის გარჩევას. დაიწყო მოწმების დაკითხვა. ჯერი მიდგა სეფე მახარაძის მთავარი „მოწმის" ცხომელიძის დაკითხვაზე. ცხომელიძე პორთფელით გამოიჭიმა მოსამართლეთა მაგიდის წინ. ცხომელიძე უმარტავს სასამართლოს, რომ მან ამ საქმის შესახებ არაფერი არ იცის, რადგან თბილისში იყო, მაგრამ იცის სეფე მახარაძის ძველი რევოლიუციონერობა, მისი უაღრესად კარგი წარსული და ამ წარსულის პატრონი კაცი ამ საქმეს არ ჩაიდენდაო; თუ მოსამართლე ნებას მის წარსულს მე დავახასიათებო. ამ სიტყვების გაგონებაზედ მაყურებლებში ირონიული ჩუმი სიცილი: „მტყუანს კარამდე მიყევიო". სასამართლომაც დართო ნება მახარაძის წარსულის დასახასიათებლად და ცხომელიძეც მოყვა: „სეფე მახარაძე ძველი რევოლიუციონერი 1917 წლიდგან, კომუნისტი, პარტიის წევრი, რომელიც მუდამ და ყოველთვის, როგორც პასუხისმგებელი კომუნისტი დვაბზუს თემში იდგა თავის სიმაღლეზე. თუ რამე კეთდებოდა თემში, ეს მისი ინიციატივით, გამოცდილებით და საქმიანობით უნდა მიეწეროს. ასეთი კაცი, ჩემის აზრით რა თქმა უნდა ასეთ საქმეს არ ჩაიდენდა. ეს მას მოუწყვეს იმ ხალხმა, რომელნიც თემში, ინტრიგანობის მეტს არაფერს არ აკეთებენო.

ამით ცხომელიძის ჩვენებამ ცუდი შთაბეჭდილება დასტოვა. გლეხები გაიძახოდენ: „ამოვიდა სპეციალურად თბილისიდან პასუხისმგებელი კომუნისტი, ვებერთელა პორთფელით, დამნაშავე სეფე მახარაძის გასანთავისუფლებლადო. სინამდვილეში კი სეფე მახარაძე 1919 წელში გამოურიცხავთ მენშევიკებს პარტიიდან; თვითონ აკაკი ცხომელიძე ამ დროს (1919 წელში), მსახურობდა მენშევიკებთან მაზრის მილიციაში.

რა გამოირკვა კიდევ. თურმე ნუ იტყვით, ცხომელიძე „მოვლინებული" ყოფილა ცენტრიდან. „ფრიად საჭირო" საკითხების გამოსარკვევად. ამხანაგებმა მიუთითეს მას, უმსგავსო საქციელის შესახებ. ის თავისას მაინც არ იშლიდა. კიდევ მეტი. ცხომელიძე მიდის სოფელში ბრალდებულ მახარაძის ეტლით, მახარაძის შვილებთან ერთად. გამოირკვა, რომ ცხომელიძემ მოვლინება მახარაძის საქმის გარჩევის დროს შეუფარდა. ასეთი ცხომელიძეები ბევრია ჩვენს პარტიაში, რომლებიც ასე თავგამოდებით იცავენ ბოროტმოქმედთ. საჭიროა მათი დაუზოგავი დროზე მხილება.

დღეს კი, როდესაც პარტია გენერალურ წმენდას ატარებს, ზედმეტია ლაპარაკი, როგორც ცხომელიძის, ისე მსგავს ცხომელიძეების პარტიის რიგებში დატოვება.

ვ. რონიშვილი.

პარტიის წმენდა სენაკის მაზრაში

(ტელეგრაფით ჩვენი კორესპონდენტისაგან)

ორი კვირის მუშაობის შემდეგ, კომისიამ ამხ. გ. ლომთაძის თავმჯდომარეობით, დაასრულა ქალაქ სენაკის ორგანიზაციის შემოწმება. წმენდა გაიარა 165 ამხანაგმა. კრებებს ესწრებოდა ყოველ დღე ორასიდან რვაას კაცამდე. მათ შორის უპარტიონი ასიდან ხუთას კაცამდე. ამხანაგების დახასიათებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ, როგორც პარტიული, ისე უპარტიოებიც. აღსანიშნავია, რომ უპარტიო მასები წმენდას მომზადებულად შეხვდენ. ქალაქის ორგანიზაციის შემოწმების შედეგები გამოქვეყნდება ორ აგვისტოს. შემდეგ კომისია გადავა თემებში სამუშაოდ. მეორე კომისიამ აფციაურის ხელმძღვანელობით ჯერ მხოლოდ აბაშის ორგანიზაცია შეამოწმა. პარტია მტკიცდება, მისი ავტორიტეტი იზრდება.

ბარამია.

შეცდომები აზერბაიჯანის პარტხელმძღვანელობაში

ფეოდალური ურთიერთობის ნაშთების არსებობა, ხანების, ბეკებისა და კულაკების გავლენის ნაშთები, ხოლო ზოგიერთ რაიონში ბრძოლა გვარებს შორის, შურისძიება და კარჩაკეტილობა აზერბაიჯანში, განსაკუთრებით კლასობრივი ბრძოლის გამწვავებასთან დაკავშირებით მრავალერზიან რაიონში—მთელი თავის სიმწვავით სვამდა კომპარტიის წინაშე ისეთი საბჭოთა აპარატის შექმნის ამოცანას, რომელიც მჭიდროდ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული მასებთან და რომელსაც შეეძლებოდა კლასობრივი ხაზის გატარება.

ბაქოს იმ უდიდესი პროლეტარული რეზერვების (მკვიდრ ეროვნებათაგან) პირობებში, რომლებიც საგრძნობლად არიან დაკავშირებულნი სოფელთან, ეს შესაძლებელი იყო.

მიუხედავად ამისა, პარტიული, საბჭოთა და პროფესიონალური ორგანოები სათანადო ყურადღებას არ აქცევდნენ სახელმწიფო აპარატზე პროლეტარული გავლენის გაძლიერებას, რის გამოც საბჭოთა ორგანოების მნიშვნელოვან ნაწილში, ზედა საფეხურიდან ქვედა საფეხურამდე, მდგომარეობა არაა დამაკმაყოფილებელი.

საბჭოთა აპარატის მთავარ ნაკლს წარმოადგენს ამ აპარატში უცხო ელემენტების თავის მოყრა, რაც კულაკების ზეგავლენით აიხსნება. სამაზრო აპარატში (ყაზახში) 112 კულაკია.

სალიანისა და ქურთისტანის მაზრებში, განსაკუთრებით სამაზრო საფინანსო განყოფილებებში, არიან ყოფილი პოლიციელები და ბოქაულები. აზერბეიჯანის სახელმწიფო საგეგმო კომისიაში სამრეწველო, სატრანსპორტო და საამშენებლო სექტორს ხელმძღვანელობს მუსავატური მთავრობის გზათა ყოფილი მინისტრი, სასოფლო-სამეურნეო სექტორს—ყოფილი მემამულე და ესერი, შრომისა და კულტურის სექციას—მუსავატური მთავრობის ყოფილი წარმომადგენელი საფრანგეთში, განათლებით იურისტი.

დეფექტებს შორის თვალში ეცემა კაცს კლასობრივი ხაზის გამრუდება, კერძოდ, არასაკმაოდ დაბეგვრა ვაჭრებისა, ფაბრიკის პატრონებისა და კულაკებისა. მაგალითად, 1928 წელს ხორცის ვაჭრები დაბეგრილ იქნენ იმ ვარაუდით, რომ მთელს აზერბეიჯანში ხორცის ვაჭრობის ბრუნვა ვითომ 6 მილ. მანეთს უდრიდა, მაშინ, როდესაც ეს ბრუნვა მარტო ბაქოში 100 მილიონ მანეთს აღემატებოდა. ნახიჩევანელი მეფაბრიკე 25.000 მანეთით იქნა დაბეგრილი 42.000 მანეთის ნაცვლად. აშკარა იყო არასაკმარისად დაბეგვრის შემთხვევები სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გატარების დროსაც. მიუხედავად იმისა, რომ მთელს აზერბეიჯანში კულაკები დაახლოვებით 4 პროცენტს შეადგენენ, ხოლო ყაზახის მაზრაში—12 პროცენტსაც კი, ინდივიდუალური წესით მხოლოდ 0,79 პროცენტი დაიბეგრა.

შეუძლებელია დუმილით ავუაროთ იმ გახრწნას, რომელსაც ადგილი ჰქონდა საბჭოთა აპარატის ხელმძღვანელ ჯგუფთა ნაწილში, ზოგიერთი სარაიონო და სამაზრო ცენტრებში, მაგ., ლენინ-სურახანის სარაიონო საბჭოში (ბაქო), რომლის სათავეშიც აზერბეიჯანის ცაკ-ის და ამ.-კავკასიის ცაკის წევრი იდგა. უცხო ელემენტებთან კავშირმა და მექრთამეობამ იქ იმ დონემდე მიაღწია, რომ როდესაც „აზნეფტ"-ისთვის მიწის ნაკვეთებს ყიდულობდნენ, ფულს „მკვდარ მფლობელთ" აძლევდნენ, ამასთან ზოგჯერ ორმაგათაც. შემდეგად ამას მოჰყვა ის, რომ ნახევარი მილიონი მანეთიდან 40 პროცენტი მისცეს ნავთის ყოფილ მრეწველებს, მსხვილ ვაჭრებს და სპეკულიანტებს, რომელთა მიწებიც კანონით უკვე ჩამორთმეული იყო ნაციონალიზაციის წესით.

არა ნაკლებ ცხად მაგალითს წარმოადგენს ამას წინად დამთავრებული სასამართლო პროცესი, რომელიც შეეხებოდა საფაბრიკო-საქარხნო სარაიონო საბჭოს თავმჯდომარეს და მდივანს. ამ პროცესმა ცხადჰყო სისტემატიური ლოთობა და კერძო ვაჭრებთან კავშირი. მეტიც: გამოაშკარავა, რომ კერძო ვაჭრებს საშუალება ეძლეოდათ უკანონოდ გამოეყენებიათ „აზნეფტ"-ის ქონება.

ცალკე უნდა აღინიშნოს ის, რომ განსაკუთრებით ბევრია უცხო ელემენტი და სუსტად მიმდინარეობს მუშაობა საბჭოთა აპარატის ქვედა რგოლში. სოფლის საბჭოს მუშაობის შინაარსს შეადგენს მხოლოდ ზემდგომი ინსტანციების ურიცხვ შეკითხვებზე პასუხის გაცემა. სოფლის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ძირითადი საკითხებისათვის სოფლის საბჭოს ჯერ კიდევ არ მიუქცევია სათანადო ყურადღება. ამას ხელს უშლის ის, რომ სოფლის საბჭოს წევრებს შორის წერა კითხვის უცოდინართა რიცხვი 80 პროცენტს აღწევს, მთელ სამუშაოს უმთავრესად ასრულებს ამა თუ იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციის წერა-კითხვის მცოდნე მდივანი. უპარტიო აქტივი კი სოფლის საბჭოს ირგვლივ არა სჩანს.

დეფექტების მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მუშები სოფლის მოჯამაგირეები და ღარიბი და საშუალო გლეხთა მასები სუსტად არიან ჩაბმულნი საბჭოთა მშენებლობის პრაქტიკულ მუშაობაში, ნამდვილ ხელმძღვანელობაში, საბჭოთა აპარატის გაუმჯობესების საქმეში, ბიუროკრატიზმთან და კლასობრივი ხაზის გამრუდებასთან ბრძოლაში. მთელი რიგი ეროვნებანი ტალიშები, ქურთები, ლეკები, ჩამოშორებულნი არიან პრაქტიკულ საბჭოთა მუშაობას, რადგან მათმა უმრავლესობამ არ იცის თურქული ენა, რომელზედაც მთელი საბჭოთა მუშაობა სწარმოებს.

მასების სუსტად ჩაბმას განსაკუთრებით ააშკარავებს ბაქოს საბჭოს მაგალითი. თვითშემოწმებამ ცხადჰყო, რომ მასები სრულებით არ იცნობენ განწესს. მთელი სამი წლის განმავლობაში ბაქოს საბჭოს ერთხელაც არ ჩაუბარებია ანგარიში ამომრჩევლებისათვის მის მიერ შესრულებული მუშაობის შესახებ. ხუთწლიანი და წლიური გეგმების დამუშავება ხდება ფართო მასების ჩაბმის გარეშე, ამ გეგმებს მასები არ იცნობენ. მასებისა და საბჭოთა აპარატის ამ სუსტი კავშირით აიხსნება ის, რომ ადგილი არა აქვს საპასუხისმგებლო სამუშაოზე მუშათა დაწინაურებას.

ყველა ეს მოვლენა პირველ ყოვლისა აიხსნება იმით, რომ საბჭოთა აპარატის მიმართ პარტიული ხელმძღვანელობა ხორციელდება უწყებრივი, ბიუროკრატიული წესით, მუშათა და გლეხთა ძირითადი მასების თანდათან გადიდებული აქტივობის გამოყენების გარეშე, საბჭოთა აპარატის (ზემო საფეხურიდან ქვემო საფეხურამდე) ყველა რგოლში თვით-კრიტიკის მეტად სუსტად გაშლის პირობებში.

მრეწველობის დარგში

ნავთის მრეწველობაში აზერბეიჯანის მიღწევები უეჭველი და საყოველთაოდ ცნობილია. ეს მიღწევები უმთავრესად აიხსნება მშენებლობის პირველ წლებში გაწეული რაციონალიზატორული მუშაობით და ნაკლებად აიხსნება უკანასკნელი წლების ასეთივე მუშაობით.

მაგრამ უდაო მიღწევებთან ერთად უკანასკნელ ხანებში ვხედავთ უარყოფითი ხასიათის ნიშნებსაც. ასეთებად უნდა ჩაითვალოს: არ იქნა მთლიანად შესრულებული თვითღირებულების შემცირების ამოცანა, როგორც ეს მიმდინარე გეგმით იყო გათვალისწინებული (მოპოვების დარგში 8 პროც., ხოლო გადამუშავების დარგში, არის მხოლოდ 8,1 პროცენტით), 1928—29 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში მთლიანად არ იქნა შესრულებული ნავთის მოპოვების პროგრამა, არის ჭის გამრუდების შემთხვევები და ფენების გაწყლიანება, რასაც ნაწილობრივ კავშირი აქვს კაპიტალური მშენებლობის დეფექტებთან და საზღვარგარეთიდან შემოტანილი მოწყობილების ღირსებასთან.

იმ დროს, როდესაც მრეწველობის ზრდის მთავარ საშუალებას რაციონალიზაცია წარმოადგენდა, პარტიული, საბჭოთა და პროფესიონალური ორგანოების მუშაობა არ იყო ისეთ ნაირად გადახალისებული, რომ უზრუნველეყოთ რაციონალიზატორული მუშაობის მაქსიმალური მიღწევები. რაციონალიზაციის მრავალი პრინციპიალური საკითხი „ზევიდან" სწყდებოდა და მუშები მხოლოდ სამეურნეო ორგანოების დადგენილებათა შესრულების პროცესში ეცნობოდნენ ღონისძიებებს. 1929 წლის მაისში 28 საწარმოს გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ სოციალისტური შეჯიბრება ტარდებოდა „შტაბური" გზით, მასების სათანადოდ ჩაბმის გარეშე. მუშების მომზადება არ იყო შეფარდებული მიმდინარე რაციონალიზაციასთან, საფაბრიკო-საქარხნო სკოლები ამზადებდნენ ისეთი კვალიფიკაციის მუშებს, რომლებსაც რაციონალიზაციის გამო ამოკლებდნენ (ზეინკლები, მჭედლები) და არ ამზადებდნენ ისეთი კვალიფიკაციას, რომლებსაც მოითხოვდა რაციონალიზაციის პროცესი (მბურღავები). პროფკავშირებმა სათანადოდ ვერ გაშალეს მუშების აქტივობა ძირითად საწარმოო ამოცანების ირგვლივ. საწ. თათბირები, დამსწრეთა სიმცირესთან (14 პრ.) ერთად, განსაკუთრებით სრულიად საკავშირო დათვალიერებამდე, მუშაობდნენ არა რეგულიარულად.

აზერბეიჯანის სამრეწველო მშენებლობაში დიდ ყურადღებას მოითხოვს მუშათა საკითხი. აქ არსებობს მუშა ძალის ერთგვარი ცვალებადობა: აზნავთის წარმოებას 48.000 მუშიდან ყოველწლიურად 12.000 კაცზე მეტი ანებებს თავს სამუშაოს და ისევ უბრუნდება მას, რაიონის შიგნით კი გადაჯგუფება წელიწადში აღწევს 18.000-ს. მრავალი ახალი მუშა ეტანება ახალ შენობების აგებას (ნუხა—2.000, განჯა—4.000). რაციონალიზაციის გამო მუშათა შემადგენლობაში ხდება თვალსაჩინო გადაჯგუფება როგორც კვალიფიკაციის, ისე ეროვნული შემადგენლობის მხრივ. შესაფერი ორგანოები და, პირველ რიგში, პროფკავშირები ამ საკითხს სულ არ აქცევდნენ ყურადღებას. არ სწარმოებს მუშაობა მუშათა ახალ ფენებშიც.

კაპიტალური მშენებლობა ხშირად ძვირის, ცდების ხასიათს ატარებს. ზოგიერთ ნაგებობას ათჯერ სჭირდება გადაკეთება. არ არსებობს საკმაო გეგმიანობა, განსაკუთრებით რაციონალიზატორულ მუშაობაში. არსებობს მმართველობის გადაჭარბებული ცენტრალიზაცია, რაც ამცირებს სხვადასხვა მსხვილ საწარმოს ინიციატივას, სუსტად სწარმოებს ბრძოლა მომჭირნეობის რეჟიმის განმტკიცებისათვის; ეს სჩანს თუნდაც იქიდან, რომ აზნავთი ყოველწლიურად ნახევარ მილიონს ადებს თავის სადგომებს, რომლებიც კერძო პირებისა და დაწესებულებების უჭირავთ, აგრეთვე იქიდან, რომ წარმოებაში 2.000 ზედმეტი მუშაა, აზნავთის აპარატს მუშაკთა ერთ ნაწილს ახასიათებს უთაურობა და ბოროტმოქმედება.

ხარისხის მაჩვენებლების მკვეთრ დაქვეითებას ვხედავთ რესპუბლიკანურ მრეწველობაში. საგრძნობია საწარმოო პროგრამის შეუსრულებელი ნაწილი: საფეიქრო დარგში—11,6 პროცენტი, ცემენტს—11,2 პროცენტი და სხვ. უდიდესი დაბანდებების და კრედი- [illegible]

თვითღირებულება წარმოების 11 დარგში (24-დან) გაიზარდა 5-დან (ლენინის სახელობის ქარხანა 12 პროცენტამდე (აბრეშუმის სართავი). 1929 თებერვლისათვის ნუხის ქარხნებში გაცდენის შემთხვევები ორჯერ გადიდდა. ასეთი მდგომარეობაა როგორც ლენინის სახელობის, ისე სხვა ქარხნებში.

რესპუბლიკანური მრეწველობის ასეთი მდგომარეობა მეტ წილად აიხსნება იმით, რომ ხელმძღვანელობამ სათანადოთ ვერ შეაფასა არსებულ საწარმოთა რაციონალიზაციის მნიშვნელობა. ზოგი ხელმძღვანელი მუშაკის აზრით, ბევრად უფრო რენტაბელურია ძველ საწარმოთა მიტოვება და ახლების აგება.

ყველაფერი ეს ამტკიცებს, რომ საჭიროა სამრეწველო მშენებლობის ხელმძღვანელობის სისტემის გაუმჯობესება, ხოლო რესპუბლიკანური მრეწველობის დარგში—მისი ძირიანად შეცვლა.

სოფლის მეურნეობა

უდიდეს პროლეტარულ ცენტრს, რომელიც ეროვნული შემადგენლობით მჭიდროთ არის დაკავშირებული სოფელთან, უნდა უზრუნველეყო სოფლის მეურნეობის წარმატებით განვითარება და მუშაობის სანიმუშოდ დაყენება სოფლად. ამავე დროს მუშაობის ეს დარგი აზერბეიჯანში დღემდე უყურადღებოდ არის მიტოვებული.

აზერბეიჯანის სოფლის თავისებურობანი—ცალკე რაიონების ეკონომიკის სიჭრელე და ფეოდალური ურთიერთობის ნაშთები, რომლებიც ჯერ კიდევ არ არიან აღმოფხვრილნი ზოგიერთ ადგილას, მძლავრი კულაკობის არსებობა და ამავე დროს მოჯამაგირეთა და ღარიბთა სუსტი ორგანიზაცია—აიძულებდა კომპარტიას—ცენტრალურ ამოცანად დაესახა სოფლის მეურნეობის გარდაქმნის ხელმძღვანელობის საკითხი. მუშაობა სოფლად მიმდინარეობდა საკმაო მოწესრიგებული ზეგავლენის გარეშე. ამხ. მუსაბეკოვი, აზერბეიჯანის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე, აზერბეიჯანის საბჭოთა მე-6 ყრილობაზე ასე ახასიათებდა მდგომარეობას: „სოფლის მეურნეობა ვითარდებოდა ცოტად თუ ბევრად თვითნებურად"-ო.

ამიტომ არ არსებობდა მკაფიო ხაზი ეკონომიურ განვითარებაში საერთოდ და მის ცალკე დარგებში კერძოდ. აშკარად საკმაო არ არის სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის ტემპი—1913 წელთან შედარებით. შეფარდება მარცვლეულ და ტეხნიკურ კულტურებს შორის შეიცვალა არა უკანასკნელი სასარგებლოდ. ბამბის ხვედრითი წონა შემცირდა, დანარჩენი ტეხნიკური კულტურები კი—გაიზარდა ერთი ორად, ამასთან უკანასკნელ კულტურებს შორის ძირნაყოფა და სათესი ბალახი არ განვითარებულა. ეს საქონლის საკვებსაც კი არ უზრუნველყოფდა. ამის გამო საძოვრები ფუჭდებოდა და კლებულობდა საქონლის საკვები, რასაც საქონლის დაღუპვა მოსდევდა. სოფლის მეურნეობის განვითარების საერთო ტემპი დაბალია, ხოლო დახარჯული თანხების ეფექტიობა სუსტი. კვლავ ძალიან დაბალია საქონლიანობა, განსაკუთრებით მარცვლეული კულტურების საქონლიანობა (8—55 პროც.). სახნავი მიწა დასათესად გამოყენებულია მხოლოდ 56 პროცენტით, სახნავად გამოსადეგი მიწის სივრცე კი უდრის მხოლოდ 26 პროცენტს. აზერბეიჯანის მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის განცხადებით, 590 ტრაქტორიდან გამოყენებულ იქნა მხოლოდ 26 პროცენტი, ამ ტრაქტორებმაც დავალება შეასრულეს მხოლოდ 40 პროცენტით. ასეთივე მდგომარეობაა სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოყენების საქმეში. იმ დროს, როცა ძალიან საჭიროა მორწყვა, წყლით სარგებლობის არსებული სისტემა გამოყენებულ იქნა მხოლოდ 30 პროცენტით.

სოფლის მეურნეობის ნელი ტემპით განვითარება და ინტენსიფიკაციის სისუსტე პირ- [illegible] სწარმოებს მუშაობა მომთაბარე მოსახლეობის გადასაყვანად მობინადრეობაზე. ეს ამოცანა მოითხოვდა მესაქონლეობის ინტენსიფიკაციის საკითხის გადაწყვეტას აზერბეიჯანის დაბლობ ნაწილში და საზაფხულო საძოვრების (იალაღის) საკითხის მოგვარებას. პარტიულ-საბჭოთა ორგანიზაციების პრაქტიკული მუშაობის ამ საკითხებს არ ექცეოდა მთავარი ყურადღება. საქონელი კვლავ ძალიან ცოტა რძეს იძლევა.

ამხ. მუსაბეკოვის განცხადებით, „გერმანული თხა ორჯერ მეტ რძეს იძლევა, ვიდრე აზერბეიჯანული თხა". მერინოსის ჯიშის მეცხვარეობაზე გადასვლა თითქმის არ სწარმოებს. არ არსებობს ელემენტარული დახმარება მოსახლეობისათვის, როცა ეს მოსახლეობა, განსაკუთრებით ღარიბ-საშუალო მასები, ყოველ წლიურად გადადის იალაღზე. მომთაბარეებს როგორც გზაში, ისე იალაღზე არავინ არ უწევს დახმარებას და მატყლს იალაღზე ყიდულობენ კერძო პირები.

მიუხედავად ფრიად ხელსაყრელი პირობებისა ბამბის აღმოცენებისათვის, მოსავლიანობა აქ 40 პროცენტით ნაკლებია შუა აზიის მოსავლიანობაზე. ამავე დროს მას არ ემჩნევა მნიშვნელოვანი ზრდა, რაც ბამბის მეურნეობას ხდის არა რენტაბელურად და მოჰქმედებს ბამბის ნათესის შემცირებაზე. საჭირო იყო განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა აგრიკულტურულ ღონისძიებათა გაძლიერებისათვის (წმინდა ხარისხის თესლის შერჩევა, განოყიერება და სხვა). ასეთი ღონისძიებები დღემდე საკმარისად არ ტარდება. ბამბის ნათესის გაფართოვებისა და გაშლის ნაცვლად ახალ მიწებზე, ხელმძღვანელობამ აიღო არა სწორი ხაზი, სახელდობრ—ხელი მიჰყო ბრინჯის ნათესის ადმინისტრატიული წესით შემცირებას. ბრინჯიდან ბამბაზე გადასვლას 1928 წ. მოჰყვა გლეხის ბიუჯეტის შემცირება. ეს შემცირება 900 მეურნეობაზე ერთ მილიონ მანეთს უდრის.

პურის დეფიციტისა და მებამბე გლეხობისათვის პურის მიწოდების პირობებში ხორბლეულის პრობლემის გადაწყვეტა უნდა მოქცეულიყო პარტიული ორგანიზაციის ყურადღების ცენტრში. ამ მხრივაც არ ყოფილა საკმაო ხელმძღვანელობა. მაგალითად, პურის დამზადებას და აზერბეიჯანს შიგნით მწარმოებელ რაიონებიდან მომხმარებელი რაიონში სათეს პურის მიწოდებას პირველად ხელი მოჰკიდეს მხოლოდ 1928 წ., მიმდინარე წელს კი მეტად დააგვიანეს. 28 ივნისისათვის გამომუშავებულიც კი არ ყოფილა დამზადების რესპუბლიკანური გეგმა.

ყველაფერი ეს არის სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნისათვის წარმოებული მუშაობის ნაკლთა შედეგი, პირველ ყოვლისა, იმის შედეგი, რომ კოოპერაციაში, განსაკუთრებით საწარმოო კოოპერაციაში, გლეხობის უმნიშვნელო ნაწილია ჩაბმული. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სისტემაში გლეხობის ჩაბმა გაიზარდა მხოლოდ 8 პროცენტით, იგი აერთიანებს მეურნეთა საერთო რიცხვის 37 პროცენტს, ამასთან, უნდა ითქვას, რომ მთელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ქსელი შესდგება თითქმის სახ.-სამ.; საკრედიტო ამხანაგობებისაგან. მეტის მეტად სუსტად არის განვითარებული სასოფლო კოოპერაციის სპეციალური დარგები, რომელთაც აზერბეიჯანის პირობებში უდიდესი მნიშვნელობა აქვთ. მესაქონლეთა ამხანაგობები აერთიანებენ სულ 5.000 მეურნეობას, მებამბეთა—33.000 წევრს, მებაღე-მევენახეთა — 9.000 წევრს, ეს მაშინ, როცა მეურნეობათა საერთო რიცხვი აზერბეიჯანში 356.000-ს უდრის.

არსებული კოლმეურნეობანი ძალიან სუსტნი არიან, როგორც მეურნეობის მდგომარეობის, ისე მათში გაერთიანებულ წევრთა რიცხვის მიხედვით, კოლმეურნეობები მუშაობენ სამაზრო და რესპუბლიკანური ორგანოების სათანადო ხელმძღვანელობის და ყურადღების გარეშე. შედეგად ბამბისა და ხორბლეულის ისეთ დიდ მაზრაში, როგორიც არის აღდამი, 52 კოლმეურნეობიდან სადია მხოლოდ 15, ჩამოყალიბებული კი—არა უმეტეს ნახევრისა. კოლმეურნეობათა დიდი ნაწილის მიწები დღემდე მოუწყობელია. რამდენად არა საკმაო ყურადღება ექცეოდა კოლექტივიზაციას, სჩანს შემდეგი ფაქტიდან: ყარასახკალის არხით ახლად მორწყულ 1.000 ჰექტარზე (რაზედაც ორი მილიონი მანეთი დაიხარჯა) გლეხების დასახლების დროს არ მოუწყვიათ ერთი კოლმეურნეობაც კი.,

არსებულ 10 საბჭოთა მეურნეობას არ ექცევა საკმაო ყურადღება ხელმძღვანელი ორგანოების მხრით და, მიუხედავად ხელსაყრელი პირობებისა მათი განვითარებისათვის (ბამბა, მატყლი, სახ.-სამ. პროდუქტები), თითქმის ყველა ზარალს იძლევა. ერთი მათგანი „კარაჩალი"—ბამბის თესლის სადედე მეურნეობა—ატარებს სრულიად არა სწორ ხაზს მეურნეობაში: თავის მიწებს იჯარით აძლევს კულაკ-გლეხებს (თვითეულს მოიჯარადრეს ათას ჰექტარს), რომლებსაც, გარდა სხვადასხვა შეღავათისა (იჯარით აღებისა და კონტრაქტაციის დროს) მოუღიათ პურის კრიზისის პირობებში 16,5 ტონა ხორბალი მტკიცე ფასებით. ეს მაშინ, როცა კოლმეურნეობები ღებულობდნენ 10,5 ტონას, რამდენი ჰექტარიც არ უნდა დაეხნათ.

სამწუხაროდ, ასეთი „კლასობრივი" პოლიტიკა არ განისაზღვრება საბჭოთა მეურნეობის ჩარჩოებით. იგი ვრცელდება აზერბეიჯანის მთელი სოფლის ცხოვრებაზე.

კულაკობასთან ბრძოლას და გლეხობის საშუალო ჯგუფების სამეურნეო მდგომარეობის გაუმჯობესებას საკმაო ყურადღება არ ექცეოდა, გარდა იმისა, რომ სათანადო ხელმძღვანელობა არ ეწეოდა სოფლის მეურნეობის განვითარებას, საკმაო ყურადღება არ ექცეოდა მის სოციალური მიმართულებასაც. დღემდე არ მოიპოვება ცნობები სოფლის ფენებად დაყოფის შესახებ და ჯერაც არ დაუწყიათ ამ მნიშვნელოვანი საკითხის შესწავლა. მტაცებლური ურთიერთობა სოფლად ჯერ კიდევ ძლიერია.

ეს განსაკუთრებით სჩანს მტაცებლური ექსპლოატაციის ფორმიდან, ეგრედწოდებული „რაჯზარობიდან". ჩვეულებრივად მრავალი მიწის ან მრავალი იარაღის მქონე გლეხი „უამხანაგდება" „რაჯზარს"—ღარიბ გლეხს, რომელიც განსაკუთრებულ ფარულ პირობებში ამუშავებს მიწას. მიწის გამზიარებელი ხვნა-თესვის დამთავრების შემდეგ ოჯახიანად მიემგზავრება საზაფხულო საძოვრებზე და მიერეკება მთელ ჯოგს. რაჯზარი ოჯახით მთელი ზაფხულის განმავლობაში რჩება ადგილობრივ ყანების მოსავლელად და მოსავლის მოსაწევად; იგი ხშირად მალიარიის მსხვერპლი ხდება.

რაჯზარობას ათზე მეტი ფორმა აქვს. რამდენიმე გამზიარებელი ერთსა და იმავე რაჯზართან სდებს სხვადასხვა პირობას. საიჯარო ურთიერთობის შესწავლამ ბამბის პლანტაციებზე აღდამის მაზრაში გვიჩვენა, რომ მოიჯარადრე თვითეულ ჰექტარ ბამბის ნათესზე ხარჯავს ასი დღის შრომას, გამზიარებელი კი—63 დღისას. ერთი დღის შრომის ანაზღაურება რაჯზარისათვის უდრის 95 კა., გამურება რაჯზარისთვის უდრის 95 კაპ., გამოხდება მუშა ხელის აშკარა დაქირავება, რომელიც არც ვადით და არც მუშაობის რაოდენობით არ განისაზღვრება. შრომის ანაზღაურება პირდაპირ დამოკიდებულია მოსავალზე. ამ საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა იმიტომაც, რომ რაჯზარებად მეტ წილად არიან სპარსელები და მთიანი ყარაბაღის სომხები, რომელთა იალაღებზედაც მიერეკება ჯოგს ზაფხულობით თურქი მოსახლეობა, უტოვებს რა თავის მეურნეობას მოსავლელად სომეხ რაჯზარს.

ამ გარემოებას ემატება, სხვა მომენტებიც, პირველ ყოვლისა მიწით და წყლით სარგებლობის პირობები. მიწადმოწყობის ჩატარების დროს არ ისპობა მიწის მრავალნაჭრიანობა და მიწის შორეული მდებარეობა. კულაკის ხელში ისევ საუკეთესო მიწა რჩება. კულაკებისა და საშუალო გლეხობის მიწების ჩამონაჭრები, რომლებიც ნაკუწ-ნაკუწად ურიგდება ღარიბ გლეხობას, ფაქტიურად მათ მიერ გამოუყენებელი რჩება.

ამით აიხსნება უმთავრესად ის ფაქტი, რომ ღარიბებისათვის გაგზავნილი სასოფლო-სამეურნეო მანქანების (ორი წლის განმავლობაში გაგზავნილ იქნა 1 მილიონი მანეთის სახ.-სამ. მანქანები) საგრძნობი ნაწილი ხელში უვარდებოდა სოფლის შეძლებულ ფენებს „იჯარით". რადგან ღარიბი გლეხის მიწა მოუწყობელი იყო, ამიტომ მანქანები ზოგიერთ ადგილას არარენტაბელური გამოდგა მისთვის და იგი ამ მანქანებს ან ჰყიდდა შეძლებულ გლეხზე ან ბევრი მიწის მქონე გლეხის რაჯზარი ხდებოდა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში და უფრო ხშირადაც რაჯზარს მანქანა ბოლოს და ბოლოს შეძლებულ გლეხს რჩებოდა.

წყლის საკითხში სოფლის შეძლებული ფენები წინანდებურად უფრო სასარგებლო პირობებში რჩებიან. მოედნის გადიდებამ ახალი საირიგაციო მშენებლობით, რამაც უდიდესი თანხები შთანთქა (10 მილიონზე მეტი) და არავითარი შედეგი არ მოგვცა, გამოიწვია ის, რომ ფაქტიურად გვერდი აუხვიეს ღარიბთა ფენების მეურნეობათა განვითარებას ისეთი უმარტივესი ღონისძიებების გატარებით, როგორიც არის: ძველი საირიგაციო სისტემების რემონტი, ადგილობრივი არხების, წყალსაქაჩავების და ჭების გაწმენდა, მიუხედავად იმისა, რომ ამ მიზნისათვის საკმაო კრედიტი გადაიდო. მარტო ჯებრაილის მაზრაში წელს გამოუყენებელი დარჩა 74.000 მან. კრედიტი.

კრედიტების მიწოდების საქმეში ადგილი აქვს კლასობრივი ხაზის დამახინჯებას. ნახიჩევანის ავტონ. რესპუბლიკაში, მაგალითად, ჯულფის ამხანაგობაში ღარიბებმა საშუალოდ მიიღეს 85 მან., საშუალო გლეხებმა—47 მანეთი, კულაკებმა კი—231 მანეთი. ნარიმანოვის დაირაში კულაკისათვის კრედიტის მიწოდება აღწევს 400 მანეთამდე. დამახინჯება მიდის იქამდე, რომ კრედიტს აძლევენ ბეგებს და ვაჭრებს.

პოლიტიკის დამახინჯებისა და დეფექტების მიზეზად აზერბეიჯანის სასოფლო-სამეურნეო მშენებლობაში უნდა ჩაითვალოს საზოგადოებრივი მუშაობის სისუსტე სოფლად. მოჯამაგირის როლი საზოგადოებრივ პოლიტიკურ ცხოვრებაში სოფლად ძალიან უმნიშვნელოა. სოფლად ჯერ კიდევ არ სწარმოებს მოჯამაგირეთა პოლიტიკური აღზრდა და მათ შორის ისეთი აქტიური პროლეტარული კადრების მომზადება, რომლებსაც შეეძლებათ პროლეტარული გავლენის უზრუნველყოფა. პროფკავშირების მუშაობას მოჯამაგირეებს შორის ახასიათებს ფორმალური მიდგომა წევრების მიღების დროს, აქედან პროფკავშირების ავსება უცხო ელემენტებით და განსაკუთრებით კავშირი „რაჯზარობასთან"; მათ შორის არიან ღარიბ-საშუალო ფენები, რომლებიც მექანიკურად შედიან სასოფლო-სამეურნეო მუშათა კავშირში (კახის დაირაში მოჯამაგირეთა 45 პროცენტი იხდის სასოფლო-სამეურნეო გადასახადს).

მუშაობა ღარიბებს შორის უმთავრესად საკამპანიო ხასიათს ატარებს. ღარიბთა პოლიტიკური აქტიობის ზრდას კამპანიების დროს არ აძლიერებენ შემდეგ პრაქტიკულ მუშაობაში. ღარიბთათვის საკმაო სამეურნეო დახმარებას სუსტად იყენებენ ღარიბთა შესაკავშირებლად და მათი ეკონომიური და პოლიტიკური როლის გასაძლიერებლად. მიუხედავად იმისა, რომ ღარიბთათვის კრედიტების მისაწოდებელი ფონდები სამი წლის განმავლობაში გაიზარდა ერთი ხუთად, ღარიბთა კოოპერაციაში შეკავშირება ხშირად ხდება ისე, რომ მას არ ატყობინებენ ამის შესახებ; „იგი ამას იგებს მხოლოდ მის შემდეგ, როცა მოხდება მისი წევრად ჩამოყალიბება. ღარიბთა ჯგუფები ხშირად წარმოადგენენ „ღარიბთა კომიტეტებს". მათი როლი ჯერ კიდევ მეტად უმნიშვნელოა.

პარტუჯრედების როლი სოფლად კლასობრივი ბრძოლის გაშლაში მეტად უმნიშვნელოა. სოფლის უჯრედების ავსება უცხო ელემენტებით, კავშირი შეძლებულ ფენებთან, ღარიბი გლეხის როლის ჯეროვნად შეუფასებლობა,—ყოველივე ეს, დაირა-პარტკომების მხრივ საკმაო ხელმძღვანელობის უქონლობის გამო, იწვევდა ქვედა საფეხურის პარტორგანიზაციების უმრავლესობის არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობას. ამას ადასტურებენ იმ მუშების მოხსენებები, რომლებიც სოფლად იყვნენ გაგზავნილი საბჭოების გადარჩევის დროს. ამგვარად, საზოგადოებრივი მუშაობა სოფლად ჯერ კიდევ ნაკლებად უწყობს ხელს გლეხობის ღარიბ-საშუალო ფენების დარაზმვას კულაკების ძლიერ გავლენასთან საბრძოლველად.

ამას ერთვის კიდევ ის შეცდომები, რომლებიც დაშვებულ იქნა მაშინ, როცა საშუალო გლეხობას ზედმეტი მიწები ჩამოერთვა; შემდეგ—წყლისა და საძოვრების საკითხთა გადაუჭრელობა და კონტრაქტაციის საქმეში კულაკის წინაშე უპირატესობის არ არსებობა. საშუალო გლეხისადმი უყურადღებობამ და ზოგიერთ ორგანიზაციებში მისი როლის შეუფასებლობამ განსაკუთრებით აშკარა გავლენა იქონია საბჭოების გადარჩევის კამპანიის დროს. სიების შედგენის დროს საშუალო გლეხები ხშირად ხვდებოდნენ ხმაწართმეულთა შორის. ლენქორანში არ იქნა აღდგენილი ასეთ „ხმაწართმეულთა" 88 პროცენტი, ზოგიერთ დაირაში—50 პროცენტიც კი. საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში, თვით ბაქოს მაზრაშიც კი, საშუალო გლეხები სულ შეადგენდნენ 5 პროცენტს. საშუალო გლეხობის როლის შემცირების ნათელ მაგალითს ვხედავთ იმაში, რომ იმ დროს, როდესაც აზერბეიჯანის მოსახლეობაში საშუალო გლეხობა 60 პროცენტს შეადგენს, სოფლის საბჭოების შემადგენლობაში მათი პროცენტი 38-დან 14 პროცენტამდე შემცირდა.

დიდ როლს თამაშობს აგრეთვე სოფელთან დაკავშირებული ორგანიზაციების საქმიანობის სისუსტე. აზერბეიჯანის წყალთა მეურნეობის სამმართველოს, აზერბეიჯანის მებამბეობის კომიტეტს, „ქეიბერლიგს" მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატს და სხვა ორგანიზაციებს ვიწრო საუწყებო და ბიუროკრატიული ხასიათი აქვთ და მათი მუშაობა არ არის დაკავშირებული როგორც ერთმანეთთან ისე მასებთან. თითქმის არავინ არ აბარებს თავისი მუშაობის ანგარიშს სოფლის საბჭოს და სოფლის ყრილობას. ისეთი სამუშაო, როგორიცაა მტკვრის ნაპირების გამაგრება, რაც სეზონის განმავლობაში ნახევარ მილიონზე მეტ მუშა-დღეს მოითხოვს, ძალდატანებით ხასიათს ატარებს და არ ხდება საზოგადოებრივი ყურადღების დარაზმვა ამ სამუშაოების ირგვლივ. ნაპირების გასამაგრებელ სამუშაოთა დაგვიანება (დეკემბრის ნაცვლად მარტში) 100.000 გლეხზე მეტს აცდენს მინდვრის სამუშაოებს.

მაგრამ პარტიული ხელმძღვანელობის უმნიშვნელოვანესი საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია სოფლის მეურნეობის აღდგენასა და სოციალისტურ საფუძველზე, გარდაქმნასთან, კულაკების წინააღმდეგ ბრძოლასთან და რომლებიც გართულებულია ნაციონალური მომენტებით, არ დასმულან შესაფერი სიმწვავით და არ შესწავლილან. ამიტომ ადგილებზე ჯერ კიდევ არ იციან, როგორ მიუდგნენ სოფლის მეურნეობის გარდაქმნის საქმეს, პირველ რიგში ღარიბ და საშუალო ფენების ამაღლებას და მათი ბლოკის განმტკიცებას კულაკების წინააღმდეგ საბრძოლველად.

კ. პუშნიცინი.

„იზვესტია".
გადმოცემულია ტელეგრაფით.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის ფურცელი

მასების კონტროლის გზით

როგორ გაიფლანგა 36 ათასი მანეთი

ხელისუფლება ყოველწლობით რამდენიმე მილიონ მანეთებს ხარჯავს უმუშევართა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ეხმარება უმუშევრებს ფულით, ხსნის სახელოსნოებს, აწყობს სხვადასხვა სახის სავაჭრო ერთეულებს და სხვა. მაგრამ, სამწუხაროდ, უმუშევართა დახმარებას ხშირად გულგრილად ეკიდებიან ზოგიერთი პასუხისმგებელი პირები. არ აქცევენ ყურადღებას თანამშრომლების შერჩევას საპასუხისმგებლო სამუშაოზე და სხვა. უფრო მეტიც, ამ დარგის ზოგი პასუხისმგებელი პირი თითქო განსაკუთრებით ეძებს არასაიმედო პირებს, რომელთა ხელშიც ყოველდღიურად უნდა გაიაროს ათი ათასებმა. ერთ-ერთი ასეთი პიროვნებაა ის, რომელიც ამჟამად მოთავსებულია გამსახლში—გვარათ გოგვაძე. როგორ მოხდა, რომ გოგვაძეს ასეთი საქმე ჩააბარეს?

შრომის ბირჟას განაგებდა ამხ. მ. არეშიძე, რომელიც უკანასკნელად მოხსნილ იქნა ამ თანამდებობიდან. ნუ თუ ის არ იცნობდა გოგვაძეს, როცა ღებულობდა მას მთავარ ბუხჰალტრის თანამდებობაზედ? რას უნდა მიეწეროს ყოველივე ეს თუ არა დაუდევრობას? გოგვაძის გულგრილობით საშუალება მიეცა უმუშევართა კოლექტივის მოლარეს გაეფლანგა და მიეთვისებია ორმოცი ათას მანეთამდე.

ამას გარდა არანაკლებ საინტერესოა თუ ვინ აძლევს კოლექტივის მოლარეს რეკომენდაციებს, რომ ის დაეზღვიათ, როგორც საგარანტიო მოსამსახურე? აქვე მოვიყვან რეკომენდაციის ტექსტს: აღნიშნულ მოლარის შესახებ ილიკო ებრალიძე სწერს: „ვიცნობ მას, როგორც კეთილსინდისიერს და დიდად პატიოსან ადამიანს"—იქვე ქვემოთ ამხ. ქ. სტურუა უმატებს: „ვეთანხმები ებრალიძის მიერ მიცემულ დახასიათებას".

მე არ შევუდგები ილიკო ებრალიძის დახასიათებას მთლიანად, ვინაიდან ეს შორს წაგვიყვანდა. მოკლედ კი ვიტყვი—ი. ებრალიძე ყოფილი ბოლშევიკია. ემიგრაციაშიც იყო (სისხლის სამართლის საქმეზე), შემდეგ დაუმტკიცდა, რომ მენშევიკების სასარგებლოდ ჯაშუშობდა, რისთვისაც პოლიტსამმართველოს კოლეგიის მიერ გადაწყვეტილი ჰქონდა დაპატიმრება.

რაც შეეხება ამხ. სტურუას, მას სრულებით მექანიკურად მიუცია თავის დასტური, რასაც შედეგად მოჰყვა დაზღვეულის მიერ 40 ათას მანეთამდის ფულის გაფლანგვა.

ნუ თუ კოლექტივის მთავარმა ბუხჰალტერმა ე. გოგვაძემ, რომლის მოვალეობასაც შეადგენდა ყოველდღიურად სალაროს გასინჯვა და შემოწმება, არ იცოდა ის, რომ მოლარეს ცალკე ჰქონდა თავისი წიგნაკი, სადაც აღნიშნულია სხვადასხვა პირებზე დავალიანებები? საეჭვოა, რომ ეს ასე იყვეს. მას არც ჰქონდა უფლება არ სცოდნოდა ეს.

აქვე დავასახელებ იმ პირებს, რომლებიც პროტექციის სახით ღებულობდნენ კოლექტივის სალაროდან ფულებს. **ევგენია საკალინსკაიას** მიღებული აქვს სხვადასხვა დროს 150 მან., გადახდილი აქვს 30 მანეთი; **მეგრელიშვილს** სხვადასხვა დროს მიუღია 175 მანეთი—გადახდილი აქვს 15 მან., **კონსტანტინე ზე**დასხვა დროს—91 მან. გადახდილი აქვს 46 მან.; **კარაპეტიანცს**—85 მანეთი, გადახდილი აქვს 35 მან.; **აბაზალოვს**—76 მან., რომლიდანაც არაფერი არ გადაუხდია; **ნიკოლაიშვილს**—40 მან.—არ გადაუხდია; **სირაძეს**—55 მანეთი, არ გადაუხდია; **გრიგორიანცს**—35 მან.,—გადახდილი აქვს 15 მან., **კონსტანტინე გუცევს**—106 მან., გადახდილი აქვს 46 მან., ვილაც ვალიკოს მიუღია—90 მანეთი, **სერგეევს**—550 მანეთი, **პატარაიას**—140 მანეთი და ასე შემდეგ. სულ სალაროდან სხვადასხვა დროს და უმართებულად გაუტანია ფული 37 კაცს.

ამას გარდა აღსანიშნავია, რომ ბუხჰალტერიის წესების თანახმად ყოველდღიური შემოსავალ-გასავალი იმავე დღესვე შედის საბუხჰალტრო წიგნებში, რომელსაც კონტროლს უკეთებს მთავარი ბუხჰალტერი, მაგრამ მიუხედავად აღნიშნულ წესებისა, ბუჰალტერი გოგვაძე არ სთხოვდა ანგარიშებს მოლარეს. ამრიგად წარსული წლის ოქტომბრის თვიდან დაწყებული მიმდინარე წლის 27 აპრილამდე მოლარეს მიუღია სულ 36.000 მანეთამდე, რომელიც წიგნებში არ შეჰქონდა.

აი ის უმსგავსობა, რომელიც მოხდა შრომის ბირჟის კოლექტივის ბუხჰალტერიაში და სალაროში. მოლარე დღეს მიმალულია, მაგრამ პასუხისმგებელი მარტო ის არ არის.

ასეთი უთავბოლო მოქმედებისათვის პასუხი უნდა აგონ თვით ბირჟის კოლექტივის ხელმძღვანელ პირებმა. ამ საქმის მთლიანად გამომჟღავნებისა და საქმის საბოლოოდ გამოსასწორებლად საჭიროა მუშათა და გლეხთა ინსპექციის მაგარი ხელი.

ს. ლომიძე.

მთავარ საკურორტო სამმართველოს ხელმძღვანელთა უყაირათობამ ათეული ათასი მანეთის ზარალი მიაყენა სახელმწიფოს.— უთავბოლო ავანსები, პასუხისმგებელ თანამშრომელთა დავალიანება და ხელოვნურად შექმნილი მივლინებები ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა საკურორტო სამმართველოში. — ყველა ეს უმსგავსოებანი თავის დროზე იქნა გამოაშკარავებული „კომუნისტი"-ს ფურცლებზე. — საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის დადგენილება მთავარ საკურორტო სამმართველოს მუშაობის შესახებ.

საკურორტო სამმართველოს ბედოვლათები

საქართველოს მთავარ საკურორტო სამმართველოს შესახებ არაერთხელ იყო მოთავსებული წერილები გაზ. „კომუნისტი"-ს ფურცლებზე. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ საჭიროდ სცნო მოეხდინა ნაწილობრივ გამოკვლევა, თუ რამდენად შეეფერებოდა სიმართლეს საკურორტო სამმართველოს წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებები.

რაში გამოიხატებოდა ბრალდებანი? საქმისადმი ბიუროკრატიული მიდგომა, საქმის გაჭიანურება, პროტექციონიზმი, და სხვა. რამდენად შეეფერება ყველა ეს სიმართლეს, ამას წერილში ქვემოდ მოყვანილი სტრიქონები გვიჩვენებენ.

დღიდან ბორჯომის წყალის წარმოების და საკურორტო სამმართველოს გაერთიანებისა, ბორჯომის წყალის საქმე წარმატების მაგიერ თუარებულ დაბრკოლებებს განიცდიდა. საწარმოო და დამხმარე მასალების მარაგი სასწრაფოდ ილეოდა, მათ შეძენაზე არავინ ფიქრობდა. მასალების მიწოდება ხდებოდა ქაოტიურად. ენკენისთვიდან დაწყებული ირღვევა სამი წლის განმავლობაში წესიერად გახატკიცებული ხელფასის და სპეცტანისამოსის დარიგება. ეცემა წყალის გასაღება. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ბორჯომის წყალის ჩამოსხმისა და გასაღების საქმე სწორედ იმ დროიდან ფერხდება, როდესაც საკურორტო სამმართველო არსებულ შტატს არ დაჯერდა და სპეციალურად მოიწვია საექსპლოატაციო განყოფილების გამგეთ ვინმე ბოროდიაევი. გ. წ. უყაირათო და ქაოტიურ მუშაობის შედეგად მივიღეთ ის, რომ ბორჯომის წყალის ზედნადებ ხარჯებმა იმატა, და 1928 წ. სარეალიზაციო გეგმა ჩამორჩა გათვალისწინებულ ციფრებს—3.500.000 ბოთლით, რაც საშუალო ღირებულებით შეადგენს 1.200.000 მ. ახლად გახსნილმა საბაზისო საწყობებმა უფრო გაართულეს ფინანსიური მდგომარეობა და ძალზე გაზარდეს ზედნადები ხარჯები. ეს ხდება იმიტომ, რომ საწყობები უსისტემოდ გაიხსნა, მომუშავეები არ იყვნენ წესიერად შერჩეულნი და ზოგიერთ შემთხვევაში დაუშვებელ პროტექციონიზმს ჰქონდა ადგილი. ამას, წყალის გაუსაღებლობის გამო, დაემატა ცალიერი ბოთლების ზედმეტი მარაგი. ამრიგად მომგებიანი საქმე დეფიციტიან წარმოებად გადაიქცა.

როგორც გამოირკვა, ცალიერი ბოთლები ბორჯომის წყალის სამმართველოს სრულიად წესიერად ჰქონდა შეკვეთილი, (დაკვეთა შეეფარდება, როგორც ხუთწლიან გეგმას, აგრეთვე წლიურ ხარჯთ-აღრიცხვას და საწარმოო გეგმას), მაგრამ დღიდან გაერთიანებისა, საკურორტო სამმართველომ ჩაშალა ეს გეგმები. წარსულ წელს მან ვერ შეასრულა რეალიზაციის გეგმა—3.500 ბოთლით, წელს 1-ლ მაისამდე საწარმოო გეგმა ჩამორჩა — 2.500.000 ბოთლით, გარდა ამისა საკურორტო სამმართველომ სრულიად შეუგნებლად განახლა ძველი ბოთლების უკან მიღება, რაც აღკვეთილი იყო 1927 წლიდან, ხოლო ამავე დროს გაადიდა საკუთარი ბოთლების დამზადება. დღეს ბორჯომის წყალს დაგროვილი აქვს დაახლოებით 10.000.000-მდე ცალიერი ბოთლი, რომელიც წარმოებისათვის წარმოადგენს მკვდარ თანხას, რომელიც საშუალოდ უდრის 500.000 მან. არ არის არც ერთი საკითხი წარმოების დარგში, რომელიც დამაკმაყოფილებლად მოეწესრიგებინოს საკურორტო სამმართველოს. ნახევ. ბოთლების ჩასასხმელი ფორმები, რომლის გაკეთება 1 თვეში შეიძლებოდა, 5—6 თვე გაჭიანურდა, რის წყალობით საწარმოო გეგმა ამ დარგში შემცირდა 50 პროცენტით. საყუთე მასალა, ბურბუშელა, რომელიც თვით ბორჯომში მზადდება სატყეო ტრესტის ქარხანაში და რომლის მასალასაც თვით საკურორტო სამმართველო იძლევა, დღესაც არ მოეპოვება ქარხნებს საჭირო რაოდენობით. თავსაკოებს ჰყიდიან მაშინ, როდესაც მისი საზღვარგარეთიდან შემოტანის საკითხი გამოურკვეველია, შემდეგ კი იწერენ ერთი ორ ფასად. იყო შემთხვევა, იმ დროს, როდესაც შუშის ქარხანა განიცდიდა კრიზისს, სათბობი მასალების უქონლობის გამო, 19 ცისტერნი მაზუთი, რომელიც მივიდა ბორჯომის სადგურზე და მის გამოსასყიდათ საჭირო იყო მხოლოდ 1.500 მანეთი, დაბრუნებულ იქნა უკან ხაშურში მაზუთის თავის დროზე გამოუსყიდველობის გამო. შემდეგ კი საკურორტო სამმართველოს მოუხდა მისი უკანვე დაბრუნება, რამაც გამოიწვია ზედმეტი ხარჯები 1.026 მანეთის რაოდენობით.

დაუდევრობა იქამდე მივიდა, რომ შუშის ქარხანამ საორთქლო ქვაბის მოსაწყობად გადმოუგზავნა მთავარ საკურორტო სამმართველოს დასამტკიცებლად 5.000 მან. რაოდენობით შედგენილი ხარჯთ-აღრიცხვა და ამ ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება 5—6 თვემდე გაჭიანურდა. ამ დროის განმავლობაში ძველი საორთქლო ქვაბი გაფუჭდა, რასაც შედეგად მოჰყვა შუშის ქარხნის დაახლოებით ათი დღით გაჩერება, შემდეგ კი მოუხდათ რკინის გზიდან ორთქლმავალის დაქირავება. ყველა ზემოაღნიშნული დაბრკოლებათა გამო, შუშის ქარხნები გაჩერებული იყო ორმოცდაოთხი დღე (44), რითაც წარმოებამ ნახა სამოცდა ცხრა ათასი მანეთი ზარალი.

მაგრამ იქნებ საკურორტო დარგში გააკეთეს რამე ამ დარგის ხელმძღვანელებმა? თითქმის არაფერი. ხელფასის გაცემა აქაც სისტემატიურად აგვიანებს, სპეციალური თანხები თავის დანიშნულებისამებრ არ იხარჯება, ხარჯთ-აღრიცხვა მეტად დაგვიანებით მტკიცდება, აგრეთვე აღსანიშნავია ის მდგომარეობა, რომ საწარმოო გეგმა, რომელიც უნდა დამტკიცებულიყო 1928 წლის ნოემბერში, ჯერაც არ არის დამტკიცებული. ზოგიერთი თანამშრომელი ბოროტად იყენებს მივლინებებს, არ ასწორებს საავანსო ანგარიშებს, ამას ყურადღება არ ექცევა საკურორტო სამმართველოს მიერ. მაშინ, როდესაც ტექნიკურ ბიუროში ოთხი ინჟინერია და ორი ტექნიკოსი. ბორჯომის სასტუმროს გეგმის შეკვეთა მოსკოვში უხდებათ და ამისათვის 1.700 მანეთს იხდიან. შუშის ქარხნის გენერალურ გეგმის შედგენაში მთავარ ინჟენერ ბუზოღლის მიღებული აქვს 1.500 მან.; ჯერ კიდევ 1928 წ. აპრილში, სამუშაო კი ჩაუბარებელია. (შესრულების ვადა ოთხი თვე იყო).

სატყეოს მდგომარეობა, დაკითხული პირების სიტყვით, ცუდი არ უნდა იყოს. ადგილებზე კი მათი გამოკვლევა არ მომხდარა, მაგრამ მათი საერთო ხელმძღვანელობა ნაწილობრივ ყოვლად ბედოვლათურად, უკეთ რომ ვსთქვათ, პირადი ჯიბის გასასქელებლად იქცევა, სანამ მას დღიურები მოჰქონდა ედლოდა, 18 თვის განმავლობაში მივლინებაში იყო 142 დღე, როდესაც დღიური საერთო წესით მიუჩინეს 12 თვის განმავლობაში 155 დღე იყო მივლინებაში. ცალკე სატყეებს [illegible] საწარმომადგენლო თანხები, რომლის გაცემა სრულებითაც ზედმეტი იყო.

რა გასაკვირია, რომ ასეთ დაწესებულებაში პროტექციონიზმს, ბიუროკრატიზმს, ბედოვლათობას და საქმის გაჭიანურებას ჰქონდა ადგილი. ყოველივე ამან ბორჯომის წყალის წარმოება განადგურების გზაზე დააყენა და თვით საკურორტო სამმართველოს თავის სწორ მიმართულებას აცდინა.

მიიღო რა ყოველივე ეს მხედველობაში, საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ დაადგინა:

საჭიროდ იქნას ცნობილი ცხოვრებაში შემდეგ ღონისძიებათა გატარება:

გამოყოფილი იქნას ბორჯომის საწარმოთა სამმართველო ბორჯომის მინერალურ წყალთა დამოუკიდებელ გამგეობად და დატოვებულ იქნას იგი მთავარ საკურორტო სამმართველოს ქვეშ 1930 წლის 1-ლი იანვრიდან (საქართველოს სახკომსაბჭოს დადგენილების საფუძველზე).

გამოეცხადოს საყვედური საქართველოს მთავარ საკურორტო სამმართველოს უფროსს ამხ. **მამალაძეს** ბორჯომის მინერალურ წყალთა და, ნაწილობრივ, საკურორტო სამმართველოს მუშაობის სუსტი ხელმძღვანელობისათვის და პროტექციონიზმისა და უყაირათობის გამოჩენისათვის.

მოხსნილი იქნას მუშაობიდან სამეურნეო-საექსპლოატაციო განყოფილების გამგე **ბოროდიაევი** უყაირათობისათვის, საქმის გაჭიანურებისათვის და როგორც არასაიმედო ელემენტი.

შენიშვნა მიეცეს ინჟინერ ბუზოღლის იმისათვის, რომ ის საქმეს გულგრილად ეკიდებოდა. წინადადება მიეცეს მას სასწრაფოდ შეასრულოს ის სამუშაო, რომელიც მას მიენდო. მთავარ საკურორტო სამმართველოს კი წინადადება მიეცეს გადაახდევინოს მას ამ მუშაობისათვის მიღებული 1.500 მანეთი.

მიღებულ იქნას მხედველობაში მთავარი საკურორტო სამმართველოს უფროსის ამხ. **მამალაძის** განცხადება ნიჟნი ნოვგოროდში საწყობის დახურვის შესახებ, რადგანაც მას ზარალი მოაქვს.

სამუშაოდან მოხსნილი იქნას **ბრაგილევსკი**, მოსკოვის საბაზისო საწყობის გამგის მოადგილე, რომელსაც ისეთი მნიშვნელოვანი დავალიანება აქვს, რომ ის შეიძლება მიჩნეულ იქნას, როგორც გაფლანგვა. მან ამ დავალიანების ანგარიშები არ წარმოადგინა და, ყოველივე ბრძანებისა და ნებართვის გარეშე, თვეში 100 მანეთს ღებულობს.

წინადადება მიეცეს მთავარ საკურორტო სამმართველოს—გამოარკვიოს ნამდვილი რაოდენობა იმ დავალიანებისა, რომელიც ბრაგილევსკიზე ითვლება, და თუ მან არ დაფარა ვალი, საქმე გადაეცეს პროკურატურას.

წინადადება მიეცეს მთავარ საკურორტო სამმართველოს მოახდინოს ადმინისტრატიული-სამეურნეო ხარჯების შემცირება და ამის შედეგები დასამტკიცებლად საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციაში წარმოადგინოს.

წინადადება მიეცეს მთავარ საკურორტო სამმართველოს უარჰყოს ცარიელი ბოთლების უკან მიღების სისტემა, რომელიც საქონლის ზედმეტ დაგროვებას იწვევს.

წინადადება მიეცეს მთავარ საკურორტო სამმართველოს—მიიღოს ყოველივე ღონისძიება იმისათვის, რომ ქარხნები დროზე იქნან უზრუნველყოფილი სათანადო საჭირო მასალებით, მაგალ., პრობკებ ხის ქერქით, ყუთებით, მაზუთით და სხვ.

შენიშვნა მიეცეს „საქართველოს ღვინო"-ს, გამგეს ამხ. **ლიცინოვს** ზედმეტი ორგანოთა დადგენილების დარღვევისათვის,—მთავარ საკურორტო სამმართველოს სახელზე 60.000 მანეთის მეგობრული თამასუქების გაცემისათვის. სახმდღვაჭრობამ ამხ. **კანდელაკის** სახით, მეორეჯერ დაარღვია დადგენილება, რაც გამოიხატება იმაში, რომ მან 40.000 მანეთის მეგობრული თამასუქი გასცა მთავარ საკურორტო სამმართველოს სახელზე, მიუხედავად იმისა, რომ მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიის დადგენილების თანახმად, მას მოეთხოვა, რომ ეს დაუშვებელია. ამიტომ სახმდღვაჭრობის გამგეს ამხ. **კანდელაკს გამოეცხადოს საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით.**

წინადადება მიეცეს მთავარ საკურორტო სამმართველოს აღადგინოს „ვსეკობანკი"-დან ბორჯომის სასტუმროს ასაგებად მიღებული კრედიტები და დაუყოვნებლივ შეუდგეს სასტუმროს აგებას.

წინადადება მიეცეს მთავარ საკურორტო სამმართველოს—მოუსპოს ტყის მცველებს ყოველგვარი თანხები წარმომადგენლობისათვის.

საყვედური გამოეცხადოს სახელმწიფო საკურორტო სამმართველოს ფინანსიურ-სამეურნეო განყოფილების გამგეს **ბუახიძეს** საქმის გაჭიანურებისათვის და საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულებისათვის, რომელიც გამოიხატა იმაში, რომ ქარხნის მიერ ორთქლის ქვაბის დასადგმელად წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა დროზე არ იქნა დამტკიცებული და, ამნაირად, საწარმომ 81.000 მანეთი იზარალა.

წინადადება მიეცეს მთავარ საკურორტო სამმართველოს მოახდინოს იმ ვალის ლიკვიდაცია, რომელიც მას მუშებისა მართებს, როგორც ხელფასისა, ისე სპეცტანისამოსის სახით, და მომავალში არ დაუშვას მათი დროზე მიუცემლობა.

რაც შეეხება საკითხს იმ ცალიერ ბოთლების უკან დაბრუნების შესახებ, რომლებიც საქონლის ზედმეტ დაგროვებას იწვევს, გადაეცეს ეს საკითხი საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან არსებულ რაციონალიზაციის საბჭოს იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად მიზანშეწონილია ბოთლების უკან დაბრუნება.

საკითხი იმის შესახებ, რომ ინჟინერ ბუზოღლის გადახდის მის მიერ შუშის ქარხნის პროექტის შესადგენად მიღებული 1.500 მანეთი, დამატებით იქნას გამოკვლეული საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის ინჟინერ ამხ. ვოლოხთან ერთად.

მიღებული ზომა იმის თაღდებია, რომ გაჯანსაღდება ორივე დაწესებულება, რომელნიც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში თვალსაჩინო ერთეულებს წარმოადგენენ.

ვ. რაფავა.

ასეთი „პედაგოგები" ახალ კადრებს ვერ აღგვიზრდიან

ხარფუხი თბილისში ერთ-ერთ მუშურ რაიონად ითვლება. აქ მუშაობს: ტყავტრესტის, საპონ-ზეთის, თამბაქოს, ქეჩის, მაკარონის და სხვა ფაბრიკა-ქარხნები. რაიონში არსებობს ქართული შვიდწლედი და ქართული საბავშო ბაღი. მიუხედავად ერთგვარი სხვადასხვაობისა, სკოლა ვერ იტევს მოწაფეთა რაოდენობას. მოწაფეთა 60—70 პროც. შეადგენენ ფაბრიკა-ქარხნის მუშების შვილები.

ამავე დროს ხარფუხში მცხოვრებთა ერთი ნაწილზე გავლენას ახდენენ მღვდლები, მოლები და ცრუმორწმუნენი. აგრეთვე ადგილი აქვს მცირეწლოვანთა გათხოვებას, მოტაცებას, გაუპატიურებას, ხულიგნურ თარეშს, ლოთობას და სხვ. უმსგავსოებას. მაგ., მე-3 ჯგუფიდან გაიყვანეს მცირეწლოვანი ბავში და გაათხოვეს; წითელათი ავადმყოფის ბავშის დედამ სკოლის ექიმი არ შეუშვა სახლში ავადმყოფის გასასინჯათ, რათა „ბატონება" არ შეშინდესო. სკოლამ ჩაატარა ანტი-რელიგიური კამპანია. ცრუმორწმუნეების ხელმძღვანელობით ამის საპასუხოდ იმავე ღამეს ჩაამტვრიეს სკოლის ფანჯრების შუშები. სკოლა აწარმოებდა ბრძოლას ყოველგვარი უმსგავსოების წინააღმდეგ. ამ მუშაობაში „ერთგვარ" გულგრილობას იჩენდა ზოგიერთი მასწავლებელი. ამ მხრივ პირველ ყოვლისა აღსანიშნავია ყოფილი მღვდელი ბენიამინ კონტრიძე. 1923 წლამდე სახარებით და ჯვრით ხელში კულტურულად ჩამორჩენილ ხარფუხის მცხოვრებს სამოთხეში ცხონებას უქადაგებდა, ხოლო 1923 წლიდან 1928 წლამდე სკოლაში გამგის მოადგილედ იყო და მოხერხებულ დროს მოწაფეები ეკლესიაში დაჰყავდა.

კონტრიძე გაურბის ყოველგვარ საზოგადო მუშაობას და ცდილობს არევა შეიტანოს სკოლის ცხოვრებაში. როდესაც მას მიმართეს პედ-საბჭოს სხდომაზე, როგორც მე-7 ჯგუფის დამრიგებელს ლიტ-წრისა და თვითმმართველობის მუშაობის გამოცოცხლების შესახებ, მან მედიდურად განაცხადა: „ჩემს თავში არ შედის მოწაფ. თვითმმართველობის მუშაობის მეთოდები"-ო. ცდილობს თავიდან აიცდინოს სკოლის მიერ ჩატარებული ანტი-რელიგიური კამპანიები. ამ, უკაცრავად სიტყვაა „საბჭოთა პედაგოგს" სახლი მორთული აქვს საეკლესიო სურათებით და ხატებით. არის სახლის მესაკუთრე და მუდამ ჩხუბშია მდგმურ მუშებთან. სხვათა შორის ნახუცარი იმდენად გათამამდა, რომ მოწაფეებში ეწეოდა აშკარა შოვინისტურ პროპაგანდას.

ყოველივე ეს იცის ალმასკომის განათლების განყოფილებამ, მაგრამ კონტრიძე მაინც უდარდელად და არხეინად განაგრძობს თავის საქმეს. საკითხავია, ვისი ხელი მფარველობს მას?

ყოფ. მღვდელ ბ. კონტრიძეს გულგრილობაში და ცუღლუტობაში არ ჩამოუვარდებიან არც სხვა მასწავლებლები. მაგ., მასწ. კონსტანტინე ბახტაძე (45 ადკომის თავმჯდომარე), რომელიც მე-4 ჯგუფში საზ-მეცნიერებას ასწავლის. ასეთი საგნის მასწავლებელი პედ. საბჭოს სხდომაზე აცხადებს: „ა. ლ. კ. კ. ჩამოყალიბდა ლენინის წინადადებით და ამიტომ ჰქვია მას ლენინური კომ-კავშირი. კ. ბახტაძე კონტრიძესთან ერთად ხელს აფარებდა სასკოლო კოოპერატივის ფულების გამფლანგველ მასწავლებელს მარო გულუაშვილს. გამფლანგველის კავშირიდან გამორიცხვის შესახებ საკითხი დღესაც არ არის დასმული.

გამფლანგველ მასწავლებელ გულუაშვილმა კომკავშირელ მოწაფეს დაუყვირა: „გაეთრიე აქედან, მე ჩემი საქმე მაწუხებს, თქვენი კომკავშირი და თქვენც ღმერთმა შეგარცხვინოთ".

გარდა ამ პირებისა, ხსენებული სკოლის მასწავლებლები არკ. დანელია და ლუბა მაჩიტაძე არიან მღვდლის შვილები, იჩენენ დიდ სიზარმაცეს და გულგრილობას საქმისადმი. ახალი ყოფა-ცხოვრების დარგში მასწავლებელ ქალების მიერ აქ არაფერი არ გაკეთებულა. ადგილი ქონდა ტრადიციულ დღეობების ჩატარებას, როგორიცაა: „იულობა", „კატობა", „მარიობა" და სხვა.

ასეთ მეშჩანურ საქმეებში პირველობა უჭირავს 1 ჯგუფის მასწ. იულია ვერულაშვილს, რომელიც მტრული თვალით უყურებს ა. ლ. კ. კ. უჯრედის საქმიანობას. საჭიროა მუშურ უბანში არსებულ შრ. სკოლას მიექცეს სათანადო ყურადღება და გაიწმინდოს ის ასეთი მავნე ელემენტებისაგან, თორემ ასეთი ულირსი მასწავლებლებით ჩვენ ახალ ადამიანებს ვერ გამოვზრდით.

ხარფუხელი.

---

750 მილიონი მანეთი ინდუსტრიალიზაციისათვის

სოციალისტური შეჯიბრება სესხის რეალიზაციაზე

მოსკოვი, 1 აგვისტო. საკავშირო ცაკის პრეზიდიუმთან არსებული სახელმწიფო კრედიტისა და დაზოგვის საქმის ხელის შემწყობმა ცენტრალურმა კომისიამ მიიღო დადგენილება სოციალისტური შეჯიბრების ჩატარების შესახებ ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის რეალიზაციის უკეთ ჩატარებაზე.

შეჯიბრება სესხის უკეთ რეალიზაციაზე სოფლად და ქალაქად მიზნად უნდა ისახავდეს: კამპანიის თავის დროზე ჩატარებას, მუშებისა და მოსამსახურეების მაქსიმალურად ჩაბმას სესხის რეალიზაციაში ერთი თვის ხელფასის რაოდენობით, გლეხობის მაქსიმალურად ჩაბმას სესხის რეალიზაციაში, ობლიგაციების ღირებულების ნაწილის შეტანის დაჩქარებას, რათა სახელმწიფოს მიეცეს საჭირო რეზერვები მრეწველობისათვის ფინანსების დაუბრკოლებლად მისაწოდებლად. შეჯიბრების ლოზუნგი და მაჩვენებელი უნდა გახდეს: ხელის შემწყობ კომისიების დაუყოვნებლივი ორგანიზაცია და ქალაქისა და სოფლის მუშა - მოსამსახურეთა და აგრეთვე სოფლის მოსახლეობის მთელი ასი პროცენტის ჩაბმა სესხის რეალიზაციაში; ქალაქისა და სოფლის მუშა - მოსამსახურეთა მიერ ხელისმოწერა სესხზე ერთი თვის ჯამაგირის მთელი ასი პროცენტით.

პირველი სამი შესატანი წილი კოლექტიური ხელის მოწერით შეტანილ იქნეს აგვისტო-სექტემბრის განმავლობაში იმ ანგარიშით, რომ პირველი წილი გადახდილ იქნეს აგვისტოს პირველ ნახევრის ხელფასიდან; იმ სასოფლო ადგილებში, სადაც დაიწყო პურის დამზადების კამპანია, დაუყონებლივ უნდა დაიწყოს სესხის რეალიზაცია გლეხობაში, რათა სესხიდან მიღებული ფულის შეკრება საკრედიტო დაწესებულებებში დაიწყოს აგვისტოს შუა რიცხვებიდან.

როგორც სიტყვა, შეჯიბრება უნდა ჩატარდეს საწარმოებს, დაწესებულებებს, პროფკავშირებს, ქალაქებს, სოფლებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შორის. შეჯიბრების კამპანია უნდა ჩატარდეს პირველ აგვისტოდან პირველ ოქტომბრამდე.

С С С Р
Государственный Внутренний Выигрышный
ИНДУСТРИАЛИЗАЦИИ Народного Хозяйства Союза
БЕСПРОЦЕНТНО-ВЫИГРЫШНЫЙ ВЫПУСК.
ОБЛИГАЦИЯ
на капитал
В ПЯТЬДЕСЯТ РУБЛЕЙ.
Серия 000000 № 0
50

ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის ობლიგაციის ნიმუში.

პროფსაბჭოს ღონისძიებები

ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის გასაღებისათვის ხელისშესაწყობად

პროფსაბჭოს კულტგანყოფილებამ გამოიმუშავა ღონისძიებები ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის კამპანიის ჩატარებისათვის ხელის შესაწყობათ. გამომუშავებული ღონისძიებების შესახებ კულტგანყოფილებამ ცირკულიარულად შეატყობინა ყველა მუშათა კლუბებს, საბინაო-საიჯარო ამხანაგობებს და ცალკე პროფკავშირების კულტგანყოფილებებს, რომ დაჩქარებით შეუდგენ სპეციალური მოხსენებების, საუბრების, ლექციების და მიტინგების მოწყობას ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის მნიშვნელობისა და სახალხო მეურნეობის 5 წლიანი გეგმით დასახული ამოცანების შესახებ.

მუშათა კლუბებთან არსებული აქტივი უნდა იქნეს გამოყენებული კლუბებში სახელდახელო-საგიტაციო გამოსვლების მოსაწყობათ წარმოდგენების დაწყებამდე და ანტრაქტებს შორის. წარმოებებთან და დაწესებულებებთან არსებულ კედლის გაზეთებს ადგილობრივად არსებულმა სახელმწიფო სესხების ხელის შემწყობმა კომისიებმა წინადადება უნდა მისცენ, რომ ფართოდ გააშუქონ სესხის გასაღების მსვლელობა, მოაწყონ სოციალისტური შეჯიბრება ახალი ობლიგაციების შეძენისა და ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ობლიგაციების შენარჩუნების შესახებ. ცალკე საამქროებს შორის.

მუშათა კლუბებმა უნდა გაიწვიონ ფინორგანოების წარმომადგენლები კლუბებში და ცალკე წარმოებებში ობლიგაციების გასავრცელებლათ და სახელმწიფო სესხების შესახებ ცნობების გასაცემათ ყველა მუშებისათვის.

საბინაო-საიჯარო ამხანაგობები და მუშათა კლუბები უნდა შეეცადონ მოაწყონ საგიტაციო ლაშქრობანი ცალკე საცხოვრებელ სახლებში და იქ სადაც ეს შესაძლებელი იქნება მახლობელ სოფლებშიაც. სოფლებში გასვლას ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ ერთის მხრივ სახელმწიფო სესხების ხელისშემწყობმა კომისიებმა და მეორეს მხრივ კლუბებთან არსებულმა სამხატვრო წრეებმა.

მიმდინარე კამპანიის ზოგიერთი დეფექტები

ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის კამპანიის შესახებ ამიერ-კავკ. ფინანსთა სახ. კომისარიატის სავალიუტო სამმართველოს უფროსმა ამხ. ა. საფარიანმა ჩვენს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის კამპანია ფართოდ გაიშალა მთელ ამიერ-კავკასიაში. საფინანსო აპარატი იძულებული შეიქმნა მთელი ენერგიით შესდგომოდა მუშაობას, რომ მთლიანად დაეკმაყოფილებია მასების მოთხოვნილება და სტიქიურად დაწყებულ კამპანიისათვის მიეცა გეგმიანი ხასიათი. თუ წინა სესხებში ინიციატივა ფინორგანოების ხელში იყო, მიმდინარე კამპანიაში ეს ინიციატივა მასების ხელში აღმოჩნდა და ფინაპარატი იძულებული შეიქნა უკან გაყოლოდა მასებს.

არ შეიძლება ამასთანავე არ აღინიშნოს ის ენტუზიაზმი, რომელსაც მშრომელი მოსახლეობა იჩენს სესხზე ხელის მოწერის დროს. როგორც ვიცით ამ კამპანიის ძირითადი ლოზუნგი არის „ერთი თვის ხელფასი სესხს". ფაქტიურად კი ხშირია შემთხვევა, რომ სესხზე ხელს აწერენ თვენახევრით, ორი თვის და მეტის ხელფასის რაოდენობით. რასაკვირველია სასურველია, რომ მშრომელმა მოსახლეობამ მთელი თავისი თავისუფალი თანხები მოათავსოს სესხში, მაგრამ ამასთანავე საჭიროა, რომ ჯამი გადაღლუნული არ აღმოჩნდეს მეორე მხარეს ე. ი. ხელი მოაწეროს მხოლოდ იმ თანხაზე, რომელიც ასატანი იქნება მისი ბიუჯეტისათვის, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში მოსახლეობა იძულებული იქნება დიდ თანხებზე ხელის მოწერით შევიწროვებულ ბიუჯეტის შესაკრებად მიმართოს ძველი სესხების ობლიგაციების რეალიზაციას, რაც ინდუსტრიალიზაციის მიზნებისათვის დიდ ზარალს წარმოადგენს. ამიტომ უფრო მიზანშეწონილი იქნება თუ ხელის მოწერის დროს როგორც ცალკე პიროვნება, აგრეთვე მთელი კოლექტივი ასწონის მდგომარეობას, გაითვალისწინებს სესხის ხანგრძლივობას და ხელს მოაწერს იმ რაოდენობის თანხაზე, რომელიც ადვილი ასატანი იქნეს მისი ბიუჯეტისათვის და რომელსაც იგი შესძლებს სესხით გათვალისწინებულ მთელი ვადით სახელმწიფოს ხელში დატოვებას. ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ სესხი მხოლოდ ამ პირობებში გაამართლებს მთლიანად თავის დანიშნულებას.

აღსანიშნავია აგრეთვე მეორე მომენტი: მიმდინარე კამპანიაში უკვე პრაქტიკაში შემოვიდა ცალკე პიროვნებების მიერ სესხზე ხელის მოწერაში გამოწვევა.

უნდა განვაცხადოთ, რომ ეს ხერხიც ზღუდავს გამოწვეული ამხანაგის თავისუფლებას, თანხის ჯამის შერჩევაში, რაც მიზანშეუწონლად უნდა ჩაითვალოს, ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ უფრო მისაღებ და მეტ ეფექტს იძლევა ცალკე ორგანიზაციების და კოლექტივების მიერ ხელის მოწერაზე გამოწვევა. ამიტომ ჩვენის აზრით საჭიროა ინდივიდუალურად გამოწვევის პრაქტიკა შევცვალოთ კოლექტიური გამოწვევით.

მუშები ხელს უწყობენ

ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის რეალიზაციას.

სამშაბათს, 30 ივლისს, პლეხანოვის სახელობის კლუბში შესდგა თბილისის მთავარ სახელოსნოს სავაგონო საამქროს მუშების და პროფაქტივის გაერთიანებული კრება. ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ობლიგაციების კოლექტიურად შენახვისა და მესამე სესხზე ხელის მოწერის შესახებ მოხსენებით გამოვიდნენ საქ. პროფსაბჭოს თავმჯდ. ამხ. ბ. **მახაიძე** და **შოგირაძე**. მომხსენებლებმა ფართოდ შეეხენ ინდუსტრიალიზაციის მეორე და მესამე სესხის მნიშვნელობას ჩვენს აღმშენებლობაში. აგრეთვე მომხსენებლებმა შეეხენ ხუთწლიან გეგმის შინაარს და მოუწოდეს მუშებს შეინახონ მეორე სესხის ობლიგაცია კოლექტიურად და მოაწერონ ხელი მესამე სესხზე.

მუშები აღფრთოვანებით შეხვდნენ მესამე სესხის გამოშვებას და აღშფოთებას გამოსთქვამდნენ იმ მუშების მიმართ, რომლებმაც მეორე სესხის ობლიგაციები გაყიდეს და აღებული ფული ლოთობაში დახარჯეს.

კრებამ ერთხმად დაადგინა: თბილისის რკ. გზის მთ. სახელოსნო-სავაგონო საამქროს პროფაქტივმა შეინახოს ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ობლიგაცია კოლექტიურად და ხელი მოაწერონ ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხზე.

ვლადიმერ სხიერელი.

ზაჰესის ადგილკომის წევრებმა ხელი მოაწერეს ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხზე ორ-ორი თვის ხელფასის რაოდენობით და იწვევს ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხზე ხელის მოსაწერათ **ვოლხოვსტროის ადგილკომის წევრებს.**

ვღებულობ რა ამხ. **ალ. ფრუიძეს** გამოწვევას, ხელს ვაწერ ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხზე 250 მანეთის რაოდენობით და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: **ქ. ეგანოვს** (ხის დამმუშავ. პროფკავშირს ც. გ.), **ი. მასაძეს, ი. ვარამაშვილს** (სადურგლო-საავეჯო ფ-კა), **აბამალოვს** (ა.-კ. ხ. მ. უ. ს.) **ელ. მიზავარიანს** (ა.-კ. ხ. მ. უ. ს.), **ს. გოგიევს** და **ვლ. შიხმანს**. გადახდას ვიწყებ 1-ლ აგვისტოდან.

ს. დემეტრაშვილი.

კომბინატორი კოოპერატორები

მუშგლეხინმა უკვე მიაქცია ჯეროვანი ყურადღება იმ არა ნორმალურ მოვლენას, რომელსაც ადგილი აქვს ზოგიერთ კოოპერატიულ არტელებში. ეს არტელები არსებითად სარეწკოოპკავშირში შედიან, აქვთ წესდება და საკუთარი გამგეობის უშუალო ხელმძღვანელობით ეწევიან საქმიანობას, მაგრამ ამ საქმიანობაში, სამწუხაროდ, ზოგჯერ თავი იჩინა მავნე გადახრებმა, კოოპერატიულ სახის დამახინჯებამ, არტელის წევრების მუშა-გლეხების ინტერესების დაჩაგვრამ და სხვ. ამ მხრივ რეკორდს მიაღწია ეგრეთწოდებულ „გლეხის კავშირმა".

ილუსტრაციისათვის საკმარისია დავასახელოთ შემდეგი ფაქტები: საბუჰალტრო დარგი არეულ-დარეულია ანგარიშიანობა მოუწესრიგებელია; მასალების დამამზადებელი ფასები გამოურკვეველია; არა სჩანს, რას უდრის თვითღირებულება; არ არის გამოყოფილი საქონელი საწყობში საქონლიდან ადგილებზე და სხ.

ბალანსი უსუსურია; არტელს არ შეუძლია დაფაროს თავისი ვალდებულებანი: დეფიციტი უდრის, უკეთეს შემთხვევაში, 2.000 მანეთს.

საწევრო და საპაიო ფულები სანახევროდაც არ არის შეგროვილი, ხოლო დავალებულობა ისეთ პირებზე, რომლებისაგან ვალის მიღება ადვილი იყო ნახევარ წლის განმავლობაში, როგორც მაგალითად: ლ. თიკანაძე (ზინავიერობის სახკომისარიატიდან), ქვარიანი („სოიუზხლებ"-დან), ნიკოლაიშვილი (მილიციის რაიონის უფროსი), მ. ლომიძე (სარეწკოოპს იურისკონსულტი), კავკასიძე, ცაგარეიშვილი, ოდილავაძე, დიდებული და ლეჟავა და სხ.

ნადი განიცდიდა ფინანსიურ კრიზისს და იმავე დროს არავითარი ზომები არაა მიღებული ამ ვალების მისაღებათ ნახევარ წლის განმავლობაში.

გამგეობის თავმჯდომარეთ მოკალათებული ვინმე შალვა გეგეჭკორი, რომლის „ნამსახურობის სიაში" აღნიშნულია არა ერთი საქმე—საკმაოდ საეჭვო კომბინაციების დარგში. ამ „მოღვაწეს" ყველაფერი მის ნებაზე მოუწყვია: თავისი ძმა ვ. გეგეჭკორი დაუნიშნავს საწყობის გამგეთ, ცოლის ბიძა გ. გოცირიძე — ბუჰალტრად, ვინმე მჟავია — ინსტრუქტორ-რწმუნებულათ, და სხ.—მრავალიც აუყვანია ამ პატივცემულ გვამს. გამგეობის დანარჩენი ორი წევრი—შ. ოდილავაძე და ვ. ქარაძე, ეტყობა სადღაც ძილში ჰყავთ და ასეთ პირობებში გაუძღოლია ნადის საქმეებს.

მიიღო რამე სარგებლობა არტელიდან გლეხებმა—წევრებმა? არავითარი, გარდა მოსალოდნელ ზარალისა. იყო შესაძლებლობა, რათა მათ ესარგებლათ ნადის მდგომარეობით, მაგრამ სინამდვილეში სულ სხვა მოხდა: გამგეობამ მიიღო 500 ფ. თეთრი ფქვილი მუშებისათვის, რომლებიც შეშის და სხ. მასალის დამზადებას ეწეოდენ, მაგრამ „მიზანშეწონილათ" იქნა ცნობილი, ფქვილის განაწილება, უწინარეს ყოვლისა, გამგეობის წევრთა შორის; არ იქნა დავიწყებული ტექნიკური პერსონალი და ზოგი გარეშე პირები. ვიღაც სპეკულიანტსაც კი მიჰყიდეს ნაწილი ფქვილისა,—ერთი სიტყვით ყველას ერგო, გარდა მუშა-გლეხებისა.

რომელი ოპერაციით უფრო ისახელა თავი თავის მოღვაწეობაში არტელის გამგეობამ? უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ პირველი ადგილი უკავია გაჯის დამზადება-გაყიდვას. როგორც სჩანს საბუთებიდან, გაჯის თვითღირებულება უდრის 11.812 მ. 09 კ., რეალიზაციიდან მიღებულია 12.202 მ. 68 კ. ესე იგი მოგება—389 მ. 59 კ., აი კოოპერატიული საქმიანობის ნიმუში... მეტია მტკიცება, რომ ასეთი საქმიანობა ახლო მომავალში ძირიანფესვიანად ამოაგდებდა არტელის კეთილდღეობას.

ჰყავდა თუ არა „გლეხის კავშირს" სარევიზიო კომისია და რას აკეთებდა ის? როგორ არა, სარევიზიო კომისიაც იყო, სარეწკოოპკავშირის რევიზორმაც მიიღო მონაწილეობა ხსენებულ ნადის მდგომარეობის გამორკვევაში, მაგრამ მათი დასკვნა მოხდენილ რევიზიის გარშემო სრულიად არ შეესაბამება ფაქტიურ მდგომარეობას. სარევიზიო აქტი გვერდს უხვევს ყველა უფრო მნიშვნელოვან ფაქტების ანალიზს და თავს იკავებს ისეთ მომენტების შეფასებაზე, როგორიცაა ფქვილის გარშემო თარეში, პროტექციონიზმი, გაუმართლებელი ოპერაცია გაჯის და სხ. აქტი დადებითად ახასიათებს, საერთოდ, გამგეობის საქმიანობას. რევიზორებიც ასეთი უნდა, და გამგეობასაც ალბათ ასეთი დასკვნა სურდა. ასეთი მდგომარეობა გამონაკლისს არ შეადგენს სხვა არტელებშიაც.

დროა სარეწკოოპკავშირმა მეტი ყურადღება მიაქციოს სხვა არტელებსაც, სადაც შეფარებულია კოოპერაციისათვის მიუღებელი ელემენტები, სადაც ადგილი აქვს კოოპერატიულ ხაზის დამახინჯებას, მუშებისა და გლეხების ექსპლოატაციას.

ა. ხ.

თესვის ფულები ავტოზე წავიდა

(ლანჩხუთი)

ვინც ლანჩხუთის რაიონს იცნობს, მან იცის, რომ ამ რაიონის გზები უმწეო მდგომარეობაშია. ავდრიან დღეს ზოგ ადგილას ურმით გავლაც შეუძლებელია, მიუხედავად ამისა, მიუხედავად, აგრეთვე, იმისა, რომ ადგილობრივი ალმასკომი დიდ ფინანსიურ ხელმოკლეობას განიცდის, ეს უკანასკნელი ყიდულობს ავტომობილს. გლეხები გაკვირვებული, რა საჭირო იყო ავტო იქ, სადაც ურემსაც ვერ გაუვლია, ან და სად მოიპოვებოდა ალმასკომს ავტოსათვის 6.700 მანეთი? გაირკვა, რომ ეს თანხა ალმასკომს გამოუტანია საკრედიტო ამხანაგობიდან, ამხანაგობას კი ის მიღებული ჰქონდა თესვის კამპანიის ჩასატარებლათ.

ლანჩხუთის საკრედიტო ამხანაგობა, რომ ვერ ერკვევა თავის დანიშნულებაში ეს ცხადია, მხოლოდ გასაკვირი ის არის, თუ როთ აპირებს ალმასკომი 6.700 მანეთის დაფარვას. შოფერი თვეში ღებულობს 90 მანეთს, მანქანაც ყოველ კვირაში შესაკეთებელია. 5 ივლისს მთელი ალმასკომის შემადგენლობა ავტოთი ქეიფობდა, მაგრამ გზაზე მათ მანქანას უღალატა და ავტომობილი გაფუჭდა და დღესაც შეუკეთებელია. მანქანა დღეს უმოქმედოთ არის, შოფერი კი თვიურ ხელფასს მაინც იღებს. საჭიროა მთელ ამ უმსგავსოების სასწრაფოთ გამორკვევა და დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემა.

ვეტ.

უბედურ შემთხვევის მოლოდინში

(თბილისი)

მე ვცხოვრობ ტრამვაის ქ. № 21, ვმსახურობ თბილისის რკ. გზის საქონლის სადგურში მტვირთავ მუშად. ოთახი, რომელშიაც ვცხოვრობ, 1928 წელს მიწისძვრისაგან საგრძნობლად დაზიანდა და ქვითკირის კედელი თავიდან ბოლომდის ოთხ ალაგას გასკდა. კედელი ერთი მეორეს 2—3 ვერშოკით დასცილდა, თვით ნახევარი ნაწილი კედლისა დაქანებულია დასავლეთის მხარეს 4—5 ვერშოკით. ამის შესახებ 1928 წ. მივმართე განცხადებით თბილისის ქალ. ალმასკომს, რომელმაც გამოგზავნა მთავარი ინჟენერი ქურდიანი. ინჟენერმა ინახულა ოთახი და სცნო ის საშიშრად ცხოვრებისათვის. ამის შემდეგ ალმასკომმა მისწერა მილიციის მე-12 უბნის სამმართველოს, რომ დროებით ემოგვათ ბინა ჩემთვის, დაზიანებული ოთახი კი შეეკეთებინა დაუყონებლივ სახლის პატრონს. ამ დროს სახლების ჩამორთმევა მიდიოდა და სახლის პატრონმა შეკეთებაზე უარი განაცხადა, სახლი პატრონს ჩამოერთვა. მივმართე ალმასკომს, რომელმაც გასულ წლის სექტემბერში სახლის დაცლა მომთხოვა. დავცალე ოთახი, წავედი შვებულებაში ერთი თვით, დავბრუნდი, მაგრამ სახლი შეუკეთებელი დამხვდა. ხელმეორედ და რამდენიმეჯერმე მივმართე ალმასკომს, მაგრამ საქმეს მაინც არაფერი ეშველა. შემდეგ სახლი გადავიდა საბინაო ამხანაგობის ხელში, არც მან მომაქცია ყურადღება. იძულებული გავხდი ასეთ უბრალო საქმეზე მიმემართა განცხადებით ცაკისთვის. ცაკმა გასცა განკარგულება, რომ ოთახი დაუყონებლივ ყოფილიყო შეკეთებული, განცხადება გადაეცა თავისი რეზოლიუციით თბილისის ალმასკომს, რის შესახებაც ცაკის სამდივნომ ცალკე მაცნობა. მას შემდეგ განვლო რამოდენიმე თვემ, შემთხვევით ჩემი განცხადება თავისი რეზოლიუციით ვიპოვნე საბინაო ამხანაგობის საქმეებში ჩაკერებული. საბინაო ამხანაგობაში სიარულმა და მუდარამ არავითარი შედეგი გამოიღო. ამ ორი სამი კვირის წინ ქალ. ალმასკომის წარმომადგენელი მოვიდა ადგილობრივ და ინახულა ოთახი, რომელმაც დათვალიერების შემდეგ კვლავ გამოსთქვა შიში, მაგრამ მას შემდეგ არავითარი განკარგულება შეკეთების შესახებ არ სჩანს. რამდენჯერმე ვიყავი თბილისის ქალ. ალმასკომში. ვერც ის პირი ვიპოვნე, ვინც სახლი დაათვალიერა და ვერც ის პასუხისმგებელი მუშაკი, რომელსაც ეს საქმე შეეხებოდა.

ვფიქრობ საკმარისია ამდენი ტანჯვა. მე, ხუთი სულის პატრონი, და სახლში მცხოვრები სხვა მობინადრენი საფრთხეში ვართ. საკმარისია უბრალო შემთხვევა, რომ კატასტროფა მოხდეს. სანამდე უნდა გასტანოს ასეთმა მდგომარეობამ. ცხადია, უბედური შემთხვევის შემდეგ ალმასკომი სასწრაფო და ენერგიულ ზომებს მიიღებს, მაგრამ ნუ თუ მართლა უბედური შემთხვევაა საჭირო, რომ გადაუდებელი საქმე გაკეთდეს? დარწმუნებული ვართ, რომ ალმასკომის პრეზიდიუმი, რომელმაც ამ საქმის შესახებ, ალბად, არაფერი იცის, იხსნის რამოდენიმე ოჯახს მოსალოდნელი საბედისწერო ხვედრისაგან.

ლავროსი ჩხიკვაძე

გასტროლიორები თუ ლექტორები

ამხ. სერგო ორჯონიკიძის სახელობის ა.-კ. რკინის გზის მუშათა ფაკულტეტში ახლად დაარსებულ აკადემიურ წლის განმავლობაში მრავალ უმსგავსოებას და უყაირათობას ჰქონდა ადგილი. მუშათა ფაკულტეტს ყავს ლექტორთა შტატი 37 კაცის რაოდენობით, კვირეული გაკვეთილების რაოდენობა კი 1928—29 სამოსწავლო წელში უდრიდა 450, ე. ი. თითო პედაგოგზე საშუალოდ მოდიოდა 12 გაკვეთილი, ანუ ორი საათით მეცადინეობა დღეში. რით არის გამოწვეული ასეთი ვეებერთელა შტატის შენახვა?

მუშფაკის ლექტორები, როგორც რკინის გზის დაწესებულებაში მომუშავენი, სარგებლობენ რკინის გზაზე არსებული შეღავათებით, როგორიცაა უფასო სამგზავრო ბილეთები და სხვა.

ამიტომ არის, რომ ლექტორები, რომლებსაც აქვთ სრული დატვირთვა სხვა სასწავლებლებში, თავს აკლავენ ორი საათის მეცადინეობას მუშათა ფაკულტეტში, რომ ისარგებლონ რკინის გზაზე არსებული შეღავათებით. ზოგიერთ მათგანს ერთდროულად უხდებოდა გაკვეთილების მიცემა ორ სასწავლებელში. ამიტომ ნახევარ საათით ამცირებდა გაკვეთილებს და გარბოდა მეორე სკოლაში. ფაქტიურად ეს მასწავლებლები გასტროლიორებს წარმოადგენდნენ. მუშფაკში არსებული გაბერილი შტატის გამო რკინის გზა დიდ ზარალს ნახულობს.

37 ლექტორთა ოჯახის წევრთა რიცხვი 150 სულისაგან შესდგება. აღნიშნული პირები კი რკინის გზამ უფასოთ უნდა ატაროს მთელ საბჭოთა კავშირის ფარგლებში.

1929—30 წ. სამოსწავლო გეგმის მიხედვით გათვალისწინებულია კვირეული გაკვეთილების რიცხვის შემცირება 450-დან—390-მდე, მაგრამ მიუხედავად ამისა, ლექტორთა შტატის შემცირებაზე კი ყურს არავინ აპარტყუნებს. სინამდვილეში კი 37 კაცის ნაცვლად საჭიროა 15 ლექტორი. ეს საკითხი დიდი ხანია დასვა ადგილობრივმა კომუჯრედმა, მაგრამ თავს არავინ იტკივებს მის მოსაგვარებლად. მომავალ სამოსწავლო წლიდან ეს ნაკლი უნდა გამოსწორდეს. გასტროლიორი ლექტორები ჩვენ არ გვესაჭიროება.

X.

გამოძახილი წერილებზე

უსაფუძვლო ბრალდებანი

(ხონი)

გაზეთ „კომუნისტის" ა. წ. 28 აპრილის, 96 №-ში მოთავსებული იყო მუშკორ „ხონელის" წერილი სათაურით—„საჭიროა ინსპექციის ხელი". წერილი შეეხებოდა ხონის წითელი ჯვრის საავადმყოფოს. კორესპონდენტი „ხონელი" რამოდენიმე ბრალდებას უყენებდა იქ მომუშავე ექიმებს ვალნერს და ძოძუაშვილს.

დაინტერესებულ ორგანიზაციისა და პირების მოთხოვნით შედგენილი იქნა სათანადო კომისია ხსენებული წერილში მოყვანილ გარემოებათა გამოსარკვევად. კომისია შესდგებოდა მუშათა და გლეხთა ინსპექციის, პროფესიონალურ კავშირის და საქ. წითელი ჯვრის ცაკას წარმომადგენელთაგან. კომისიამ ადგილობრივად და ქუთაისში სამჯერ ჩაატარა მუშაობა მთელი მასალის გამოკვლევით, მოწმეების დაკითხვით და საქმესთან დაწვრილებით გაცნობით, რის შემდეგაც ერთხმად მივიდა შემდეგ დასკვნამდი:

1. ბრალდება, თითქოს ხონის წითელი ჯვრის საავადმყოფოს ექიმებს ვალნერს და ძოძუაშვილს უფრო ამოქმედებს ჯიბის ინტერესები,—**არ დადასტურდა.**

2. არ არის მართალი აგრეთვე, რომ ექ. ვალნერი და ძოძუაშვილი უხეშად ეპყრობოდნენ საავადმყოფოს დაბალ თანამშრომლებს და არღვევდნენ მომჭირნეობის რეჟიმს, ყურადღებას არ აქცევდნენ საავადმყოფოს სადილის ღირსებას და გარბოდნენ ქუთაისში ჯამაგირების მისაღებად, ხარჯებს კი აწერდნენ საავადმყოფოს.

3. **არ დამტკიცდა ისიც**, თითქოს ექ. ვალნერს მოეხსნას ხუნდაძის ქალი პირადი ინტერესებით ან იმ მოსაზრებით, რომ ხუნდაძემ ადგილობრივ ხელისუფლებას მიაწოდა რამე ცნობები საავადმყოფოს მდგომარეობაზე. ხუნდაძის ქალი მოხსნილი იყო მხოლოდ იმიტომ, რომ ის იჩენდა სამსახურში გულგრილობას, რისთვისაც ქონდა რამოდენიმეჯერ გაფრთხილება.

აგრეთვე ხუნდაძის ქალი ეწეოდა ჭორების გავრცელებას საავადმყოფოს ექიმების წინააღმდეგ და არ ასრულებდა პირად მოვალეობას, ამისათვის მისი სამსახურიდან განთავისუფლება **მიზანშეწონილად იქნა ცნობილი.**

4. **არავითარი საბუთები არ მოიპოვება იმისათვის**, თითქოს ექ. ვალნერი არ სცნობდეს ადგილობრივ ხელისუფლებას და კავშირს.

ყოველივე ამასთან ერთად გამოირკვა, რომ ამჟამად ხონის წითელი ჯვრის საავადმყოფოში შექმნილია არანორმალური მდგომარეობა, კინკლაობა, ჭორების გავრცელება და სხვ. რომელსაც ხელს უწყობს მნე ქალი თამარ სანოძე, ამისათვის სანოძის ქალი განთავისუფლებულ უნდა იქნეს თავის თანამდებობიდან, სანიტარ ჩხენკელს გამოეცხადოს გაფრთხილება ინტრიგის ხელის შეწყობისათვის და ასეთივე გაფრთხილება მიეცეს მომვლელ ქალს ფარცხალაძეს.

კომისიის დადგენილების შინაარსის სისრულეში მოყვანის შესახებ წითელი ჯვრის ცაკამ უკვე გასცა სათანადო განკარგულება.

თათბირი თეატრის შესახებ

პარტიის პოლიტიკა თეატრალურ დარგში

ამხ. იონოვის მოხსენება

იმ უდიდესი ამოცანების გადაწყვეტა, რომლებიც ჩვენს წინაშე დგანან, მჭიდროთ არის დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის კულტურის რეკონსტრუქციასთან.

ახალი სკოლებისა და უნივერსიტეტის გახსნა, ძველი ფეოდალური ყოფა-ცხოვრების აღმოფხვრა, რელიგიური სულისკვეთებისა, კაპიტალისტურ მეურნეობაზე აღმოცენებულ ინდივიდუალური და ნაციონალისტური ფსიხოლოგიის აღკვეთა, მუშაობა ახალი ადამიანის ახალი პსიხოლოგიის შესაქმნელად და, რაც უმთავრესია, მიმდინარე მომენტში, შრომის ახალი დისციპლინის განმტკიცება—აი რიგი საკითხებისა, რომლებიც თანამედროვე რეკონსტრუქტიულ პერიოდში წამოყენებულია ჩვენს წინაშე.

კლასიური ბრძოლა კულტურულ სფეროშიაც მწვავდება. ის განსაკუთრებით მკაფიო გამოხატულებას ღებულობს იდეოლოგიურ ფრონტზე და კერძოდ თეატრის დარგში. თეატრი არენად ხდება კლასიურ შეჯიბრების საქმეში. იდეოლოგიური ბრძოლა, რომელიც გაიშალა „ემიგრანტების" დადგმით თბილისის მუშათა სცენაზე და „სიველის" დადგმით თურქების თეატრის სცენაზე, კამათი რომელიც გამოიწვია მარჯანიშვილის გასტროლებმა, ნათლად გვიმტკიცებენ, რომ თეატრალურ საკითხებს უდიდესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. თეატრიც, ისე, როგორც ყოველი ნამდვილი ხელოვნება, უნდა იყოს ტენდენციური. ჩვენ უარვყოფთ ხელოვნების საერთოდ, და თეატრის კერძოდ, პოლიტიკის გარეშე. არ გვწამს ლაყბობა მსახიობის და მხატვარის „თავისუფალი" შემოქმედების შესახებ. თეატრი ცხოვრების განსაზღვრული სახეობითი გამომეტყველებაა. ის მაყურებლის პსიხიკას და იდეოლოგიას აყალიბებს. თეატრი უდიდეს პოლიტიკურ როლს თამაშობს. პოლიტიკური როლის შესრულება პროლეტარიატის დიქტატურის სასარგებლოდ, ჩვენი ქვეყნის სოციალისტური რეკონსტრუქციის და ხუთწლიანი გეგმის რეალიზაციის გადასაწყვეტად—აი რას მოვითხოვთ ჩვენ საბჭოთა თეატრის მუშაკებიდან.

ბრძოლა საბჭოთა თეატრისათვის მწვავედ აყენებს საკითხს ჩვენი პარტიის პოლიტიკის შესახებ ამ დარგში. მართალია, თეატრალურ ცხოვრებაზე, პოლიტიკური ხელმძღვანელობის საჭიროების აუცილებლობას აშკარად მხოლოდ ერთეულები უარყოფენ, მაგრამ ამ ხელმძღვანელობის ფარული „უარმყოფელები" საკმაო რაოდენობას წარმოადგენენ.

პარტიის პოლიტიკა თეატრის დარგში, კულტურის საერთო ამოცანებით განისაზღვრება. ერთის მხრივ, ჩვენ უნდა მივიღოთ ბურჟუაზიული მემკვიდრეობა, ძველი საზოგადოების კულტურა, მეორეს მხრივ—უნდა გარდავქმნათ, გადავახალისოდ ძველი კულტურა დიალექტიური მატერიალიზმის თვალთახედვით. ჩვენ უნდა შევქმნათ ახალი პროლეტარული კულტურა, ახალი პროლეტარული ხელოვნება, ახალი პროლეტარული თეატრი.

ამ ორსახოვანი, მაგრამ ერთი ამოცანის გაურკვევლობიდან ორი გადახრა წარმოიშობა ხოლმე: მემარჯვენე გადახრა, რომელიც სხვადასხვა კაპიტალისტურ ფორმებში გამოიხატება, და მემარცხენე გადახრა, რომელიც კომყოყოჩობის სხვადასხვა სახეებით წარმოგვიდგება ხოლმე. საკავშირო თეატრალურ თათბირის შემდეგ 2 ნახ. წელმა განვლო. ამ ხნის მანძილზე კლასთა ურთიერთობა ძლიერ შეიცვალა. გამწვავდა კლასთა ბრძოლა. ძირითად საფრთხედ მემარჯვენე საშიშროება მოგვევლინა. ამიტომ თანამედროვე პირობებში თეატრალურ პოლიტიკის დარგში ცეცხლი მარჯვენივ უნდა მივმართოთ. თეატრალურ ხელოვნებაში მემარჯვენე გადახრა ძველ მხატვრულ ფორმების ზედმეტად შეფასებისა და თეატრალურ წარმოდგენის სოციალ-პოლიტიკურ შინაარსის შეუფასებლობაში იჩენს თავს.

ამიერ-კავკასიის პირობებში მემარჯვენე გადახრა აშკარად მოსჩანს: ერთის მხრივ, როდესაც ნაციონალურ ფორმას სცვლიან ნაციონალური შინაარსით და მეორეს მხრივ, როდესაც ნაციონალურ ფორმას თვით მიზნად და საშუალებად აქცევენ ხოლმე. მემარჯვენე საშიშროებასთან ბრძოლა, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, თითქოს მემარცხენე გადახრის წინააღმდეგ შეტევა იხსნებოდეს ჩვენი ბრძოლის დღის წესრიგიდან. მემარცხენე გადახრას თეატრში საკმაო სერიოზული სოციალური ბაზა აქვს. მემარცხენე გადახრა კომყოყოჩობასა და ძველი „კულტურის", ძველი თეატრის შეთვისების შეუფასებლობაში გამოიხატება.

„რისთვის ვისწავლოთ, რისთვის ვიმეცადინოთ, ჩვენ თვით საკმაოდ ბევრი ვიცით"—აი ის განწყობილება, რომელიც დღემდე ცოცხლობს ჩვენი ახალგაზრდობის ერთი ნაწილის აზროვნებაში.

თეატრის დარგში მემარცხენე გადახრის ნიმუშს წარმოადგენს ამიერ-კავკასიის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ბაქოს პლენუმზე ამხ. ქიქოძის გამოსვლა, სადაც სრულიად არასწორ პრინციპს აყენებს ის. ქიქოძე ამბობს, რომ „პროლეტარის როლში გამოსვლა შეუძლია მხოლოდ პროლეტარსო". რა თქმა უნდა ამ ვულგარულ შეხედულებას, თეატრში თანამგზავრის პრობლემის მიჩქმალვისაკენ მივყევართ.

ჩვენ ვაშენებთ პროლეტარულ, საბჭოთა, რევოლიუციონურ ინტერნაციონალურ თეატრს შინაარსით და ნაციონალურს—ფორმით.

ჩვენი ძირითადი ამოცანა არის მივაღწიოთ ყველა ნაციების გაერთიანებას. მომავალ კომუნისტურ საზოგადოებაში ყველა ნაციები მოისპობიან, ისე როგორც ნაციონალური განსხვავებანი. ნაციონალური ფორმა ჩვენთვის არ არის თვითმიზანი, არამედ საშუალებაა კომუნისტურ კულტურის საშენებლად. ამ ნაციონალურმა ფორმამ ბოლოს და ბოლოს უნდა მოსპოს ყველა ნაციონალური კულტურა.

პარტხელმძღვანელობის ერთი უდიდესი შეცდომა არის, სრული უყურადღებობა თვითმოქმედ მუშებისა და გლეხების თეატრებისადმი. პროლეტარული თეატრი უნდა გახდეს ჰეგემონი.

აი, ამხ. იონოვის მოხსენების—(პარტია თეატრალური პოლიტიკის პრინციპების შესახებ) მთავარი შინაარსი ამიერ-კავკასიის პარტიულ თათბირზე თეატრის შესახებ.

ამიერ-კავკასიის თეატრები

საქართველო განირჩევა რუსთაველის და ქუთაის - ბათომის თეატრები, რომელთაც უსათუოდ, საკავშირო მნიშვნელობა აქვთ.

სომხეთში საინტერესოა სახელმწ. თეატრი ერევანში და მეორე ლენინაკანში.

აზერბეიჯანში თურქული ორი დიდი თეატრია: აკადემიური და მუშათა.

ამას გარდა არის მთელი სისტემა სხვადასხვა გვარი თეატრებისა.

ნაციონალურ თეატრებთან ერთად არსებობს სპეციალური საგიტაციო თეატრები: კოოპერატიული, სანიტარული და სხვ.

ამას გარდა ფართოდ გაშლილია ქსელი საკლუბო და გლეხობისათვის მოძრავ თეატრებისა.

ყურადღების ღირსია რუსთაველის და ქუთაის-ბათომის თეატრები, რომლებმაც კონსტრუქტიულ-რეალისტური სტილი აღადგინეს. სომხეთის თეატრი ხმარობს ახალ ხერხს, თუმცა ის ნაწილობრივ ესთეტიური გადახრით არის დაავადებული. თურქული თეატრი შეფასებულია საბჭ. კავშირის თეატრალურ საზოგადოებრიობის მიერაც.

თათბირზე მოსმენილ მოხსენებათა გამო გამართულ კამათში მონაწილენი, თეატრალური საქმით დაინტერესებულნი აღნიშნავდნენ:

საჭიროა ფართოდ ჩამოყალიბდეს ბავშთა თეატრი და კინო. ამისათვის სათანადოთ უნდა იქნას შერჩეული რეპერტუარი, რომლის ათვისებაც შეეძლებათ ბავშებს. ასევე უნდა მოვიქცეთ მუსიკალური პიესების მიმართაც. ამ მხრივ ხელმძღვანელობა უნდა დაევალოს განათლების განყოფილებებს და კომკავშირთა ორგანიზაციის პიონერების ბიუროებს.

თეატრებთან არსებულ მხატვრულ პოლიტიკურ საბჭოებს ნაკლები ყურადღება ექცევა. მასში ისეთი პირები შედიან, რომლებიც არ არიან დაინტერესებულნი ამ საქმით ან და რომელთაც არ აქვთ სპეციალური თეატრალური მომზადება. ბოლოს და ბოლოს ამ საბჭოებს თეატრის ადმინისტრაცია და რამოდენიმე მსახიობი ხელმძღვანელობს. მხატვრულ პოლიტიკურ სამუშაოთა საბჭოზე არ არის საკმაო პარტიული ხელმძღვანელობა.

თუ საოპერო ხელოვნება განვითარდა იმ გზით, რა გზითაც ის ეხლა ვითარდება, ჩვენ მისგან ასპროცენტიან „ნეპმანურ" სახელოვნებო ოპერას მივიღებთ. საჭიროა მასში შევიტანოთ, შთავბეროთ ჩვენი იდეოლოგია და უპირველესად განვავითაროთ ნაციონალური საოპერო ხელოვნება. იმ განხეთქილებას, რომელსაც ადგილი აქვს კონსერვატორიასა და ოპერას შორის ბოლო უნდა მოეღოს. სტაჟიორობის პრაქტიკა, რომელიც ცხოვრების ყველა დარგში ტარდება, აქ თეატრში, რატომღაც არ ხორციელდება. უფრო მეტად უნდა წამოვწიოთ ახალი ძალები საოპერო სცენაზე.

მეტი ყურადღება უნდა მიექცეს მსახიობ ქალთა მომზადების საქმეს. დღემდე აზერბეიჯანში ქალების როლში მამაკაცები გამოდიან.

საკლუბო თეატრებს ჯერაც არა აქვთ ახალი რეპერტუარი. ისინი ძველი კლასიკოსების პიესებით იკვებებიან. მთავლიტის კონტროლი მოიკოჭლებს.

ძალზე მოისუსტებს თეატრალურ მუშაკთა პარტიული შემადგენლობა. მაგ., ბაქოს საოპერო თეატრში 250 კაცი ირიცხება, მათში მხოლოდ 3 პარტიულია. ასეთ პირობებში თეატრში კლასიური პოლიტიკის გატარებაზე ფიქრიც კი ზედმეტია.

მუშათა ახალგაზრდობის თეატრის მშენებლობა საჭიროა ეხლავე დავიწყოთ. ბაქოს მუშათა ახალგაზრდობის თეატრს არავითარი კავშირი არ აქვს მუშათა ახალგაზრდობის თეატრთან. საჭიროა ორიგინალურ პროლეტარული რეპერტუარის შედგენა, შეუძლებელია უკრიტიკოთ ავიღოთ კლასიკოსებისაგან ის, რაც ხელთ მოგვხვდება.

ჯერ კიდევ შეუფასებელია სოფლის თეატრის როლი, არ ვაძლევთ მას პოლიტიკურ, კულტურულ მნიშვნელობას. სოფლის თეატრმა უნდა განასახიეროს ჩვენი პარტიის პოლიტიკა. ამ თეატრს უნდა ქონდეს თავისი საკუთარი რეპერტუარი.

საჭიროა ხუთწლიანი გეგმის შედგენა ხელოვნების დარგებშიაც, რომ მან ღირსეული როლი შეასრულოს ჩვენი ქვეყნის კულტურის რეკონსტრუქციის საქმეში.

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მე-7 მოწვევის

მე-5 პლენუმი

გაიხსნება

ა. წ. 5 აგვისტოს საღამოს 6 ს. მუშათა სასახლის დიდ დარბაზში.

პლენუმზე დასწრება სავალდებულოა ს.პ.კ.ს. ყველა წევრისა და კანდიდატებისათვის, კავშირების ც. გ. მუშაკთათვის და ქალ. თბილისის ყველა ფაბქარხადგილკომების თავმჯდომარეთათვის.

ს.პ.კ.ს. პრეზიდიუმი.

ქრონიკა

ამერიკელ მრეწველთა დელეგაცია

ხვალ თბილისში მოელიან ამერიკელ მრეწველთა დელეგაციის მთავარ ჯგუფს, რომელშიაც შედის სამოცი კაცი. დელეგაციას შეხვდებიან ამიერ-კავკასიის და საქართველოს სამრეწველო და სავაჭრო დაწესებულებათა და [illegible].

◆ დელეგაცია თბილისში დარჩება ერთი დღე.

ამერიკელ ექსკურსანტების ჩამოსვლა

გუშინ თბილისში ჩამოვიდა ამერიკელ ექსკურსანტების ახალი ჯგუფი. ეს ჯგუფი ჩამოსულია საბჭოთა კავშირში ამ ორი კვირის წინეთ და ამ ხნის განმავლობაში ჩამოიარეს რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკა, უკრაინა ჩრდილოეთი-კავკასია და ამიერ-კავკასია.

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის მესამე ტირაჟის მოგებები

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის მესამე ტირაჟის მოგებათა ცხრილის გამოქვეყნების შემდეგ, თბილისის სახელმწიფო ბანკსა და სხვა ბანკებში ყოველდღე მიმართავენ მოგებულ ობლიგაციათა მეპატრონე რამოდენიმე ასეული კაცი, რომლებიც მოითხოვენ მოგების განაღდებას. სახელმწიფო ბანკის მუშაკების აზრით, თბილისში მოგება ხვდა რამოდენიმე ათას მოქალაქეს.

ამ დღეებში ბანკები მოსკოვიდან ოფიციალურად მიიღებენ მოგებათა შემოწმებულ ცხრილს, რის შემდეგაც შეუდგებიან მოგებების განაღდებას.

ტყვარჩელის ქვანახშირი

ტყვარჩელის ქვა-ნახშირის დასამუშავებლად და სამრეწველო აღმშენებლობაზე მომავალ წელში დაიხარჯება 6.500.000 მანეთი.

ექიმების გადასამზადებელი კურსები

[illegible] აგვისტოს, საქართველოს წითელ ჯვართან გაიხსნება ორ-თვიანი კურსები ასი ექიმის სამხედრო-სანიტარულ და ქიმიური ხაზით გადასამზადებლად.

დამხმარე პუნქტები

საქ. წითელ ჯვარმა მტკვარზე ვერის ხიდის მახლობლად გახსნა წყალზე დახმარების სამი პუნქტი.

ბაღი უქიმერიონზე

ქუთაისში, უქიმერიონის ციხის მიდამოებში და ბაგრატის ტაძრის ნანგრევების გალავანში ქუთაისის ალმასკომმა აკრძალა მიცვალებულთა დასაფლავება.

ადგილობრივ კომუნალურ მეურნეობის განყოფილებას დაევალა აღნიშნულ ციხის მიდამოებსა და ტაძრის გალავანში გააშენოს დიდი ბაღი.

ბაღის მოწყობის დროს სავსებით დაცული იქნება ციხისა და ტაძრის ნანგრევები. ახალ ბაღში შუა ალაგას ამართული იქნება ანძა ხუთქიმიანი ვარსკვლავით განათებული ელექტრონით.

დახმარება ჯარში გასაწვევთა ოჯახებს

თბ. ალმასკომის დადგენილებით თემებში დაარსებული იქნება სპეციალური კომისიები, რომელთაც ევალება ჯარში გასაწვევთა ოჯახების მდგომარეობის გამორკვევა და მათთვის შესაფერი დახმარების აღმოჩენა.

თბილისის ალმასკომში

◆ **არსებულ ქარხნების გასაფართოებლად** თბ. ალმასკომმა გადასდო 150.000 მანეთი.

◆ **ტრამვაის ახალი ხაზის გასაყვანად** მომავალ წელში დაიხარჯება 1 მილიონი მანეთი.

◆ **ვერის აღმართის გაფართოება.** დაიწყო ვერის აღმართის გაფართოება.

◆ **ბოტანიკურ ბაღში ეწყობა წყლის საქაჩავი** ბაღის ხელოვნურად მორწყვისათვის.

ჯანმრთელობის კომისარიატში

◆ **შოვში და უწერაში,** საკურორტო მთ. სამმართველო ამჟამად აწარმოებს ჰიდროგეოლოგიურ გამოკვლევას.

◆ **საექიმო იარაღები.** ჯანსახკომმა მაზრებისათვის უცხოეთიდან მიიღო 6 მიკროსკოპი, ელექტრო-ფოტოები და რენტგენის 2 კაბინეტი.

◆ **მომთაბარეთათვის საექ. დახმარების** აღმოსაჩენად ჯანსახკომმა კახეთში, ბორჩალოში, ახალციხესა და ახალქალაქის მაზრებში მოაწყო მოძრავი საექიმო რაზმები.

◆ **ცენტრალურ კლინიკურ ინსტიტუტის** მუშაობის გასაფართოებლად გადაიდო 500 მანეთი.

„პროლეტარული მწერლობა" № 6—7

გამოვიდა და იყიდება ჟურნალი „პროლეტარული მწერლობა" № 6—7 (ივნისის და ივლისის ნომერი). ჟურნალში მოთავსებულია: **მოწინავე** — ამიერ-კავკასიის ერთა კულტურული კავშირისათვის. **ფრ. ნაროუშვილი** — მას შეიბრალებს ვინმე მწერალი—ვინმე მეძველე. **ს. ჯავშანიძე** — მზადება. **გიორგი კაჭახიძე** — სანაპიროსთან. **ი. ლისაშვილი** — ლექსი ინდუსტრიალიზაციაზე. **ჯ. ალტუაზენი** — პირტიტველა ენტუზიასტი. **ბ. ბიბინეიშვილი** — ცეცხლით გამოცდა. **მ. კახიანი** — კულტურული მშენებლობა და ა-კ. საბჭოთა მწერლების ამოცანები. **ვ. ლუარსამიძე** — სალიტერატურო საკითხები. **ა. სულავა** — ისევ განსახკომის მეთოდ-ბიუროსა და სასკოლო სახელმძღვანელოების შესახებ. **ილ. ბარაშვო** — ბელორუსიის ლიტერატურის შესახებ. კულტურული კავშირისათვის. წრეების მუშაობა. ბიბლიოგრაფია.

ჟურნალი „მნათობი" № 7.

გამოვიდა ჟურნ. „მნათობი"-ს ივლისის ნომერი, რომელშიაც მოთავსებულია: **პ. სამსონიძე** (ქუთათელაძე) — პოემა ხუთწლიან გეგმაზე. **რაჟდენ გვეტაძე** — მუშათა ახალი სახლი ჭონქაძის ქუჩაზე. **ვ. გორგაძე** — გლეხი პოეტი. ვასილ ბარნოვი—წოდებული. **მარიამ გარიყული** — დონა. **გრიგოლ რობაქიძე** — უდეგა. **ა. პუშკინი** — სადგურის ზედამხედველი (თარგ. ვ. გორგაძის). **მარტინი** — მენავეთე სიმონა (თარგ. ლ. კარაპეტიანისა). **თ. შარკლი** — ღალატის ფასი (თარგ. ლ. კარაპეტიანისა). **მიხ. კახიანი** — იდეოლოგიური ფრონტი. **პროფ. კორნ. კეკელიძე** — ქართული კულტურის ორი დღესასწაული. **ი. ვაშაყმაძე** — კრიტიკული შენიშვნები. **გრ. მუშიშვილი** — მონოპოლისტური კაპიტალიზმი. **ტ. ტაბიძე** — ქართველი მწერლები სომხეთში.

ჟურნალის ბიბლიოგრაფიულ განყოფილებაში მოთავსებულია 5 წერილი.

◆ **მარელისის გრეხილ-ავეჯეულობის** ქარხანა ახლო ხანში გადაყვანილი იქნება განუწყვეტელ საწარმოო წელიწადზე.

◆ **ლითონის ახალ ქარხნის აგება** დამთავრდება მომავალ წელში.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **რუსთაველის თეატრი** მომავალ სეზონისათვის შეუდგა აბონემენტების გავრცელებას.

◆ **„თეთრი მხედარი".** გუშინ თბ. კინოებში დაიწყო სახკინმრეწვის ახალი სურათის „თეთრი მხედარი"-ს ჩვენება.

◆ **მუშა-ახალგაზრდობის თეატრი.** განზრახულია თბილისში დაარსდეს მუშა-ახალგაზრდობის თეატრი.

მშრომელ ებრაელთა მიწათმომწყობ საზოგადოების ლატარია

საქართველოს მშრომელ ებრაელთა მიწადმომწყობ საზოგადოებამ (მემს) საკავშირო მემს-ისაგან მიიღო ებრაელთა მიწადმომწყობ საზოგადოების ლატარიის 25.000 ბილეთი.

ლატარია ეწყობა საზოგადოების ფინანსიური მდგომარეობის განსამტკიცებლად და მემს-ის იდეების საპოპულარიზაციოთ. ლატარიის კომიტეტის თავმჯდომარეა რუსეთის ჯანმრთელობის სახ. კომისარი ამხ. სემაშკო. სულ გამოშვებულია 2 მილიონი ბილეთი 1 მილ. მანეთის ღირებულებისა. ლატარიაში მთავარი მოგება 3 ოთახიანი სახლი საბჭოთა კავშირის ერთ რომელიმე ქალაქში (მოგებული ბილეთის პატრონის არჩევით), მოგზაურობა საზღვარგარეთ, მოგზაურობა საბჭოთა კავშირის ებრაელთა კოლონიებში და სხვა

ლატარიის გათამაშება დანიშნულია 8 დეკემბრისათვის. საქ. მშრომელ ებრაელთა მიწადმომწყობი საზოგადოება უკვე შეუდგა კამპანიას ბილეთების გასასაღებლად. თვითეული ბილეთი ღირს 50 კაპ.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია

პროფკავშირთა წევრებს შორის

საქ. პროფსაბჭომ ყველა პროფორგანიზაციებს მიმართა ცირკულიარული წერილით, რომელშიაც აღნიშნავს, რომ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და სასოფლო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის ამოცანების განხორციელება მოითხოვს მუშათა კლასის აქტიურ და შეგნებულ მონაწილეობას საბჭოთა სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში და ჩვენს სოციალისტურ მშენებლობაში.

ამიტომ მუშათა კლასის კულტურულ დონის ამაღლება და მისი კლასობრივი თვითშეგნების გაძლიერება წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ამოცანას, რომლის განხორციელებაში პროფორგანიზაციები უახლოეს და აქტიურ მონაწილეობას უნდა იღებდენ. სწორედ ამიტომ კავშირების სასწრაფო მუშაობას ამჟამად წარმოადგენს თავის წევრებს შორის წ. კ. უცოდინარობის ლიკვიდაცია.

მაგრამ მიუხედავად მთელი რიგი დირექტივებისა პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა ვერ შესძლეს წ. კ. უცოდინარობის ლიკვიდაციის დარგში საკმაო ფართოთ და ენერგიულად გაეშალათ მუშაობა.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმს ყოვლად დაუშვებლად მიაჩნია მომაკალში ასეთი მდგომარეობის დატოვება; პროფსაბჭომ გამოიმუშავა წ. კ. უცოდინარობის ლიკვიდაციის გეგმა, რომლის მიხედვით წ. კ. უცოდინარობის სრული ლიკვიდაცია წ. კ. უცოდინარ კავშირის წევრთა შორის (35 წლის ასაკამდე) უნდა მოხდეს უახლოეს ორ წელში.

1929—30 წელს წ. კ. უცოდინარობის ლიკვიდაცია 100 პროცენტით უნდა ჩაატარონ სამთამადნო, ხის დამმუშავებელთა, მეტყავეთა, მელითონეთა, მბეჭდავთა, სურსათ-გემოვნების, ფეიქართა, ქიმიკოსთა განათლების, რკინის გზელთა; საბჭ. სავაჭ. მუშაკ., მკერავთა, ადგ. ტრანსპ., სახალხო განათლების და მედსანშრომის მუშაკთა კავშირებმა.

1930—31 წელს წ. კ. უც. ლიკვიდაცია უნდა ჩაატარონ დანარჩენ კავშირებმა: აღმშენებელთა, მიწა-ტყის, სახალხო კვების და კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა კავშირებმა (პირველ წელიწადს 60 პროც., მეორე წელიწადს—40 პროც.).

აღნიშნულ გეგმის შესრულებისათვის საჭიროა დღეიდანვე დაიწყოს წინასწარი მუშაობა, რისთვისაც შედგენილი უნდა იქნეს დაწვრილებითი ინდივიდუალური სიები ცალკე ფაბქარხადგილკომის მიხედვით, საკითხის დამუშავების მიზნით უნდა ჩატარდეს კულტკომისიების თათბირები, საკითხი უნდა დამუშავდეს აგრეთვე საერთო კრებებზე, უნდა მოეწყოს შეჯიბრება და კონკურსი ქარხადგილკომებს შორის, უნდა შემოღებულ იქნეს ინდივიდუალური სწავლება, სეზონურ მომუშავეებისათვის უნდა გაიხსნას სკოლები და სხვა.

აგრეთვე საჭიროა კავშირის წ. კ. უცოდინარი ახალი წევრები დროზე იქნენ აღრიცხული და მივლინებული სკოლაში ან ინდივიდუალურათ მიმაგრებულ იქნეს წ. კ. მცოდნესთან.

თანახმად საკავშირო და საქარ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებისა, ძლიერმა კავშირებმა (საბჭოთა და სავაჭ. მუშაკთა კავშ. მედსანშრომის, განათლების) ფულადი დახმარება უნდა გაუწიონ ეკონომიურად სუსტ კავშირებს, როგორც არის მიწატყის და სახკვების მუშაკთა კავშირი.

წინასწარ მთელი მუშაობა უნდა დასრულდეს აგვისტოს ბოლომდე, რომლის შემდეგ განათლების განყოფილებას უნდა მიეცეს ცნობა იმ პირთა შესახებ, რომლებიც უნდა გაიგზავნონ სკოლებში.

პირველ სექტემბრისათვის ყველა წ. კ. უცოდ. მივლინებულ უნდა იქნის სკოლებში.

თბილისის ალმასკომის პრეზიდიუმში

თბილისის ოლქი

თბილისის ალმასკომის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე განიხილა საკითხი თბილისის ოლქის დაარსებისა და მისი დარაიონების შესახებ.

ამ საკითხზე მოხსენება გააკეთეს ამხ. გავაშელმა და დოლიძემ. მოხსენების მოსმენის შემდეგ პრეზიდიუმმა მიიღო და დაამტკიცა თბილისის ოლქის და მისი რაიონებად დაყოფის გეგმა.

გეგმის მიხედვით თბილისის ოლქში შედის: ყოფ. თბილისის, ბორჩალოს და დუშეთის მაზრები და ახლანდელ გორის მაზრიდან ძეგვის თემი. ოლქი დაყოფილია 12 რაიონად.

ამჟამად არსებობს 78 ძირითადი ადმინისტრატიული ერთეული, მაგრამ ვინაიდან ოლქში მოჰყვა ისეთი ადგილები, რომლებიც ცენტრიდან მოწყვეტილნი რჩებიან და ამავე დროს ეთნოგრაფიულადაც განსხვავდებიან სხვა სოფლებისაგან, ამიტომ პრეზიდიუმმა დაადგინა ასეთ ადგილებში დაარსებული იქნეს ძირითად ადმინისტრატიული ერთეულები. ასეთ ახალ ძირითად ადმინისტრატიულ ერთეულებად გამოყოფილნი იქნებიან შემდეგი ადგილები: 1) თრიალეთის, 2) ახალციხისა, 3) გუდამაყარის, 4) ყარაბულახის, 5) ტრაუბენბერგის, 6) ხოჟორნის და 7) სარაჩლოს სოფლები.

ამრიგად ამჟამად არსებულ 78 ძირითადი ადმინისტრატიულ ერთეულისა, ოლქში იქნება 85 ერთეული.

ოლქში დაარსებული იქნება შემდეგი რაიონები:

1) **ხევის რაიონი** ცენტრით სოფ. ყაზბეგში. ხევის რაიონში შევა: ყაზბეგის, ახალციხის, კობის და თრუსის სასოფლო საბჭოები.

2) **დუშეთის რაიონი**—ცენტრი ქ. დუშეთში. ამ რაიონში შევა: მლეთის, ფასანაურის, გუდამაყარის, არხოტის, შატილის, ბაცალიგოს, ბარისახოს, უკანაფშავის, მაღაროსკარის, ანანურის, ჟინვალის, დუშეთის, ბაზილეთის, გრემისხევის, ჭადისჯვარის და ჰოპორტის სასოფლო საბჭოები.

3) **თიანეთის რაიონი**—ცენტრი ქვემო თიანეთში. თიანეთის რაიონში შევა: არტაანის, ზემო-თიანეთის ქვემო-თიანეთის, საყარაულოს და ერწოს სასოფლო საბჭოები.

4) **მცხეთის რაიონი**—ცენტრი ს. მცხეთაში. რაიონში შევა: მუხრანის, ნატახტარის, მცხეთის, საგურამოს და ძეგვის სასოფლო საბჭოები.

5) **გარე-კახეთის რაიონი**—ცენტრი სართიჭალაში. ამ რაიონში შევა: მანავის, საგარეჯოს, პატარძეულის, სართიჭალის, მარტყოფის, გომბორის, ბოჭორმის და ხაშმის სასოფლო საბჭოები.

6) **თბილისის რაიონი**—ცენტრი თბილისში. რაიონში შევა: ავჭალის, დიღომის, ალგეთის, ყარაიის, კოჯორის, წყნეთის და დიდი ლილოს საბჭოები.

7) **მანგლისის რაიონი** ცენტრი მანგლისში. რაიონში შევა: პროტის, მანგლისის და შეხვეტილას სასოფლო საბჭოები.

8) **ასურეთის რაიონი**—ცენტრი ს. ასურეთში. რაიონში შევა: თელეთის, ასურეთის, ბოგვის, წინაწყაროს, ალბულაღის, იროგის და დუმანისის სასოფლო საბჭოები.

9) **წალკის რაიონი**—ცენტრი ბარმაქსიზში. რაიონში შევა: ზემო-წალკის, ქვემო-წალკის, თრიალეთის, როზენბერგის, არჯევანსარვანის, ქობურის და ივანოვკას საბჭოები.

10 **ბაშქიჩეთის რაიონი**—ცენტრი ბაშქიჩეთში. რაიონში შევა: გომარეთის, დემურბულახის, ყარაბულახის, ბაშკიჩეთის, ჰამამლოს, კომკალათის და დუმანისის სასოფლო საბჭოები.

11) **ლუქსემბურგის რაიონი**—ცენტრი—ლუქსემბურგში. რაიონში შევა: ქვეშის, ლუქსემბურგის, იგირჰასანის, ბოლნისხაჩინის, ბოლნის ყაფანახის სასოფლო საბჭოები.

12) **ბორჩალოს რაიონი**—ცენტრი ს. სარვანში. რაიონში შევა: ოფრეტის, ხოჟორნის, სადახლოს, შაუმიანის, სარჩალოს, ტრაუნბენბერგის, სარვანის, გიაურარხის, დემურჩოჰასანის, ქაჩაგანის და აშაღსარალის სასოფლო საბჭოები.

იმ სოფლებში, სადაც რაიონების ცენტრი იქნება მოთავსებული, სასოფლო საბჭოების ფუნქციების შესრულება დაევალება სარაიონო ალმასკომის აპარატს.

საფინანსო განყოფილებას დაევალა მომავალ საბიუჯეტო წლისათვის ყველა სოფლის საბჭოებისათვის ცალ-ცალკე შეადგინოს დამოუკიდებელი ბიუჯეტი.

საორგანიზაციო განყოფილებას წინადადება მიეცა 20 აგვისტომდე ჩამოაყალიბოს სოფლის საბჭოები და რაიალმასკომები.

დაარსდა კომისია 9 წევრის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა რაიალმასკომების და ოლქო კომიტეტების შტატების ახალი დებულების დამუშავება.

სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაცია

ელექტრომავლების შეკეთების საკითხი

სურამის უღელტეხილის საელექტროფიკაციო სამუშაოები წარმატებით მიმდინარეობს.

ამჟამად საუღელტეხილო უბანზე სწარმოებს ელექტროენერგიის გადამცემი ხაზის გაყვანა.

ამავე დროს საზღვარგარეთ ერთ-ერთ ფირმას დავალებული აქვს და ამუშავებს უღელტეხილისათვის საჭირო ელექტრომავლების პროექტს.

როგორც ვიცით მთელი სამუშაოები დამთავრებული უნდა იქნას და ელექტროფიკაციაქმნილი უბანი ამუშავდეს 1930—31 წლისათვის.

სამუშაოების ასეთ მდგომარეობასთან დაკავშირებით უკვე წამოჭრილია ელექტრომავლების მოვლა-შენახვის საკითხი.

ა.-კ. რკინის გზის გამგეობამ ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება და თავის უკანასკნელ სხდომაზე იქონია მსჯელობა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოეწყოს ჩვენში ელექტრომავლების შეკეთების და გასინჯვის საქმე. წამოჭრილია ელექტრომავლებისათვის სპეციალური სახელოსნოს და დეპოს მოწყობის საკითხი.

გზის გამგეობამ მიზანშეწონილად სცნო, რომ უცხოეთიდან მიღებულ ელექტრომავლების ნაწილების შეკრება (ელექტრომავლებს მივიღებთ დაშლილი სახით), მიმდინარე შეკეთება და გასინჯვა მოეწყოს ხაშურში, ხოლო გენერალური გასინჯვა და კაპიტალური შეკეთება—თბილისში.

თბილისში ელექტრომავლების შეკეთება-გასინჯვისათვის მაქსიმალურად იქნება გამოყენებული სტალინის სახელობის ქარხანა.

ხაშურში აშენებული იქნება სპეციალური შენობა 20 ელექტრომავლებისათვის.

იქ იწარმოებს მიმდინარე შეკეთება და გასინჯვა. საჭიროებისამებრ ეს შენობა გამოყენებული იქნება ორთქლმავლებისათვისაც.

ცხადია, სტალინის სახელობის ქარხანა არ არის მოწყობილი და გათვალისწინებული ამ ახალ სამუშაოებისათვის. ამისათვის უღელტეხილის საელექტროფიკაციო ბიუროს, თვით ქარხნის დირექციას და გზის წევის დარგს დავალებული აქვთ ამა წლის 1-ლ ოქტომბრისათვის შეისწავლონ და დაამუშაონ საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება სტალინის სახელობის ქარხანაში ელექტრომავლების კაპიტალურად შეკეთება-გასინჯვის საქმის მოწყობა. ამავე დროს გათვალისწინებული უნდა იქნას ისიც, რომ ქარხანა ამ სამუშაოებისათვის მომზადებული უნდა იყოს 1931-32 წლისათვის.

ყველა ამ ღონისძიებათა საკუთარი ძალებით შესრულება ვერ იქნა ცნობილი შესაძლებლად და ამის გამო გზის გამგეობამ საჭიროდ სცნო, რათა იმ უცხოეთის ფირმას, რომელიც ამუშავებს, ელექტრომავლების პროექტს, დაევალოს ხაშურში სპეციალური დეპოს და თბილისში სახელოსნოს მოწყობის პროექტის შედგენა.

ამგვარად არის გადაჭრილი ეს საკითხი ადგილობრივ. ეხლა მას განიხილავენ გზათა სახალხო კომისარიატში და გადადგმული იქნება სათანადო პრაქტიკული ნაბიჯები.

განუწყვეტელი საწარმოო წელიწადის შემოღება

წინასწარი შედეგები

მრეწველობაში განუწყვეტელი საწარმოო წელიწადის შემომღებ კომისიაში მიღებული ცნობებით ახალი სააღმშენებლო სამუშაოების ხაზით განუწყვეტელი მუშაობა შემოღებულია:

გორის საკონსერვო ქარხნის სააღმშენებლო სამუშაოზე, განუწყვეტელი მუშაობა დაწყებულია 28 ივლისიდან. საჭირო სააღმშენებლო მასალა მომარაგებულია და ტეხნიკურად, განუწყვეტელ მუშაობაზე გადასვლა არ იწვევს რაიმე დაბრკოლებებს.

ოზურგეთში მუშათა საერთო საცხოვრებელი სახლის ასაგებათ განუწყვეტელი მუშაობა დაიწყო 29 ივლისიდან. სააღმშენებლო მასალებისა და მუშა ხელის რაოდენობის მხრივ სამუშაოთა შესრულება სავსებით უზრუნველყოფილია.

სამტრედიაში 1-ლ აგვისტოდან შეუდგებოდენ სატრანსფორმატორო შენობის სააღმშენებლო სამუშაოების შესრულებას. მუშაობა აქაც იწარმოებს განუწყვეტლივ.

თბილისის ახალ მშენებლობაში განუწყვეტელი საწარმოო წელიწადი შემოღებულია თამბაქოს ტრესტის ახალი სახლის ასაგებათ. რეფორმის გატარებასთან დაკავშირებით საჭირო გახდა 60 მუშის დაქირავება დამატებით. გადაწყვეტილია აგრეთვე, რომ განუწყვეტელი მუშაობა შემოღებული იქნას თბილისის ლითონის ახალი დიდი ქარხნის სააღმშენებლო სამუშაოებზე. ქარხნის მშენებლობა დაიწყება უახლოეს კვირაში.

სამთამადნო მრეწველობის დარგში მიმდინარე აგვისტოს განმავლობაში განუწყვეტელი საწარმოო წელიწადი შემოღებული იქნება—ბარიტის მადნების სამუშაოებზე, შროშის აგურ-კრამიტის ქარხანაში და შროშის თიხის მაღაროებში, გუმბრინის (ნავთის საწმენდი მადანია) სამუშაოებზე და სხ.

ს.მ.უ. საბჭოსთან არსებულ განუწყვეტელი საწარმოო წელიწადის შემომღები კომისიის ცნობებით, განუწყვეტელი მუშაობის შემოღების შემდეგ, მუშაობის ტემპი ყველა სამუშაოებში გაზრდილია 15 პროცენტით და უფრო მეტითაც. მუშები ადვილად შეეთვისენ ახალი რეფორმის გატარებას.

საგამომკვლევო მუშაობა საქართველოს კურორტებზე

საქართველოს საკურორტო სამმართველო მიმდინარე წელს შეუდგა კურორტებზე საგამომკვლევო-მეცნიერულ მუშაობას. ამჟამათ სწარმოებს ბორჯომის და წყალტუბოს რაიონების გეოლოგიური გამოკვლევანი. ბორჯომში მოეწყო კლიმატიური სანატორიუმი, და მთელი რიგი საგამომკვლევო ლაბორატორიებისა როგორც ბორჯომში, ისე აბასთუმანში, წყალტუბოში და ახტალაში; მუშაობა მიმდინარეობს როგორც კლინიკური, ისე ექსპერიმენტალური მიმართულებით.

ბორჯომში განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული ბორჯომის წყალის კუჭის სეკრეციებზე ზეგავლენას, ნივთიერებათა და გაზების შეცვლის შესწავლას. აქვე, ბორჯომში, მეცნიერების მიღწევათა საშუალებით შესაძლო ხდება იმის გამოკვლევა, თუ რამდენია ბორჯომის მდიდარ ფლორაში ნახშირბადის დაგროვება მეავზადთან შედარებით.

ახტალაში მეცნიერულ გამოკვლევის საგნად გამხდარა ახტალის ტალახის გავლენა სისხლის ქიმიურ შემადგენლობაზე.

კურორტთა ფაქტორების შესწავლა, (მინერალური წყლები, ტალახები) ზაფხულის სეზონში ადგილობრივ წარმოებს; ზამთრობით კი ამ გამოკვლევებს განაგრძობენ თბილისში ფიზიოთერაპიულ და კურორტოლოგიურ ინსტიტუტებში.

ასე, ყოველწლობით საქართველოს კურორტებზე მეცნიერულ გამოკვლევათა მუშაობა სისტემატიურ ხასიათს ღებულობს და გვჯერა, რომ აგრეთვე მეცნიერული კვლევის ობიექტად გახდებიან ჩვენი ახალი კურორტებიც, რომლებიც ჯერ კიდევ არ არიან მეცნიერულად შესწავლილნი და გამოკვლეულნი.

ქ. ქ—ძე.

ჭადრაკი

ჭ. გოგლიძის რედაქტორობით

(ამოცანა) **ვ. ცაბაძე** (თბილისი)

(იბეჭდება პირველად)



შამათი ორ სვლაში

(ამოცანა) **ქ. ფირცხალავა** (სოფ. მათხოჯი)

(იბეჭდება პირველად)



შამათი ოთხ სვლაში

პარტია № 27. (ლაზიერის დებიუტი)

გათამაშებულია საქართველოს ჩემპიონატში 1928 წ.

თეთრები: **ე. ტალვიკი** — შავები: **ვ. გოგლიძე**

1. d4, მf6 2. c4, e6 3. მc3, d5 4. კg5, მbd7 5. მf3, კe7 6, e3, 0-0 7. ეc1, c6 8. ლc2, ეe8 9. კd3, a6 (აქ შეიძლება აგრეთვე d:c თამაში, კაპაბლანკის დაცვაზე გადასვლით; სვლით ტექსტში შავები ცდილობენ განავითარონ თავიანთი თეთრი კუ 10.., dc 11 კ:c4, b5 12. კd3, c5 და კb7 შემწეობით, რის შემდეგ შავები კარგი თამაშის შესაძლებლობას ღებულობენ) 10. c:d, e:d 11. 0-0, h4 12. კf4, მf8 13. h3, კd6 14. კe5, კ:e5 15. მ:e5, მf6-d7 16. მf3 (როგორცა სჩანს, ბრძოლა e5 პუნქტის გარშემო დამთავრდა შავების გამარჯვებით, თეთრებს არ შეუძლიათ თამაში f4, რადგანაც f6 შემდეგ მათ ეყოლებათ სუსტი e3 პაიკი) 16.., მe6 17 a3, მg5! 18. მe5?! (მახე, რომელიც თეთრებს ბოლომდის არ გაუთვალისწინებიათ, შავები ფიგურის შეწირვით ღებულობენ გამანადგურებელ შეტევის შესაძლებლობას) 18.., მ:e5 19 de:, ე:e5! 20. f4, მ:h3+ 21. g:h; ე:e3 22. კf5, კ:f5 23. ლ:f5, ლh4 24. მფh2, d4! 25. მe4, ეe2+ 26. მფh1, ეae8 27. მd6, ლg3 28. ლ:f7+, მფh8 29. ლ:e8+, ე:e8 30. მ:e8, ლ:h3+ 31. მფg1, ლe3+ 32. მფh1, ლ:e8 თეთრები დანებდენ, ვინაიდან შავების მატერიალური უპირატესობა ცხადია.

საქართველოს მსხვილი მრეწველობის 1929—30 წ. საკონტროლო ციფრები

საქართველოს სახკომსაბჭოს და ეკონომსაბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ დაამტკიცა სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ წარმოდგენილი საქართველოს მსხვილი მრეწველობის 1929—30 წ. საკონტროლო ციფრები.

საერთო პროდუქცია 1926—27 წ. საბითუმო "უცვლელ" ფასების მიხედვით გადიდებულია 52,8 პროცენტით, ე. ი. 42,5 მილ. მან.

მთელ მრეწველობაში ჩაბმული მუშების საერთო წლიური რიცხვი გადიდებულია 24.132-მდე ნაცვლად 18.633 მუშა ხელისა. გადიდება უდრის 29, 5 პროც.

გამომუშავების ზრდა უდრის 19, 1 პროც.; ხელფასის ზრდა განსაზღვრულია 6,4 პროცენტით; თვითღირებულების დაკლება განსაზღვრულია 8,4 პროცენტით, ხოლო საგასაცემო-ფასებისა კი—3,8 პროცენტით.

საქართველოს მრეწველობისათვის ფინანსების მიწოდების საერთო მოცულობა 1929—30 წ. უდრის—49.584.600 მან., აქედან ს.მ.უ. საბჭოს გამგებლობაში მყოფ მრეწველობისათვის (ადგილობრივის გარეშე) 27. 871.000 მან., აფხაზეთის მრეწველობისათვის—2.897.000 მან., აჭარისტანის მრეწველობისათვის—2.086900 მან. და სამხრეთ-ოსეთის მრეწველობისათვის—238.000 მან., თბილისის საბჭოს ადგილობრივ მრეწველობისათვის—1.516.700 მანეთი და დანარჩენ მრეწველობისათვის—13.876.100 მან. აქედან: ტყვარჩელის წარმოებაზე—6.500.000 მან., „საქართველოს ჩაის"—2.470,700 მან., სახკინმრეწველობას—1.200.000 მან. და ბორჯომის მინერალურ წყლებს—3.387.000 მან.

კაპიტალური დაბანდება ნავარაუდევია—44,339,400 მან. მაგრამ ტრესტებისა და წარმოებათა საწარმოო პროგრამის გადათვალიერების შემდეგ საჭიროდ იქნა ცნობილი მრეწ. [illegible] საწარმოო პროგრამებით განუწყვეტელი სამუშაო კვირის შემოღება, სადაც ეს შესაძლებელია ნედლეულის, ტეხნიკურის და ეკონომიურ პირობების მიხედვით. საწარმოო პროგრამების გაფართოებით გათვალისწინებულია 3,6 მილიარდ ც. პაპიროსის გამომუშავება, 13 მილიონ ბოთლი ბორჯომის წყლის ჩამოსხმა, თბილისის ქარხნებში 35 მილიონ ც. აგურის დამზადება, ფანერის წარმოება 1.400 კბ. მეტრამდე და სხვ.

ჩაის მრეწველობაში საფაბრიკო-საქარხნო თვითღირებულების დაკლება გათვალისწინებულია 5 პროცენტის რაოდენობით ნაცვლად 4 პროცენტისა.

ბორჯომის მინერალურ წყლების კომერციული თვითღირებულება დაკლებულია 7 პროცენტით ნაცვლად 5 პროცენტისა.

რკინის გზებზე

სავაგონო სამქროს გადაკეთება

საშუალო შეკეთებიდან ვაგონების გამოშვების საწარმოო პროგრამა ა.-კ. რკინის გზებზე ყოველწლიურად იზრდება. მომავალ წელში, მიმდინარე წელთან შედარებით ვაგონების საშუალოდ შეკეთების პროგრამა გადიდდება 150 პროცენტით.

ვაგონების შეკეთება ეხლა სწარმოებს ყველა გზის სახელოსნოებში და მუშაობის ასეთი დაქსაქსულობა ხელს უშლის საწარმოო პროგრამის შესრულებას.

ამ გარემოებას ამჟამად სერიოზული ყურადღება აქვს მიქცეული. უკანასკნელად ეს საკითხი დასმული იყო გზის გამგეობის სხდომაზე და გამგეობამ გადასწყვიტა ვაგონების საშუალოდ შეკეთების მთელ საქმეს თავი მოუყაროს სტალინის სახელობის ვაგონების და ორთქლმავლების შემკეთებელ ქარხანაში.

ამისათვის საჭირო ხდება ქარხნის ვაგონების სამქროს გადაკეთება. სამქრო გაფართოებული იქნება, ამ მიზნისათვის გზის გამგეობის მიერ გადადებულია 50.000 მანეთი და მუშაობა უკვე დაწყებულია. სამქროს გადაკეთების სამუშაოები უნდა დამთავრდეს ამ წლის 1-ლ ოქტომბრისათვის.

რაციონალიზაციის გეგმა

გზათა კომისარიატმა წინადადება მისცა ამიერ-კავკ. გზების გამგეობას შეიმუშაოს რაციონალიზაციის გეგმა და დააწესოს მისი ცხოვრებაში გატარების კონკრეტული ვადები.

გზა უკვე შეუდგა ხსენებულ გეგმის შედგენას.

მატარებლის დამტვრევა

სადგ. ყარადაღაში ისრებზე დაიმტვრა საქონლის მატარებელი.

ლიანდაგიდან გადავარდა და გადაბრუნდა ორი დატვირთული ვაგონი და ლიანდაგს ასცდა რვა.

სადგურის ხაზები დაკავებულია, მოძრაობა შეწყვეტილია.

შემთხვევის ადგილზე ბაქოდან გაგზავნეს დამხმარე მატარებელი, სასწრაფო მატარებელი № 1 და დანარჩენი მატარებლები მოძრაობენ დაგვიანებით.

მატარებლის დამტვრევის მიზეზს იკვლევენ.

ხაშური უწყლოდ

ხაშურის კვანძი სასმელ წყალს ღებულობს სურამის ქედიდან სპეციალური წყალსადენის მილების საშუალებით, რომლებიდანაც შემდეგ გაყვანილია მილები წარმოება-დაწესებულებებში.

ამ ერთი კვირის წინ სასმელი წყლის მიწოდება ხაშურისათვის შესწყდა; რკინის გზის დაწესებულებები უწყლოდ დარჩნენ.

არავინ არ იცოდა სასმელი წყალის მიწოდების შეწყვეტის მიზეზი. მგზავრები დიდ უკმაყოფილებას გამოსთქვამდნენ იმის გამო, რომ სადგურზე ვერ შოულობდნენ ადუღებულ და ცივ წყალს.

ყურადღებასაც არავინ აქცევდა ასეთ მდგომარეობას. სალიანდაგო დარგის მე-5 უბნის უფროსს, რომელიც პირველ ყოვლისა იყო ვალდებული გამოერკვია წყალის მიწოდების შეწყვეტის მიზეზი და მიეღო სათანადო ზომები, თითიც არ გაუნძრევია.

ასე გრძელდებოდა ერთი კვირის განმავლობაში და მხოლოდ ხაშურში სამსახურის საქმეებისათვის ჩასულმა საგზაო შრომის ინსპექტორმა მიაქცია ამ გარემოებას ყურადღება და გამოარკვია, რომ წყალის შეწყვეტა გამოიწვია წყალსადენ მილების დაზიანებამ.

მიღებულ იქნა სასწრაფო ზომები წყალის მიწოდების აღსადგენად.

დაჯახება

განჯაში ერთ-ერთმა კონდუქტორმა, რომელიც მიჰყვებოდა მატარებელს № 4006 თვითნებურად მოხსნა შემადგენლობას ორთქლმავალი და გაემგზავრა მით გასასვლელ ისრებისაკენ.

ამ დროს ხსენებულ ისრებზე შედიოდა მეორე ორთქლმავალი. ორთქლმავლები ერთმანეთს დაეჯახნენ. ერთი მათგანი დაზიანდა.

უბედური შემთხვევა

სადგ. ბალაჯარაში მატარებლის ქვეშ ჩავარდა ირინა პეტრუშინა, რომელსაც მატარებელმა მოსწყვიტა ფეხი.

დაზარალებული გადაგზავნეს საავადმყოფოში.

შემთხვევები

დაჯახება

31 ივლისს, მოტოციკლეტი, რომელსაც მართავდა შოფერი სტეფანე თედორეს ძე შვეცოვი, ღვინის აღმართზე დაეჯახა 8 წლის ილია მოსეს ძე ელიაზაროვს და დააშავა. ელიაზაროვი გადაგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოში. შვეცოვი დაპატიმრებულია.

რეციდივისტის მოკვლა

გუშინ, მუხრანის ხიდთან დანით მოჰკლეს გამოუსწორებელი ქურდი-რეციდივისტი არუთინ მათეოსის ძე შახნაზაროვი (მეტ სახელად „აბუთიკა"). ამ საქმეზე მილიციამ დააპატიმრა სერგო მარტინინის ძე ავალოვი და სურენ ეფრემის ძე შეკოევი.

ავტომობილის მსხვერპლი

საფოსტო სამმართველოს ავტო-მანქანა (№ 353), რომელსაც მართავდა შოფერი სარქის ფილიპოვი ლენინის ქუჩაზე (სახლი № 2 პირდაპირ), დაეჯახა უცნობ მოქალაქეს, რომელიც ქუჩაზე გადადიოდა და მძიმედ დააშავა. მოქალაქეს აღმოუჩინეს სასწრაფო საექიმო დახმარება და გადაგზავნეს რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში.

საავადმყოფოში მიყვანისას იგი გარდაიცვალა.

მიღებულია ზომები მისი ვინაობის გამოსარკვევად.

შოფერი დაპატიმრებულია.

ქურდობა

გაქურდეს ნადეჟდა თოდუას ბინა (პლეხანოვის პროსპ. № 116), წაიღეს ასი მანეთის ნივთები. — მირან მსხილაძის ბინა (ახალი უბნის ქ. № 3) მოიპარეს 100 მანეთის საოჯახო ნივთები. — ლუარსაბ ფავლენიშვილს ტრამვაის ვაგონში ჯიბიდან ამოაცალეს 24 მანეთი.

შეპყრობა

დაპატიმრებულია გურგენ იოსების ძე ბაგდასარიანცი, რომელსაც ბრალდება ქურდობა.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

სამოქალაქო სამართლის კოდექსისათვის 57^1, 57^1, 79^1, 79^2, 81^1, 87^1, 181^1 და 181^2, მუხლების დამატებისა და ამავე კოდექსის 79 მუხლიდან შენიშვნის ამოღლის შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა მეორე მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეორე სესიის 194 წ. მარტის 10-ს თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მეორე მუხლის თანხმად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

სამოქალაქო სამართლის კოდექსს დაემატოს 57^1, 57^2, 79^1, 79^2, 81, 81, 181^1 და 181^2 მუხლები შემდეგი შინაარსისა:

„მუხ. 57^1. ისეთ ნაკვეთზე აგებული შენობა, რაც მუშათა ან საერთო სამოქალაქო საბინაო მშენებლობის კოოპერატიულ ამხანაგობას უვადო სარგებლობისათვის მიეცა (71 მუხ. შენიშვნა), შეადგენს ამ ამხანაგობის კოოპერატიულ საკუთრებას; ამასთანავე მიწის ნაკვეთის უვადო სარგებლობის უფლება განუყოფელად დაკავშირებულია შენობაზე საკუთრების უფლებასთან და მისი პობა ამ უფლების მოსპობასთან ერთად".

„მუხ. 57^2. მუშათა ან საერთო სამოქალაქო საბინაო მშენებლობის კოოპერატიული ამხანაგობის წევრს უფლება აქვს მუდმივად, მთელი იმ დროის განმავლობაში, რაც ამხანაგობას აღნაგობის უფლება ან შენობაზე საკუთრების უფლება ექნება (მუხ. 57^1), ისარგებლოს საცხოვრებელი სადგომით, რომლის სივრცე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენი პაი ეკუთვნის ამ წევრს. საერთო სამოქალაქო საბინაო მშენებლობის კოოპერატიული ამხანაგობის წევრის ზემოაღნიშნული უფლება გადადის მემკვიდრეობით საერთო საფუძველზე".

„მუხ. 79^1. მუშათა საბინაო მშენებლობის კოოპერატიულ ამხანაგობას შეუძლიან თავისი აღნაგობის უფლება გაასხვისოს მხოლოდ სახელმწიფო ორგანოზე ან მუშათა საბინაო მშენებლობის სხვა კოოპერატიულ ორგანიზაციაზე, ხოლო საერთო სამოქალაქო საბინაო მშენებლობის კოოპერატიულ ამხანაგობას შეუძლიან თავისი აღნაგობის უფლება გაასხვისოს მარტოოდენ სახელმწიფო ორგანოზე ან კოოპერატიულ ორგანიზაციაზე.

იგივე წესი სათანადოთ გავრცელდება ისეთ შემთხვევაზედაც, როდესაც აღნიშნულ ამხანაგობათა აღნაგობის უფლება იყიდება საჯარო ვაჭრობით".

„მუხ. 79^2. მუშათა და საერთო სამოქალაქო საბინაო კოოპერატიულ ამხანაგობათა აღნაგობის უფლების დაგირავება შეიძლება მარტოოდენ ისეთ სახელმწიფო ორგანოში, კოოპერატიულ ორგანიზაციაში ან საკრედიტო დაწესებულებაში, რომელთაც თავისი დებულების ან წესდების ძალით შეუძლიანთ დაიგირაონ აღნაგობის უფლება".

„მუხ. 81^1. კერძო პირს არ შეუძლიან მუშათა ან საერთო სამოქალაქო საბინაო მშენებლობის კოოპერატიულ ამხანაგობათა აღნაგობის უფლებაზე [illegible] გადახდევინება ამ ამხანაგობათა ვალდებულების გამო".

„მუხ. 87^1. ის შენობა, რომელიც მუშათა ან საერთო-სამოქალაქო საბინაო მშენებლობას შეადგენს, შეიძლება დაგირავებულ იქნეს მარტოოდენ ისეთ სახელმწიფო ორგანოში, კოოპერატიულ ორგანიზაციაში და საკრედიტო დაწესებულებაში, რომელთაც თვისი დებულებებ ან წესდებებ [illegible] დაგირაონ შენობები".

„მუხ. 181^1. კერძო პირს არ შეუძლიან მუშათა ან საერთო სამოქალაქო საბინაო მშენებლობის კოოპერატიულ ამხანაგობათა ვალდებულების გამო გადახდევინება მიაქციოს ისეთ შენობაზე, რაც ამ ამხანაგობის კოოპერატიულ საკუთრებას შეადგენს".

„მუხ. 81^2. ის შენობა, რომელიც მუშათა საბინაო მშენებლობის კოოპერატიულ ამხანაგობის კოოპერატიულ საკუთრებას შეადგენს (მუხ. 57^1), შეიძლება ამ ამხანაგობის მიერ გასხვისებულ იქნეს მარტოოდენ სახელმწიფო ორგანოზე ან სხვა რომელიმე მუშათა საბინაო მშენებლობის კოოპერატიულ ამხანაგობაზე, ხოლო ისეთი შენობა, რომელიც საერთო-სამოქალაქო საბინაო მშენებლობის კოოპერატიულ ამხანაგობის საკუთრებას შეადგენს, შეიძლება ამ ამხანაგობის მიერ გასხვისებულ იქნეს მარტოოდენ სახელმწიფო ორგანოზე ან კოოპერატიულ ორგანიზაციაზე.

იგივე წესი სათანადოთ გავრცელდება იმ შემთხვევაზედაც, როდესაც აღნიშნულ ამხანაგობათა კუთვნილი შენობა იყიდება საჯარო ვაჭრობით".

სამოქალაქო სამ. კოდექსის 79 მუხლიდან ამოიშალოს შენიშვნა (კან. კრებ. 1927 წ. მე-7 №-რი მუხ. 91).

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. ვ. სტურუა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგიერ შ. მათიკაშვილი.

1929 წ. მაისის 25.
თბილისი-სასახლე

დადგენილება № 29

ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულისა საქართველოში

22 ივლისი, 1929 წ.

შესაცვლელად ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის ა-წ. მარტის 17 დადგენილების №22 §6 „კეროსინზე ფასებისა და საზღვრითი ზედნართის დაწესების შესახებ".

თანახმად მუხ. 6 13- პ. „მ"-სა ა.-კ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილებისა „ა.-კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ", ა.-კ. ვაჭსახკომის რწმუნებული საქართველოში ადგენს:

ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის ა-წ. მარტის 17 დადგენილების № 22 § 6-ის „კეროსინზე ფასებისა და საზღვრითი ზედნართის დაწესების შესახებ" შეიცვალოს შემდეგნაირად.

დაწესებულ იქნეს შემდეგი საცალო ფასები კეროსინზე კოოპერატიულ და სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ ცალობით გაყიდვის დროს, ქ. თბილისსა და რკინის გზის სადგურებზე.

ქ. თბილისში

ა) სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციების საწყობებში 1 ლიტრი 7 კაპ.

ბ) კასრებიდან, ქუჩებში და მოედნებზე ჩამოტარებით 1 ლიტრი 8 კაპ.

გ) მუშკოოპის ნავთის დამტარებლების ბინაზე მიტანილი 1 ლიტრი 9 კაპ.

რკინის გზის სადგურებზე.

კოოპერატიულ და სახელმწიფო ორგანიზაციების საწყობებში და საცალო სავაჭროებში 1 ლიტრი 8 კაპ.

ა.-კ. ვაჭსახკომის რწმუნებულის მოადგილე საქართველოში კოჯაიძე
საქმეთა მმართველი შარმაზანაშვილი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, 2 აგვისტოს პარტწმენდა ჩატარდება შემდეგ უჯრედებში

1) სტალინის სახელობის ორთქლმავლებისა და ვაგონების შემკეთებელი ქარხნის სავაგონო სამქროს უჯრედში, საღამოს 5 საათზე პლეხანოვის სახელობის კლუბში. შემმოწმებელი კომისიის წევრები: ჯატიევი, კოჩიევი და ორაგველიძე.

3) პურის მცხობელთა უჯრედში, მელნიჩნი შესახვევი, მუხრანის ხიდის მახლობლად, საღამოს 6 საათზე, შემმოწმებელი კომისიის წევ.: პაპახჩიანი, გულივერდაშვილი და გავრიკოვი.

4) ტრამვაის მოძრაობის დარგის უჯრედში, ტრამველთა კლუბში, საღამოს 6 საათზე. შემმოწმებელი კომისიის წევრები: ჩოჩიევი, კოჩეტკოვი და ტეგეტაშვილი.

5) თბილისის დეპოს უჯრედში, ორჯონიკიძის სახელობის კლუბში, საღამოს 5 საათზე, შემმოწმებელი კომისიის წევრები: ზაქრაძე, გებერკორნი და კესინოვი.

6) შემკეთებელი ქარხნის საიარაღო სამქროს უჯრედში, პლეხანოვის სახელობის კლუბში, საღამოს 5 საათზე; შემმოწმებელ კომისიის წევრები: ლელაშვილი, ყამარაულის და პოპოვი.

7) ფეიქართა უჯრედში, კომუნალური ქ., 119. საღამოს 6 საათზე. შემმოწმებელ კომისიის წევრები: იტრიევი, შავერდოვა და დემეტრაშვილი.

—:—

საქართველოს ლენ. კომკავშირის თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ შაბათს, 3 აგვისტოს, საღამოს სრულ 6 საათზე განათლების მუშაკთა სახლში (კოლოუბნის ქ.) მოწვეულია გაფართოებული თათბირი, რომელსაც უნდა დესწრონ შემდეგი ამხანაგები: მარიამ ორახელაშვილი, ალავიძე (ხელოვნების განყოფილება), ჩხარტიშვილი (პოლიტგანათლების მთავარ სამმართველო), ეოეიკაშვილი (საქ. კომპ. ცკას აგიტპროპგანყოფილება), ადამიანი, და ოსიპოვი (თბილისის კომიტეტი), ფანცულაია (საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილება), პროფკავშირების კულტგანყოფილების გამგეები, კომკავშირის რაიკომების და უჯრედების აგიტპროპები, ახალგაზრდათა სექციის თავმჯდომარეები, მუშათა კლუბების და დრამწრეების წარმომადგენელთა დასწრება სავალდებულოა.

—:—

ხ. კ. პ. (ბ) ც. კ. აგიტპროპ-შეჯდ. განყოფილება ამით აცხადებს ყველა პარტ ორგანიზაციების საყურადღებოთ, რომ უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებში „1100" ანგარიშში საქართველოს ს. კ. პ. (ბ) ც. კ.-ს აქვს დათმობილია (10) ათი ადგილი. ამიტომ ყველა ორგანიზაციები, რომელთაც სურთ მოავლინონ კანდიდატები ვალდებული არიან (7) შვიდ აგვისტომდის გადმოგზავნონ კანდიდატები, რომელთაც ხელზე უნდა ექნეს სათანადო დახასიათება, შემოწმებული საბუთები საპასუხისმგებლო ხასიათის, საწარმოო და პარტიული სტაჟის შესახებ.

შენიშვნა: კანდიდატები, უმთავრესად შერჩეული უნდა იქნეს სასოფლო-სამეურნეო და ტყის მუშაკებისაგან.

—:—

დღეს, 2 აგვისტოს საღამოს სრულ 6 საათზე მოწვეულია სახ. უნივერ. გაერთიანებული კომუჯრედის ბიურო-კოლექტივის სხდომა. ბიუროს წევრთა დასწრება აუცილებელია დაუგვიანებლად.

—:—

თბ. სახ. უნივ. ახ. ლ. კ. კ. გაერთიანებულ უჯრედთა-ბიუროს სხდომა შესდგება დღეს საღამოს 4 საათზე.

ბიუროს სხდომაზე დაწრება ევალება დავით ვასილისძე გოშაძეს. 5 საათზე კი შესდგება უჯრედის კრება. დასწრება წევრებისათვის და კანდიდატებისთვის სავალდებულოა.

—:—

დღეს, საღამოს 5 საათზე, მოწვეულია სახელმწ. **პოლიტეხნ. ინსტიტუტის** კ. პ. (ბ) ბიურო-კოლექტივის სხდომა. ბიუროს წევრების და კანდიდატებს ევალებათ გამოცხადდენ დაუგვიანებლივ.

გაუბედურებული დედა ნადეჟდა, დები: ევდოკია და ლიდა, ძმა კოტე, რძალი ნინო და ძმისშვილი ლეილა დათუნაშვილები; ძმა ალექსანდრე, რძალი სონია ხუტულაშვილები, ნათესავები: სოფიო ართილაყვა, კატუშა ასათიანი, ნინა და მარო გოთუა იუწყებიან, რომ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ქობულეთში გარდაიცვალა

თეო კონსტანტინეს ასული დათუნაშვილი-წირღვავასი

გამოსვენება და დაკრძალვა სოფ. დვაბზუში (გურია). 2749

ღრმად დამწუხრებული მეუღლე პლატონ შვილებით და ძმა მელიტონი წირღვავები იუწყებიან, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ქობულეთში გარდაიცვალა

თეოლინა დათუნაიშვილი-წირღვავასი

დაკრძალვა ს. დვაბზუში. 2746

ჭიათურის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი

შ. ს. ლაბაძე

ამით აცხადებს, რომ ის 16 აგვისტოს 1929 წელს დღის 12 საათზე ქალ. ჭიათურაში თბილისის ქუჩაზე გაყიდის **საჯარო ვაჭრობით** ვლადიმერ ეფრემის-ძე ხარშანიძის საცხოვრებელ შენობას დაფასებული 900 მან. დასაკმაყოფილებლად გრიგოლ ხეთისიას-ძე ტინტილოზოვის ვალის. თანახმათ წარწერისა გირავნობის სიგელზე, დამოწმებულისა ჭიათურის სანოტარო კანტორაში 1 თებერვალს 1929 წ. № 74, ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს შენობის საჯარო ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს ცნობები. აღნიშნული სამ. სამ. საპ. კოდ. მე-311 მუხ. და შენობის შეფასების 10% საწინდარი.

თუ ამ დღეს ვაჭრობა არ შესდგა, მეორეთ მოხდენილ იქნება 23 აგვისტოს 1929 წ. დღის 12 საათზე. ნ. 3066

საზაფხულო ბაღი (ყ. არტო).
სახელმწიფო ოპერის საზაფხულო სიმფონიური კონცერტების ციკლი
დღეს, პარასკევს, 2 აგვისტოს, მეორე კონცერტი
მოსკოვის დიდი თეატრის დირიჟორის სახალხო არტისტის
ლ. პ. შტეინბერგის ხელმძღვანელობით
დასაწყისი სრულ 9 საათზე. დაწვრილებით აფიშებში. ნ. 3065

საქკინმრეწვის კინოები
საზაფხულო აპოლო
საზაფხულო ეთერი
მინიონი
საზაფხულო კალასი
საქ. კინომრეწველობის ახალი ფილმი
თეთრი მხედარი
სცენარი გოლდენვეიზერის და ძიგანის
ოპერატორი ზაბოზლაევი
მხატვარი ფედორი
მხატვრული სურათი
ჯამბაზ ჟორჟის ბენეფისი
0—1

თბილისის სადგურში
ლიანდაგების გადაკეთების გამო დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციები დროებით გადატანილია სამხრეთ პარკში „სოუზხლების" საწყობების პირდაპირ.
2731 3—2 მოძრაობის დარგი.

საჭიროა
გაზეთ „კომუნისტი"-ს ცალობით
გამყიდველები
რუსთაველის პრ. № 34
„კომუნისტი"-ს გამომცემლობა

ანა ვასილის ასული
მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი"
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები სახის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19
იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან.
25—1 2561

ლოგოპედი
ა. ა. პაიშაური
ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა
ასწორებს
ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს
იღებს: საღამოს, 5—7 საათ.
კლარა ცეტკინის ქ., (ყოფ. ელისაბედის) № 132. ტელ. 26—01.
2468 13—1

თმის მკურნალობა
და
სამკურნალო კოსმეტიკა
ექიმ
ნ. გ. კონტოროვიჩისა
ფრეილინის ქ. № 1. სოლოლაკის ქ. კუთხე. თმის, ფერის მჭამელას, ჭორფლის, მეჭეჭის, ნაოჭის და სხვ. მკურნალობა
ელექტრონის შუქით სამკურნალო უახლესი აპარატებისა და საშუალებების გამოყენება
მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

დავკარგე: სამხედრო სააღრიცხვო ბარათი ფორმა № 4 დავით ივანეს-ძე მარიამიძის სახელზე, ჩ. გ. 2745

ექიმი
მ. გ. შახნაზაროვი
სპეციალურად
სიფილისი, „914" შეზხაპუნება, ტრიპერი მწვავე და ქრონიკული და სხვა ვენერიული სნეულებანი
ავადმყოფების მიღება ნაშუადღევის 4-დან 8 საათამდე. ქალების 4—5 საათამდე. ვასერის ქ. (ყოფ. კრასნოგორის) № 33 (ყოფ. თუმანოვის ქუჩ. კუთხე). 25—1

დავკარგე აღმშენებელთა კავშირის წიგნაკი № 13/7555 და მოწმობა წყალთა სამმართველოს მიერ გაცემული № 69—27 წლის მიხეილი ჯღარკავას სახელზე, ჩ. გ. 274

პ. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს საშარდე-სქესობრივ, ვენერიულ ავადმყოფობას, სიფილისს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე, ტრიპერი, სიფილისი, ბუასილი, სიმსივნე) ავადმყოფების მიღება დილის 8-დან შუადღის 12 საათამდე და საღ. 5-დან 8 საათამდე ქალების მიღება დღის 11-დან 12 საათამდე. და საღამოს 7-დან 8 საათამდე. 13—10

ექიმი
ი. ი. ქეიშვილი
სიფილისი („914" შეზხაპ.) ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი) და კანის სნეულება.
მიღება { დილ. 7—9 საათ. ნაშუადღ. 4—5 საათ. საღ. 8—9 საათ.
მისამართი კამოს ქ. № 72 (ყოფილი დიდი-მთავრის ქუჩა), ქალ. მეორე საავადმყოფოს პირდაპირ. 2578 25—1

დავკარგე: მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 39686 ნინო ბუმბიაშვილის სახელზე, ჩ. გ 2744

ექიმი
პ. ი. ჯალალოვი
(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეზხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა
მამაკაცთა მიღება: დილით—7—8 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და მავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი. 1—90. 25—11

ქუთაისში
ექიმი **ვ. დ. პუჭაიძე**
ლენინგრადის სამეანო-გინეკოლოგიური ინსტიტუტის შ. გ. ასისტენტი ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით საღ. 5—7 ს.
იღებს სპეციალურათ მეანობაში, ქალთა სნეულებათა ავადმყოფთ და ქალთა უროლოგიაში (შარდის ბუშტის, მილის და თირკმელების დაავადებანი). პუშკინის ქ. № 7
2463 25—1

დავკარგე: მუშკოოპის წიგნაკი კონსტანტინე ივანეს-ძე ჯოხიას სახელზე, ჩ. გ. 2743

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12. საღ. 7—8 საათამდე ტელეფ.—12—67. 25—1

გ. მ. ფხალაძე
სიფილისი, სუსუნატი (მისი გართულებანი) და კანის სნეულებანი.
მიღება: { დილის 7—7 ნახ. საათ. საღამ. 6—7 საათ. ქალები 7—9 საათ. კაცები
მარტის ქ. (ყ. ბოგოსლოვის) № 6, (გადასახვევი ოლღის ქუჩიდან აფთიაქთან).
25—1

პროფესორი
გ. მ. მუხაძე
წასულია კისლოვოდსკში და დაბრუნდება ენკენისთვეში.
2579 25—1

იქიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
წასულია. განაახლებს ავადმყოფების მიღებას 1 სექტემბერს.
253325—1

დავკარგე პროფკავშირის წიგნაკი № 26078 გაცემული ნ. ხუციშვილის სახელზე ჩ. გ.

დავკარგე პირადობის მოწმობა გაცემული ქარელის სამხედრო მაგიდის მიერ შალიკო აბრამის-ძე ბინიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2741

დავკარგე: პირადობის მოწმობა და გადახდილი ნ ლოგის საბუთები იაკობი ხუბელაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2741

დავკარგე „ეპოს" საწევრო წიგნაკი № 1022 გაცემული სენაკის ეპოს მიერ სიმონ ჯიშკარიანის სახელზე, ჩ. გ 2741

დავკარგე: შვიდწლედის ატესტატი, № 43 დავითი კოსტას-ძე ლეონჯილიას სახელზე, ჩ. გ. 2748

დავკარგე: ცნობა გაცემული თბილისის მე-4 უბნის სახალ. სასამართლოდან № 3187 1928 წ. 13 ივნისის თარიღით ნესტორ ვლადიმერის-ძე კვინიკაძის სახელზე, ჩ. გ. 2741

ტირაჟი—42.720
პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, ცამოს ქუჩა № 68.
მთავლიტი № 904.